

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა



პ რ ო ე ქ ტ ი
დ ა შ ი ნ ა ნ ს ე ბ უ ლ ი ა
ე ვ რ ო კ ა ვ შ ი რ ი ს მ ი ა რ



პ რ ო ე ქ ტ ს
ა ს ო რ ც ი ე ლ ა ბ ა
ა ს ო ც ი ა ც ი ა დ ე ა



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა

FAMILY AND SCHOOL COOPERATION

თბილისი

2014

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა

FAMILY AND SCHOOL COOPERATION

მთავარი რედაქტორი: მადონა ხარებავა
Editor responsible: Madonna Kharebava

ავტორები და

შემდგენლები: გიორგი ბისეიშვილი

ნინო გოგიჩაძე

ლუმი იანგი

თეონა ლოდია

ნატა მეფარიშვილი

მადონა ხარებავა

Co-authors: Giorgi Bisevili
Nino Gogichadze
Madonna Kharebava
Teona Lodia
Nata Meparisvili
Lumi Young

წიგნი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით პროექტის „გზა ინკლუზიისკენ“ ფარგლებში, მის შინაარსზე პასუხისმგებელი მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“ა. წიგნი გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშირის პოზიციას.

This book has been produced with the assistance of the European Union within the frames of the project “The way to inclusion”. The contents of this book is the sole responsibility of Association of Disabled Women and Mothers of Disabled Children “DEA” and can in no way be taken to reflect the views of the European Union.

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი
Cover Design and Layout: Giorgi Bagrationi

გამომცემლობა „ნეკერი“, 2014
Publishing House “Nekari”. 2014

ISBN 978-9941-436-92-5

სარჩევი

მადლობა	5
მთავარი რედაქტორისაგან	7
FROM THE EDITOR	13
ახალი სკოლა – ახალი გამოწვევები – მადონა ხარებავა	17
ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა – გიორგი ბისეიშვილი, ნინო გოგიჩაძე, თეონა ლოდია, ნატა მეფარიშვილი	
ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა	28
შესავალი	28
ოჯახის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის სტანდარტი	30
სამართლებრივი ბერკეტები და მშობლის მოლოდინები ..	34
მასწავლებლის მიერ მშობლის აღქმა	35
ოჯახის როლი ბავშვის განათლებაში, სკოლისა და ოჯახის მიდგომების ერთიანობა	36
თანასწორი კომუნიკაციის პირობების შექმნა	37
სკოლის რეალობა	40
მასწავლებლის კომპეტენცია და რეფლექსია	41
ჩივილების აღქმა	42
მშობლის დაბარება	43
თანამშრომლობის შედეგები	45

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის მიმოხილვა – სხადასხვა ქვეყნების მოდელები	46
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ავსტრალიის გამოცდილება	47
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ავსტრიული გამოცდილება	57
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ინგლისური გამოცდილება	64
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის კანადური გამოცდილება	68
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ნორვეგიული გამოცდილება	79
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ფინური გამოცდილება	81
სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის შოტლანდიური გამოცდილება	89
 სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში	 92
 სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელი	 111
დანართი 1.	127
დანართი 2.	129
დანართი 3.	130
დანართი 4.	131
გამოყენებული ლიტერატურა	132

მადლობა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“ მადლობას უხდის ევროკავშირს ფინანსური მხარდაჭერისთვის პროექტისა „გზა ინკლუზიისაკენ“, რომლის ფარგლებში მომზადდა და გამოიცა წინამდებარე წიგნი.

გვინდა მადლიერებით აღვნიშნოთ წვლილი, რომელის პროექტის განხორციელებაში შეიტანა გაეროს ბავშვთა ფონდმა.

განსაკუთრებით აღვნიშნავთ პროექტში ასოციაცია „დეას“ პარტნიორის GNNT ჯგუფის უდიდეს წვლილს პროექტის რეალიზაციაში, მადლობა საკვანძო როლისათვის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში და მის საფუძველზე სკოლასა და მშობლებს / მეურვეებს შორის თანამშრომლობის კონცეფცია/მოდელის შემუშავებაში, აგრეთვე, წინამდებარე გამოცემის მომზადებაში.

თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს პარტნიორს პროექტის განხორციელებაში საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციას, პროექტის ასოცირებულ წევრებს – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისს, ასოციაცია „ანიკას“, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ნათია ჯოხაძეს, ამავე დეპარტამენტის ინკლუზიური განათლების განვითარების სამმართველოს უფროსს ქალბატონ ეკატერინე დგებუაძეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და გადაამზადების სისტემაში“ დირექტორს ქალბატონ მარია ზაქარეიშვილს, ამავე სამინისტროს ექსპერტს ბატონ დავით ზათიაშვილს, საქართველოს

სახალხო დამცველს ბატონ უჩა ნანუაშვილს, სახალხო ოფისთან არსებული შშმ პირთა უფლებების დაცვის ცენტრის უფროსს ქალბატონ ნათია ფირაშვილს.

მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ ასოციაციის უცხოელი საპატიო წევრები, რომლებიც მხარს გვიჭერდნენ ევროპის ქვეყნების განათლების სფეროში მომუშავე ოფიციალურ სტრუქტურებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან კომუნიკაციაში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების კვლევის პროცესში, განსაკუთრებული მადლობა ასოციაციის უცხოელ მოხალისეს ლუმი იანგს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის საკვლევი მასალების მოძიებასა და დამუშავებაში.

განსაკუთრებული მადლობა ჩვენს ბენეფიციარებს – პროფესიულ თემების წარმომადგენლებს, მათ შორის საჯარო სკოლების, განსაკუთრებით, ზუგდიდის №5, თელავის №7, თბილისის №39, №130, №131, №191 საჯარო სკოლების პედაგოგებსა და სასკოლო ადმინისტრაციების წარმომადგენლებს, აგრეთვე მშობლებს, მოსწავლეებს, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, კვლევაში და მოდელის პილოტირებაში მონაწილეობისათვის, განათლების სფეროში მომუშავე პროფესიული თემისა და სხვა დაინტერესებული მხარეების, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს აქტიური მონაწილეობისათვის პროექტის ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობებში, მათ შორის განათლების ხელმისაწვდომობის, კეთილგონივრული სასკოლო გარემოს შექმნა-გაუმჯობესების ხელშეწყობაზე მიმართულ საზოგადოებრივ ადვოკატირებაში და გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციითა და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში მიმდინარე პოზიტიური ცვლილებებით განსაზღვრული ახალი გამოწვევების შესახებ ინფორმაციის გამტარის მეტად ღირებული როლისათვის.

მთავარი რედაქტორისაგან

„გზა ინკლუზიისაკენ“ – ასე ჰქვია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეას“ პროექტს, რომლის ფარგლებშიც გამოდის ეს წიგნი.

პროექტი ხორციელდება 2013 წლის ნოემბრიდან 2014 წლის თებერვლის ბოლომდე პერიოდში ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, პროექტის თანადამფინანსებელია გაეროს ბავშვთა ფონდი.

პროექტის განხორციელებაში ასოციაცია „დეას“ პარტნიორები არიან GNNT ჯგუფი, საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია, პროექტის ასოცირებული წევრები – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს სახალხო დამცველის ოფისი, ასოციაცია „ანიკა“, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაცია.

პროექტის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა ინტეგრაციისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა საქართველოში ინკლუზიური განათლების პრინციპების დანერგვის პროცესში მეტი აქტორების ჩართვისა და მათი ზეგავლენის გაძლიერების გზით.

პროექტი მიმართულია საგანმანათლებლო ინსტიტუციებსა და მშობლებს /მეურვეებს შორის თანამშრომლობის სტიმულირებაზე ინკლუზიური განათლების დონის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანისათვის და მოიცავს ისეთ ამოცანებს, როგორცაა:

- ძირითად აქტორთა და დაინტერესებულ მხარეთა თანამშრომლობის გაღრმავება და დიალოგის შესაძლებლობების გაუმჯობესება მათი ეფექტიანი ჩართულობისათვის კეთილგონივრული საგანმანათლებლო სივრცის შექმნაში;
- სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობათა გაძლიერებისა და კონსოლიდაციის ხელშეწყობა მეტი

ზეგავლენისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ინკლუზიური განათლების დანერგვისა და განვითარების პროცესის ძირითადი აქტორებისა და დაინტერესებული მხარეების ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაცია სასკოლო მიკრო და მაკრო გარემოში.

- საზოგადოების გათვითცნობიერება შშმ პირთა უფლებების და საჭიროებების სფეროში და შშმ პირთა მიმართ დამოკიდებულების შეცვლა პოზიტიური, შესაძლებლობათა შეზღუდვის საფუძველზე დისკრიმინაციის მიმართ სენსიტიურობის ამაღლების კუთხით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულ აქტივობებს შორის საკვანძო მნიშვნელობისაა შემუშავება სკოლასა და მშობლებს/მეურვეებს შორის თანამშრომლობის ალტერნატიული კონცეფცია – მოდელისა, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებზე დამყარებული ეფექტიანი სასკოლო პოლიტიკის რეალიზაციაზე და მშობელთა როლის გაძლიერებასა და მასწავლებლებთან თანამშრომლობის გაღრმავებაზე სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის კეთილგანწყობილი სასწავლო და სოციალური გარემოს შექმნის მიზნით სასწავლო დაწესებულებებში.

მოდელის შემუშავებას წინ უძღოდა თბილისის, ზუგდიდისა და თელავის საჯარო სკოლებში ჩატარებული კვლევა, მიმართული მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის არსებული მდგომარეობისა და ძირითად აქტორთა – მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების ხედვების შესწავლაზე კეთილგონივრული სასკოლო გარემოს, სხვადასხვა აქტორთა შესაძლო როლისა და სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა საერთო და ინდივიდუალური ინტერესების, საჭიროებებისა და მათი გადაჭრის შესაძლო გზების შესახებ. კვლევა განხორციელდა გამოკითხვის, ფოკუსჯგუფების, ჩაღრმავებული ინტერვიუს

მეთოდით, კვლევის პროცესში გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების სადისკუსიო შეხვედრების პროცესში გამოთქმული მოსაზრებები.

კვლევის ერთ-ერთი მიმართულება იყო საერთაშორისო გამოცდილების შესწავლა – ანალიზი სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის სფეროში, შესწავლილ იქნა 7 ქვეყნის, მათ შორის დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილება.

ამდენად, მოდელი შემუშავდა კვლევის პროცესში გამოვლენილი საერთო სურათის ანალიზისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებასთან საქართველოს რეალობისა და რესურსების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. მოდელის სამუშაო ვარიანტი განხილულ და რედაქტირებულ იქნა თბილისში და საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში გამართულ მრავალრიცხოვან სადისკუსიო შეხვედრაზე პროფესიული თემებისა და სხვა ძირითადი აქტორების წარმომადგენელთა მონაწილეობით, მოდელის პრეზენტაციები გაიმართა როგორც განათლების რესურსცენტრებში, ისე გასვლით პრეზენტაციებზე საჯარო სკოლებში. ამ საკითხებს მიეძღვნა მოდელზე მომუშავე ჯგუფის, პროექტის გუნდის საინფორმაციო –სამუშაო შეხვედრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, მოდელი შშმ პირთა ინტეგრაციის, შსმ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად განხილულ იქნა ასოციაცია „დეასა“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მიერ ერთობლივად ორგანიზებულ უწყებათაშორის კონფერენციაზე „უწყებათაშორისი დიალოგის გაღრმავება და ინფორმაციის გაცვლა განათლების ხელმისაწვდომობისათვის, კეთილგონივრული სასკოლო გარემოს შექმნისთვის სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობებისა და სამომავლო ხედვების შესახებ“, რომლის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახალხო დამცველმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს,

ეროვნული სასწავლო პროგრამებისა და შეფასების ცენტრის, აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, პროფესიული გაერთიანებების, მედიის, სხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის, სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი და უმაღლესი, პროფესიული სასწავლო დაწესებულებების პედაგოგებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოდელი პილოტირებულ იქნა თბილისის, ზუგდიდისა და თელავის ექვს საჯარო სკოლაში და, როგორც პილოტირების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, წარმატებითაც. შესაბამისად, მოდელის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებულია ერთის მხრივ, სხვადასხვა დონეზე მისი განხილვისას გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, და, მეორე მხრივ, მისი ეფექტიანობის პილოტირების, პრაქტიკაში აპრობირების გზით გადამონმების შედეგებიც.

ამრიგად, კვლევასა და უშუალოდ მოდელის შემუშავებაში ჩართული ექსპერტებისა და მკვლევართა ძალისხმევით მოდელში აკუმულირებულია სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის განვითარება – გაჯანსაღებაზე მიმართული პროცესის ძირითადი პარამეტრები და ორიენტირები, თითოეული მხარის უფლება – მოვალეობების განმსაზღვრელი თანამშრომლობითი პრინციპები, მეთოდური ხასიათის რეკომენდაციები, პრაქტიკული გამოყენებისათვის გამიზნული დოკუმენტაციის (მათ შორის, მშობელსა და სკოლას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულების ფორმა) ნიმუშები. აქვე აღვნიშნავთ, რომ თუკი დავუბრუნდებით მასწავლებლისა და მშობლის ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს ეფექტური თანამშრომლობისათვის, კონცეფცია იგება იმ პრინციპზე, რომ არ შეიძლება ერთ მხარეს – სკოლას განვუსაზღვროთ არათანაბარზომიერი მოვალეობები და მეორე – მშობელი გამოვათავისუფლოთ თავისი წილი პასუხისმგებლობისაგან და მივცეთ მას საშუალება სკოლისაგან მოწვევის პასიურ

მოლოდინში მყოფ მხარედ აღიქვას თავისი თავი. თუ ორივე მხარემ ეს ვერ გაცნობიერა, საკითხს ვერანაირი კონცეფცია ვერ დაარეგულირებას.

წინამდებარე გამოცემა დაინტერესებულ მკითხველს აძლევს შესაძლებლობას გაეცნოს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებს (კარი 1), სკოლას და მშობლებს/მეურვეებს შორის თანამშრომლობის მოდელს (კარი 2.) და ინფორმაციას საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციის სფეროში (კარი 3.)

წიგნი ავტორ – შემდგენელთა მიერ განიხილება როგორც მეთოდური ხასიათის დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისა და სასკოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელებისათვის მშობლებთან თანამშრომლობის ახალ ნიადაგზე დაფუძნებისთვის და, ამასთან, მშობლებისათვის, რომელთა პედაგოგიური განათლება და მზაობა სკოლასთან თანამშრომლობისათვის, კეთილგონივრული სასკოლო გარემოს შექმნაში თავიანთი შესაძლო როლის გაცნობიერება გადაუდებელი ამოცანაა ახალი სკოლის, ახალი გამონვევების პირობებში.

და ბოლოს, ჩვენს მიერ შემუშავებული და აქ წარმოდგენილი მოდელი ალტერნატიული ხასიათისაა, რადგან მზადდება მშობლისა და სკოლის ურთიერთობის სხვა მოდელებიც, მათ შორის თავად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, მაგრამ ვფიქრობთ ძალისხმევის გაერთიანება და ურთიერთშემავსებელი მუშაობა მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება ამ მნიშვნელოვან საქმეს.

ჩვენი კონცეფციის ამოსავალი ნერტილია ხედვა, რომლის თანახმად პედაგოგიცა და მშობელიც ორიენტირებულია კეთილგონივრული სასკოლო გარემოს შექმნაზე ყველა ბავშვისთვის, ხაზს ვუსვამთ, ყველა ბავშვისთვის, რადგან ჩვენგან, ორგანიზაციის სახელწოდებიდან გამომდინარე, აპრიორი მოელიან ყურადღების კონცენტრირებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მათი ოჯახის წევრების

პრობლემებზე სკოლასთან ურთიერთობაში. ჩვენ პრინციპულად არ განვიხილავთ სასკოლო გარემოს კეთილგონიერულ და კეთილგანწყობილ მონყობას ვინრო თვალსაწიერიდან. ინკლუზიური სკოლა, რომელსაც ჩვენ მივესწრაფვით, არ ტოვებს ადგილს ამ ვინრო თვალთახედვისთვის, ის ღიაა ყველასათვის.

FROM THE EDITOR

“Way to Inclusion” – is the title of the project implement by the Association of Disabled Women and Mothers of Disabled Children Dea within the frames of which the book is published.

The project is carried out since November 2012 with the financial support of the European Union. United Nations Children’s Fund (UNICEF) is co-funding the project.

Project partners are GNNT Group and Georgian Disabled Women’s International Association, associated members of the project are – Ministry of Education and Science of Georgia, Public Defender’s Office, Association “Anika” and Georgian Public Interests Defense Association.

The project is aiming at supporting integration of persons with disabilities and improving quality of their life in Georgia through engaging more actors in the inclusive education sphere.

The project is directed towards contributing to the improvement of inclusive education through stimulating cooperation between education institutions and parents/caregivers and includes the objectives:

- Strengthen cooperation between main actors and stakeholders and enhance dialogue opportunities for their effective inclusion in creating more proactive educational environment;
- Support capacity development of civil society to better influence the decision-making processes; institutionalization of relationship between main actors and stakeholders of inclusive education in micro and macro environment;
- Society awareness on the rights and needs of persons with disabilities and change attitudes towards persons with disabilities through increasing sensitiveness towards discrimination on the grounds of disability.

One of the major activities carried out within the project represents development of alternative concept/model of cooperation between school and parents/caregivers, which is focused on realization of effective school policy based on national goals of general education, increasing parents' roles and strengthening cooperation with teachers due to create more non-discriminative school and social environment for children with special educational needs in educational institutions.

Development of the above model was preceded by the survey carried out in Tbilisi, Zugdidi and Telavai public schools aiming at revealing current situation on cooperation between school and parents, as well as studying views of main actors – teachers, parents, students – on reasonable school environment, identifying possible roles of different actors in revealing/solving interests and problems of students with special educational needs. The survey was based on the questionnaire, focus groups, in-depth interview method and it reflects opinions of different stakeholders expressed on discussion meetings.

One of the aspects of the survey was to study best international practices – analysis of institutionalization of school and family cooperation. Experience of 7 countries, among them Eastern European ones, has been studied.

Thus, the model was developed based on the analysis of survey results and comparative analysis of foreign experience vs Georgian reality. Draft version of the model was discussed and finalized in Tbilisi and on discussion meetings of professional community and main actors held in different municipalities. Presentation of the model was organized in Educational Resource Centers and public schools. The issue was also discussed on the information sharing meeting between project team and the representatives of the Ministry of Education and Science of Georgia, as well as on the meeting of Inter Agency Group on Strengthening Dialogue and Information Sharing for Accessible Education, Activities and Future Plans of Government Authori-

ties on Creating reasonable School Environment”meeting jointly organized by the Association Dea and the Ministry of Education and Science of Georgia and participated by the representatives of Public Defender’s Office, National Curriculum and Evaluation Center, other bodies of executive government, international organizations, NGOs working on human rights, professional unions, media and other stakeholders, among them teachers and admin staff of pre-school and general educational institutions.

It should be underlined that the model was piloted in six public schools of Tbilisi, Zugdidi and Telavi and results analysis has shown that the piloting was successful. Respectively, final model foresees on the one hand, suggestions and recommendations expressed during the discussions and on the other hand, it contains results of piloting, i.e. results approbated in practice.

GNNT Group experts and researchers’ efforts made it possible to incorporate into the model main parameters and pillars of school and family cooperation development, cooperative principles reflecting rights and responsibilities of both parties, methodological recommendations, templates of various documents (among them cooperation agreement between school and parents). It should be noted that teacher and parent functions and responsibilities for effective cooperation is built on the principle of sharing responsibilities among both parties – school and parents. And this should be well acknowledged by both parties, otherwise none of the concepts will work.

Previous edition enables interested reader to get acquainted with survey results carried out within the project (Chapter 1), model of cooperation between school and parents/caregivers (Chapter 2), and information on best practices from foreign countries on the institutionalization of school and parents/caregivers cooperation (Chapter 3).

The book is considered to be a methodological guideline for teachers, school administration and principals for better cooperation with parents and at the same time, it is considered to be for parents who express readiness to cooperate with school and see their role in creating reasonable school environment in the context of new school and new challenges.

Last but not least, the model developed by us and presented here is of alternative nature as other models of cooperation between school and parents are being developed, among them by the Ministry of Education and Science of Georgia, but we deem that putting efforts together will only contribute to this important issue.

Driving force of our concept is a vision according to which both teacher and parent are committed to creating reasonable school environment for ALL STUDENTS, and we underline once again ALL STUDENTS, as due to the name of our organization it is often perceived that we should be focusing on the problems of children with disabilities and their family members only. We deliberately do not consider reasonable school environment from the narrow scope of view. The inclusive school we are striving towards does not leave space for this narrow scope but it is open for everyone.

მადონა ხარებავა,
შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე ქალთა და შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე ბავშვთა
დედათა ასოციაცია „დეას“ აღ-
მასრულებელი დირექტორი

ახალი სკოლა – ახალი გამოწვევები

ინკლუზიური საზოგადოება და ინკლუზიური სკოლა

სოციალური ინკლუზია თანასწორობის უმნიშვნელოვანესი პირობაა, მხოლოდ ღია საზოგადოების პირობებში არის შესაძლებელი ინდივიდისა და ამა თუ იმ ნიშნით გაერთიანებული ადამიანების ჯგუფის სრულფასოვანი ჩართვა უფრო ფართო საზოგადოებაში და მათთვის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა პროცესებთან მიერთების რეალური შესაძლებლობის შექმნა.

ინკლუზია სოციალური თანასწორობის მიღწევის, თავისუფლების მაღალი ხარისხისა და თვისობრივად ახალი ცხოვრების გზაა, რამდენადაც ხსნის სოციალურ სივრცეს, ავლენს გამოუყენებელ ადამიანურ რესურსებს, ადამიანის დაფარულ შესაძლებლობებს, აფართოვებს მის თვალსაწიერს და ცხოვრებისეულ გეგმებს.

მაგრამ წინსვლა ღია საზოგადოებისაკენ მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული არათუ ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში, არამედ კარგად განვითარებულ დემოკრატიულ ქვეყნებშიც, რამდენადაც გამუდმებით მოითხოვს ინოვაციებს, დამოკიდებულებების შეცვლას, და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია -თავისუფალ ბაზარს, მზარდ რესურსებს, როგორც არჩევანის თავისუფლების მნიშვნელოვან პირობას. ამ კონტექსტში,

ამავე სიბრტყეზე შეიძლება განვიხილოთ თავად ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნების, რეგიონების ინკლუზიაც მსოფლიო თანამეგობრობაში – ქვეყანას, ისევე როგორც მოქალაქეს, სჭირდება შინაგანი მისწრაფება, თანმიმდევრულობა, მიზანმიმართულობა და ხელშემწყობი პირობები და მხარდაჭერა, რომ შედგეს როგორც დემოკრატიული სახელმწიფო და უფრო სწრაფად გაიაროს ღია საზოგადოების მშენებლობის პროცესი ქვეყნის შიგნითაც.

ჩვენი საზოგადოების ინკლუზიურობის ხარისხი ავლენს იმასაც, რაც ზედაპირზე დევს – თვალშისაცემ სტერეოტიპებს მოქალაქეთა მიდგომებსა და შეხედულებებში, და იმასაც, რაც სიღრმისეულ პროცესებს წარმოადგენს – სასიკეთო ცვლილებებს სახელმწიფო პოლიტიკაში და საზოგადოების განწყობებში, რაც სასურველზე ნელი ტემპებით, მაგრამ მანძი მიმდინარეობს. ერთიცა და მეორეც სხვა ფაქტორებთან ერთად პირდაპირ უკავშირდება სოციალური განათლების არსებულ ხარისხს, ამდენად, აუცილებელია საზოგადოების უფრო ღრმად გათვითცნობიერება და მომზადება ინკლუზიის, როგორც სოციალური თანასწორობის გარანტის, გათავისებისათვის.

სწორედ აქ იკვეთება განათლების სისტემის განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა. პირველ რიგში, სწორედ სკოლას აქვს საბაზისო ფასეულობებისა და ნორმების უწყვეტი გადაცემის ფუნქცია, ის არის შემაკავშირებელი რგოლი ინდივიდის მორალსა და საზოგადოების მორალს შორის, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რამდენად შეძლებს იგი ბავშვობიდანვე ჩაახედოს და გაათავისებინოს ადამიანს სოციალური ინკლუზიის არსი, რაც თავისთავში მოიცავს აგრეთვე შეურიგებლობას უთანასწორობასთან და დისკრიმინაციასთან შესაძლებლობათა შეზღუდვის, ასაკის, სქესის და ნებისმიერი სხვა ნიშნის საფუძველზე მის უშუალო სიახლოვეს თუ უფრო დიდი მასშტაბით.

ეს ვერ მოხდება თავად სკოლის ღიაობის გარეშე. ამიტომ არის მნიშვნელოვანი მისი რეფორმირება და მეთოდოლოგიური აღჭურვა ინკლუზიური სწავლებისათვის, კეთილგონივრული,

ყველასათვის ხელმისაწვდომი სასწავლო გარემოს შექმნისთვის, მოსწავლესთან, ოჯახთან და საზოგადოებასთან დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული ურთიერთობების ფორმირებისთვის.

ახალი ამოცანები

დღეს საზოგადოება სასწავლო დაწესებულებებს უყენებს ახალ გლობალურ ამოცანებს, როგორცაა საგანმანათლებლო მომსახურების მაღალი დონე და ფართო სპექტრი, აგრეთვე განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისათვის. სკოლა მონოდებულია ბავშვს მისცეს არამხოლოდ აკადემიური ცოდნა სასწავლო პროგრამის ფარგლებში, არამედ ასწავლოს სწავლა, გახსნას მისი ინდივიდუალური, შემოქმედებითი პოტენციალი, განუვითაროს არასტანდარტული, არასტერეოტიპული აზროვნება, რამდენადაც სწორედ ეს პიროვნული თვისებები ხდება სულ უფრო მოთხოვნილი მომავალზე ორიენტირებულ საზოგადოებაში. ამ ამოცანების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში, როცა სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნება კომფორტული საგანმანათლებლო გარემო, რომელშიც სასწავლო პროცესები წარიმართება კეთილგონივრულ პირობებში.

თანამედროვეობის ამ მოთხოვნების, განათლების სისტემის რეფორმირების საერთაშორისო გამოცდილებისა და ქვეყანაში მიმდინარე საფუძვლიანი ცვლილებების საერთო ჭრილში ცვლილებები უნდა მოხდეს ქართული ეროვნული სკოლის წიაღშიც. მან განუხრელად უნდა იაროს ახალი ორიენტირების, ინოვაციური მიდგომებისა და საუკეთესო პედაგოგიური ტრადიციების შერწყმა-განვითარების გზით. ეს არ არის იოლი, რამდენადაც, მართალია, სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტულად არის აღიარებული განათლების სისტემის გაუმჯობესება და შესაბამისად გადადგმულია წარმატებული ნაბიჯები, კვლავ ბევრია გადაუჭრელი პრობლემა: მასწავლებელთა მომზადება არ შეესაბამება თანამედროვე სკოლის მოთხოვნებს მრავალი

თვალსაზრისით, მათი დიდი ნაწილი არ ფლობს სწავლების თანმედროვე ტექნოლოგიებს, მეთოდოლოგიას, არა აქვს მშობლებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის უნარები, არასაკმარისია კოორდინაცია პედაგოგიური კადრების მომზადებასა და ინკლუზიური განათლების საჭიროებებს შორის, რის გამოც ბავშვები ვერ იღებენ სათანადო დახმარებას სწავლის პროცესში და რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

ამ სირთულეებიდან გამოვყოფდით მშობლებთან ნაყოფიერი თანამშრომლობის უნარების დეფიციტს, რაც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამის გარეშე სკოლა ვერ შეძლებს დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ახალ ამოცანებს, მას სჭირდება მოსწავლისათვის ყველაზე ახლობელი ადამიანების – მისი მშობლების, ოჯახის თანადგომა. მათზე უკეთ არავინ იცის ბავშვის თავისებურებები, არავისა აქვს უფრო მძლავრი მოტივი ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას და თვითრეალიზაციას. ამიტომ დღეს სკოლა განუყოფელია მშობლები-საგან და ამ ასპექტში მან უნდა დაძლიოს სტანდარტული, ფორმალისტური მიდგომა მასწავლებელსა და მშობელს შორის კავშირსა და ურთიერთობებში.

სკოლას დღემდე ამძიმებს ტრადიციული მიდგომა, რომლის თანახმად იგი, თუ ექსკლუზიურად არა, უპირატესად მაინც, განიხილებოდა როგორც აკადემიური ცოდნის კერა, ხოლო ოჯახი – როგორც ბავშვის აღზრდისა და პიროვნული ხასიათის ჩამოყალიბების ადგილი. შესაბამისად, ბოლო ხანებამდეც კი, სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთობა მკაცრ ჩარჩოებში იყო მოქცეული -მშობლის ჩარევა სასწავლო პროცესში და პირიქით, სკოლის აქტიური ინტერესი ოჯახური აღზრდისადმი და მით უმეტეს, მისი კორექტირების მცდელობა, სხვის სივრცეში შეჭრად განიხილებოდა..

ამ გადასახედიდან მნიშვნელოვანია, რომ სკოლასა და ოჯახს შორის ურთიერთობებში მკაფიოდ იკვეთება ახალი ხაზი, რომელიც თუ ამ ორი სივრცის ერთ სივრცეში გაერთიანებისკენ არა, მათი საერთო მხების მნიშვნელოვან

გაზრდაზე არის მიმართული. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელსა და მშობელს შორის ურთიერთობებში სკოლის ავტორიტარულ ლიდერობას უნდა ჩაენაცვლოს თანასწორი, თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა და პირველ რიგში, სკოლამ, როგორც განმანათლებლის მისიის მატარებელმა, უნდა მოახდინოს მშობლებთან ურთიერთობის ახალი პარადიგმის ინიცირება – ეს არის ურთიერთობების დამყარება ორმხრივ კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე, პასუხისმგებლობის გადანაწილება, აზრთა სისტემატური გაზიარება და ერთობლივი ქმედება სკოლის კეთილგონივრული მოწყობისათვის. სკოლა და ოჯახი უნდა გაერთიანდნენ მთავარი ღირებულების – მოსწავლის, საზოგადოების ინტერესების გარშემო.

მშობელსაც და მასწავლებელს, უნდა ახსოვდეს, რომ მათ შორის კავშირი და აქტიური ურთიერთქმედება ხელს უწყობს ბავშვის სასწავლო და სოციალური უნარების განვითარებას, სასწავლო პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების უკეთ დაგეგმვას, მუდმივ ურთიერთინფორმირებას როგორც ბავშვის აკადემიური მიღწევების, ისე მისი თვითშეგრძნების შესახებ სკოლასა და ოჯახში, რაც ზრდის სასკოლო გარემოში ბავშვის ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის შესაძლებლობებს.

თანამშრომლობის მნიშვნელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სწავლებისათვის

მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობის ახალი პარადიგმის დამკვიდრება მრავალი ასპექტით არის მნიშვნელოვანი ყველა ბავშვისთვის, მაგრამ ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ეს ტრადიციულისგან უფრო განსხვავებულ, თვისობრივად ახალ საგანმანათლებლო გარემოს ქმნის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (მათ შორის გონებრივი შეზღუდვის) ბავშვებისათვის და ხელს უწყობს საზოგადოების გათვითცნობიერებას და მის დაბალ დონესთან დაკავშირებული ბარიერების მოშლასა და სტერეოტიპებთან ბრძოლას.

ახალი სკოლა, როგორც ღია საზოგადოების მიკრომოდელი

და ორგანული ნაწილი კი არ გაურბის შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ პრობლემებს, არამედ აღიარებს მათ არსებობას და ცდილობს მათ გადაჭრას.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის გაღრმავება ხელს უწყობს ერთიან საანავლო სისტემაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვთა ჩართვის შემაფერხებელი ისეთი ფაქტორების შესუსტებას (დაძლევას), როგორცაა, ერთის მხრივ, მშობლების შიშები და უნდობლობა სასკოლო გარემოს, როგორც მათი ბავშვის მიმართ არაკეთილგანწყობილი გარემოს მიმართ, და მეორე მხრივ, ბავშვის უპერსპექტივობის განცდა, რაც მისი შესაძლებლობების ნეგატიური აღქმებითა და სტერეოტიპებით საზრდოობს, და სკოლის ფუნქციების ბოლომდე გაუცნობიერებლობით საზრდოობს.

მშობელთან თანამშრომლობით ურთიერთობებში იცვლება მასწავლებლის დამოკიდებულებებიც – შშმ ბავშვის სწავლებისათვის პროფესიული მზაობის დეფიციტის პირობებში მასწავლებლისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეგრძნება იმისა, რომ მარტო არ არის პრობლემების წინაშე და ბევრ რამეში შეიძლება დაეყრდნოს მშობლის მხარდაჭერას.

მშობელიცა და მასწავლებელიც საზოგადოების ნაწილია და თავის თავში ატარებს მის არამხოლოდ პოზიტიურ, არამედ ნეგატიურ დამოკიდებულებებსა და წინასწარგანწყობებსაც, შესაბამისად, ორივე მათგანს სჭირდება ძალისხმევის გაერთიანება და ურთიერთდახმარება პრობლემების დაძლევისათვის საკუთარ თავშიც და საზოგადოებაშიც. რაც უფრო სწრაფად და ღრმად გააცნობიერებს მშობელიცა და მასწავლებელიც, რომ სწორედ ისინი არიან ძირითადი აქტორები, კეთილგონივრული სასწავლო გარემოს შექმნაში და ამავე დროს ცვლილებათა ინიციატორები საზოგადოებაში, მით უფრო ქმედითად დაეხმარებიან ბავშვს იპოვოს გზა საკუთარი თავისკენ და საზოგადოებისაკენ, რადგან გზა ღია საზოგადოებისაკენ კეთილგონივრულ სასკოლო გარემოზე გადის.

კეთილგონივრული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოსათვის

დღეს საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილმა იცის სიღრმისეულად, თუ რა სიძნელეებს აწყდებიან შშმ პირები თვითრეალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში, ვინაიდან გარედან მაყურებელი ადამიანი აღქმებისა და მიდგომების ზედაპირულობის გამო, იზოლაციის მიზეზს უპირატესად ხედავს მხოლოდ ჯანმრთელობის მიდგომარეობაში, ფიზიკურ და მენტალურ შეზღუდულობაში და არა საკუთარ თავში, თავის დამოკიდებულებებში. აქედან მოდის სტერეოტიპები და მითები იმის შესახებ, რომ შშმ პირებს, მცირე გამონაკლისის გარდა, არა აქვთ უნარი ისწავლონ, მიიღონ უმაღლესი განათლება, იმუშაონ პროფესიით, იყონ სრულფასოვანი მოქალაქეები, ზეგავლენა იქონიონ საზოგადოებრივ პროცესებზე, შესაბამისად მათგან იქმნება მომხმარებლის, დახმარების ობიექტის, ბალასტის ხატი და ამ ჯგუფის გარშემო ყალიბდება გაუცხოებისა და სოციალური დეზინტეგრაციის ატმოსფერო.

ეს მტკივნეულია, მაგრამ არაფატალური და მარტივად ახსნადი – შესაძლებლობათა შეზღუდვის მიმართ პოლიტიკის სტრატეგიები დევს ეროვნულ სიბრტყეზე და გვიჩვენებს სახელმწიფოს, მისი სოციალური პოლიტიკის ჭეშმარიტ სახეს, ჩვენ კი მხოლოდ ახლა გავდივართ ინკლუზიაზე, როგორც სოციალური სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების პრინციპზე. ინკლუზია კი ემყარება მიდგომას, რომ შშმ პირის, ისევე როგორც ნებისმიერი მოქალაქის, დამოუკიდებელი ცხოვრება სხვა არაფერია, თუ არა უფლება იყოს საზოგადოების განუყოფელი ნაწილი და მიიღოს აქტიური მონაწილეობა სოციალურ – კულტურულ პროცესებში, ჰქონდეს ცხოვრებისეული სიტუაციების მართვის შესაძლებლობა, არჩევანის უფლება და თავისუფლება, ხელი მიუწვდებოდეს შრომასა და განათლებაზე, ადაპტირებულ საცხოვრისსა და საზოგადოებრივ ნაგებობებზე, ტრანსპორტზე, კომუნიკაციის საშუალებებზე. მაგრამ ეს ყველაფერი უკავშირდება მომსახურებისა და ინფორმაციის სექტორის განვითარების

დონეს, ახალი ტიპის რესურსებს, სოციალური სტრუქტურის მოდიფიკაციებს და სხვ. რაც ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა აღიარებს, მაგალითად, განათლების მიღების კანონიერი უფლებებით სარგებლობის თანაბარი შესაძლებლობების შექმნის აუცილებლობას და გადადგმულია მეტად წარმატებული ნაბიჯებიც, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების დიდი უმრავლესობა კვლავ ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის მიღმაა დარჩენილი ან ჩართულია, მაგრამ ვერ იღებს სათანადო მომსახურებას სასკოლო გარემოში.

პრობლემა ვერ გადაწყდება შშმ პირთა მიმართ კეთილ-გონივრული და კეთილგანწყობილი სასწავლო გარემოს შექმნის გარეშე, ეს უკანასკნელი კი გულისხმობს როგორც ტექნოლოგიურ, ისე ზნეობრივ – კულტურული ხასიათის ცვლილებებს და გეოგრაფიული (სივრცული) წინააღობების, ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებული განსხვავებების დაძლევას, პედაგოგთა პროფესიულ მზაობას, ყველა აქტორისა და დაინტერესებული მხარის თანამშრომლობას ბავშვის ინტერესებში. სწორედ ამ უკანასკნელს გულისხმობს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია განათლების ხელმისაწვდომობის საკითხებისადმი მიძღვნილ მუხლებში, რომელთაგან ჩვენი სტატიის უშუალო თემასთან დაკავშირებით გამოვყოფდით შემდეგს: „ინკლუზიური განათლების სისტემაზე გადასვლის პროცესში აუცილებელია მხარდაჭერა მშობელთა, თემის ლიდერთა და მასწავლებელთა მხრიდან.“

მშობელი და მასწავლებელი – საერთო ინტერესებისათვის

როგორც აღვნიშნეთ, სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის პრობლემა მიზეზ-შედეგობრივად არის დაკავშირებული სასწავლო დანესებულებების კონსერვატიზმთან, სკოლების დიდი ნაწილი წარსულის ინერციით კმაყოფილდება ტრადიციული მშობელთა კრებებით, რომელთაც, როგორც წესი,

მშობელთა მცირე რაოდენობა ესწრება და ამასთან არ არის ეფექტური, რადგან ღია კრებებზე გასაგები მიზეზების გამო დღის წესრიგის მიღმა რჩება ყველაზე მწვავე პრობლემები, იქნება ეს ყველასათვის ხელმისაწვდომი, კეთილგონივრული გარემოს შექმნა სკოლაში თუ კონკრეტული ბავშვის რეალურ საჭიროებათა თუ შესაძლებლობათა ობიექტური შეფასება და მოსაზრებათა შეჯერება მასწავლებელსა და მშობელს შორის გულახდილობისა და კეთილგანწყობის, კონფიდენციალობის ატმოსფეროში.

მშობლებში კიდევ უფრო ძლიერია ზედაპირული ხედვები და წარმოდგენები თანამშრომლობის შესახებ, მათში გაცილებით სიღრმისეული გაცნობიერება იმისა, რომ, რაც უფრო ეფექტიანად არის ჩართული მშობელი შვილის სასკოლო ცხოვრებაში, მეტია პედაგოგის შრომის ეფექტი და პირიქით. მშობლები გაურბიან ამ ურთიერთობებს ერთგვარი განგაშის შეგრძნებით (მაგალითად, როცა სკოლაში იბარებენ) და რაც ყველაზე ძნელად დასაძლევია, მყარი შეხედულებით, რომ ჰარმონიული პიროვნების აღზრდა სკოლის თითქმის ექსკლუზიური ამოცანაა, ხოლო მათი ფუნქცია ბავშვის დაპურებაში, ჩაცმა- დახურვაში, ნორმალური ყოფითი პირობების შექმნაში მდგომარეობს.

ხშირად, ბავშვის მიმართ პედაგოგის კეთილგანწყობა მშობლების თვალში არის ლამაზი ტყუილი ბავშვის უნარებისა და შესაძლებლობების შეფასებაში, ამიტომ პედაგოგის მცდელობა გამოიწვიოს მშობელი პრობლემებზე ღია საუბრისათვის, ფარულ კონფრონტაციამდე ან ღია კონფლიქტამდეც კი მიდის.. ვერც იმას ვიტყვით, რომ ყველა მასწავლებელი აპრიორი წარმოადგენს თანამშრომლობის ინიციატორსა და მამოძრავებელ ძალას და დაზღვეულია მიკერძოებისა და წინასწარგანწყობებისაგან. თანამშრომლობას ურთიერთნდობა, შინაგანი მზაობა და შესაბამისი ცოდნა სჭირდება, პირველ რიგში, ორმხრივი ინტერესი, რასაც ხშირად არც ყოფითი პრობლემებით შეჭირვებული პედაგოგი ავლენს, არც მშობელი.

ბევრი ფაქტია იმისა, რომ თვით ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენაც კი მშობლის მონაწილეობის გარეშე ხდება, ბავშვის საჭიროებებისადმი უყურადღებობაში ორივე მხარე სცოდავს, მაგრამ, როგორც წესი მხოლოდ მეორე მხარეს ადანაშაულებს.

ამას განსაკუთრებით უჩივიან მშობლები, რომელთაც საარსებო სახსრების ძიებაში მთელი პასუხისმგებლობა ბავშვის სწავლისა და აღზრდისათვის გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად გადააბარეს პედაგოგებს, ამ მხრივ არც სახელმწიფო დგას სათანადო სიმაღლეზე – ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, ამ საკითხში მასწავლებლის სოციალურ პასუხისმგებლობას არის მინდობილი, ეს ჩვენს პედაგოგებს არასოდეს აკლდათ და ბევრი რამ სკოლაში სწორედ მათ ენთუზიაზმზე გადადის, მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფო პერმანენტულ გმირობას ითხოვდეს მასწავლებლისგან. მათთვის უკეთესი პირობების შექმნაა საჭირო.

რაკი თანამშრომლობისაკენ მისწრაფების მეტობასა და ნაკლებობაზე ვსაუბრობთ, ალბათ უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლამ, ისევე როგორც სახელმწიფომ მეტი უნდა იფიქროს მშობელთა პედაგოგიურ განათლებაზე, თუ ოჯახთან თანამშრომლობის ეფექტიანი ფორმების ცოდნა პედაგოგის პროფესიული მზაობის ნაწილია, მშობლის პედაგოგიური განათლება ჩვენში ყველაზე სუსტი რგოლია ამ თვალსაზრისით. შესაბამისად, მშობელთა სწავლებაში აქცენტები უნდა გაკეთდეს მშობელთა შეხედულებებისა და სტერეოტიპების შეცვლასა და ორიენტირებაზე თანამედროვე სკოლის და, პირველ რიგში, ბავშვის ახალ საჭიროებებზე, მათი მზაობის ხელშეწყობაზე მასწავლებელთან თანამშრომლობისათვის, პედაგოგიური განათლებისამი მისწრაფებასა და მისი მნიშვნელობის გაცნობიერებაზე.

ასეთია მოკლედ პრობლემათა წრე, რომელიც უკავშირდება სკოლასა და მშობელს/მეურვეებს შორის თანამშრომლობის

აყვანას ახალ სიმაღლეზე, რაც გულისხმობს ამ ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციას და ყველა აქტორისა და დაინტერესებული მხარის კონსოლიდაციას მოსწავლეებისა და საზოგადოების ინტერესებზე ორიენტირებული სასწავლო და სოციალური გარემოს შექმნისთვის სკოლაში, ეფექტიან კომუნიკაციას, თანამშრომლობითი განწყობისა და მისწრაფებების სტიმულირებას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას და ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის, ურთიერთნდობისა პრინციპების დამკვიდრებას.

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა

შესავალი

ოჯახი არის უმნიშვნელოვანესი გარემო, სადაც ბავშვი სანყის განათლებას იღებს. ბავშვის განათლებასა და განვითარებაზე გავლენა ოჯახს სკოლის პერიოდში და შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე აქვს. თავის მხრივ, სკოლას აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს მომავალი თაობების აღზრდას. იგი უზრუნველყოფს „მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნას“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, მუხლი. 3. 2005).

„მოსწავლეთა წარმატებისთვის მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მშობელსა და სკოლას შორის არსებული კეთილგანწყობაა. კვლევების თანახმად, რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, ესაუბრება მას განათლების მიღების მნიშვნელობაზე, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მას სწავლების პროცესში შექმნილი პრობლემების გადალახვაში, მით უფრო მკვეთრად იზრდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება სკოლაში, იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ბავშვს მეტად უყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, იზრდება სასკოლო გეგმაში დასახული მიზნების შესრულების ხარისხი, სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი“ (განათლების სამინისტრო. 2012).

შესაბამისად, ოჯახის სკოლასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა ბავშვის მაღალი ხარისხის

განათლების უზრუნველსაყოფად და სკოლის მართვის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს (The Department of Education, Employment and Workplace Relations, Australia, გვ.2).

მასწავლებლები ოჯახის მონაწილეობას მოსწავლეთა წარმატების მიღწევაში განსაკუთრებულ ფაქტორად მიიჩნევენ, მშობლები კი, მათი შვილების განათლებას პედაგოგებს ანდობენ. ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად ყოველდღიური ნაბიჯების გადადგმის საქმეში გადამწყვეტია მასწავლებელს, მოსწავლესა და მშობელს შორის ურთიერთობების/ კომუნიკაციის ისეთი ფორმალიზებული და არაფორმალური ელემენტების დანერგვა-განვითარება, რომელიც შესაძლებელს გახდის მხარეთა შორის ინფორმაციის, ხედვებისა და გამოცდილების გაცვლას. შესაბამისად, გულისხმობს ამ გაცვლისათვის სათანადო პირობების შექმნას, ეფექტური ხერხებისა და შინაარსის შემუშავებას. კვლევა ადასტურებს, რომ მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობაში შეიძლება არსებობდეს ბარიერები, რომელთა გამოკვლევა და გადალახვა ძალზე მნიშვნელოვანია (Westergard E. 2010).

მშობელთან თანამშრომლობის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც, სკოლა საჭიროებს დამატებით ძალისხმევას მოსწავლის ინდივიდუალობასთან დაკავშირებით. ამიტომაც სპეციალური სასწავლო საჭიროების მქონე(სსსმ) მოსწავლეები და მათი ოჯახები, ხშირად ექცევიან სკოლის ყურადღების ქვეშ. საქართველოს რეალობაში სკოლის თანამშრომლების მხრიდან სსსმ მოსწავლის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება გამოწვეულია, ერთის მხრივ, ინკლუზიური სწავლების სიახლით და უკვე სისტემაში დამკვიდრებული პრაქტიკით, ადამიანური თუ ტექნიკური რესურსების სიმწირით, მეორეს მხრივ კი, სსსმ ბავშვის მშობლის ზედმეტი აქტიურობა ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა მშობლების მიმართ სხვა მშობლებისა და მასწავლებლების ნეგატიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას (გოგიჩაძე ნ. 2012).

ნაშრომში წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს სკოლის და ოჯახის თანამშრომლობის ისეთი მოდელის შემუშავებას, რომელიც მინიმუმადე დაიყვანს სსსმ მოსწავლეთა მშობლების მიმართ პოზიტიურ დისკრიმინაციას. აღნიშნული სისტემაში დამკვიდრებულია მხოლოდ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის და სხვადასხვა სპეციალისტების კონსულტაციების მიღების შესაძლებლობის სახით. მიგვაჩნია, რომ თანამშრომლობის ახალი მოდელი სხვა მშობლებსაც შეუქმნის სათანადო პირობებს სკოლის ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, კვლევის ამოცანას წარმოადგენს საერთაშორისო გამოცდილების და საქართველოში არსებული პრაქტიკის შესწავლა.

ოჯახის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის სტანდარტი

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის თანამედროვე სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბება საზრდოობს ჯ. ჰოპკინსის უნივერსიტეტში ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის მრავალწლიანი გამოცდილებით.

ეპშტეინის (Epstein, 2001) კვლევა გვთავაზობს მშობლის სკოლასთან ეფექტიანი თანამშრომლობის ტიპოლოგიურ მოდელს, რომელიც ფოკუსირდება 6 კომპონენტის ირგვლივ. ჰოპკინსის უნივერსიტეტში განხორციელებული სამუშაო ემსახურებოდა სკოლების გაძლიერებას სასწავლო კომპონენტში მშობლების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

1. მშობლის დახმარება – გულისხმობს მშობლის იმ უნარების განვითარების ხელშეწყობას, რაც დაეხმარება მას კარგად გაერკვეს შვილის სასწავლო საჭიროებაში და მასწავლებელსაც დაეხმაროს ამ საჭიროების ამოცნობაში; დახმარების ფორმები შესაძლოა მოიცავდეს:

- მშობლების საგანმანათლებლო კურსებს;

- მშობლის დამატებით მომსახურებას ჯანმრთელობის, კვების და სხვა სფეროში;
 - ოჯახში ვიზიტებს სასკოლო საფეხურების გარდამავალი პერიოდების დროს.
- 2. კომუნიკაციის ეფექტიანი ფორმები** – გულისხმობს ორმხრივი, ღია კომუნიკაციის განხორციელების შესაძლებლობას სკოლას და ოჯახს შორის სასწავლო პროგრამების და მოსწავლის პროგრესის თაობაზე. კომუნიკაციის ეფექტიანი ფორმები შესაძლოა მოიცავდეს:
- თითოეული მშობლისათვის კონფერენციას წელიწადში ერთხელ მაინც;
 - ენის თარჯიმანს საჭიროების შესაბამისად;
 - საჭირო შეტყობინებების რეგულარულ მიღებას, როგორცაა ბარათი, სატელეფონო ზარი, საინფორმაციო წერილი და სხვა.
- 3. მოხალისეობის შესაძლებლობა** – გულისხმობს მშობლის ნიჭისა და წვლილის აღიარებასა და დაფასებას, როგორც სკოლაში, ასევე სკოლის კონტექსტში; აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს:
- მოხალისეთა პროგრამას, რომელიც ეხმარება მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და სხვა მშობლებს;
 - მშობელთა ოთახს, ცენტრს მოხალისეობისათვის და მშობლების რესურსებისათვის.
 - მშობელთა ყოველწლიური გამოკითხვა მოხალისეობის დასაგეგმად მშობლების ნიჭის, დროის და ადგილმდებარეობის შესახებ.
- 4. სწავლა სახლში** – გულისხმობს ოჯახის ინფორმირებას იმის თაობაზე, თუ როგორ გაეწიოს მოსწავლეს დახმარება საშინაო დავალების შესრულებისას, სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული სხვა აქტივობების, გადწყვეტილების თუ დაგეგმვის განხორციელებასთან

დაკავშირებით. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს:

- მშობლის ინფორმირებას სწავლის ყველა საფეხურის შესაბამისი მოლოდინების და უნარების თაობაზე;
- ინფორმაციას დავალებებთან დაკავშირებულ შინაგანანსისა და მათი შესრულების მონიტორინგის ფორმების შესახებ;
- ოჯახის მონაწილეობას მოსწავლის წლიური გეგმის განსაზღვრაში და შემდგომი სწავლისა და სამუშაოს დაგეგმვაში.

5. გადანყვეტილების მიღება – გულისხმობს მშობლის მონაწილეობას სკოლის გადანყვეტილებების მიღების პროცესში და სკოლის მონაწილეობას მშობელთა წარმომადგენლებისა და ლიდერების გაერთიანებების ჩამოყალიბებაში. ეს კომპონენტი შესაძლოა მოიცავდეს:

- აქტიურ მშობელთა თუ მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციების, ან სხვა სახის მშობელთა ორგანიზაციების, საბჭოების თუ კომიტეტების ჩამოყალიბებას;
- ადვოკატირების დამოუკიდებელი ჯგუფების ჩამოყალიბებას სკოლის გაუმჯობესებისა და რეფორმირების ხელშეწყობისათვის.
- მშობელთა წარმომადგენლების დაკავშირებას მშობელთა ქსელის ჩამოყალიბების გზით.

6. თემთან თანამშრომლობა – გულისხმობს თემში არსებული რესურსების მოძიებას სკოლის პროგრამების, ოჯახების საქმიანობის, მოსწავლეთა სწავლისა და განვითარების ხელშესაწყობად. ეს კომპონენტი შესაძლოა მოიცავდეს:

- ინფორმაციას ჯანმრთელობის, კულტურისა და რეკრეაციის, სოციალური მხარდაჭერის და სხვა პროგრამების შესახებ.
- ინფორმაციას თემის საქმიანობის შესახებ, რომელიც სწავლის უნარების განვითარებისა და ნიჭის

გამოვლენის საშუალებას იძლევა, მაგალითად, სხვადასხვა საზაფხულო პროგრამები (Michigan Department of Education, National Network of Partnership Schools, PTA.2012).

ოჯახის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის ექვესკომპონენტიანი სტანდარტი შექმნილია ეპსტეინის მოდელზე დაყრდნობით.

სტანდარტი I: კომუნიკაცია – რეგულარული, ორმხრივი და შინაარსიანი კომუნიკაცია ოჯახსა და სკოლას შორის

სტანდარტი II: მშობლის უნარები – ხდება მშობლის უნარების ნახალისება და ხელშეწყობა.

სტანდარტი III: მოსწავლის სწავლა – მშობელი განუყოფელ როლს თამაშობს მოსწავლის დახმარებაში სწავლის პროცესში.

სტანდარტი IV: მოხალისეობა – მშობელთა მობრძანება სკოლაში, მათი მხარდაჭერის და დახმარებას მცდელობა დაფასებულია.

სტანდარტი V: სკოლის გადამწყვეტილების მიღება და ადვოკატირება – მშობლები სრულუფლებიანი პარტნიორები არიან იმ გადამწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვებსა და ოჯახებზე.

სტანდარტი VI: თემთან თანამშრომლობა – საზოგადოებრივი თემის რესურსები გამოიყენება სკოლის, ოჯახისა და მოსწავლის სწავლის გასაძლიერებლად.

სამართლებრივი ბერკეტები და მშობლის მოლოდინები

ნორვეგიის მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებლის მცდელობას წარმართოს კონსტრუქციული დიალოგი თავისი მოსწავლეების მშობლებთან (Westergard E. 2007, გვ.159). ქვეყნის კანონმდებლობა ხაზს უსვამს (MER, 2004 from Westergard E. 2007) სკოლის პასუხისმგებლობას გაზარდოს მშობლის გავლენა და მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში. სკოლა პასუხისმგებელია ინიციატივა გამოიჩინოს ოჯახისა და სკოლის კოოპერაციის უზრუნველსაყოფად. ეს შეხედულება, ტრადიციული სკოლის, როგორც ჩაკეტილი სისტემისათვის, ძირეულად განსხვავებული როლის მინიჭებას გულისხმობს. ასეთი სკოლა მეტად არის ანგარიშვალდებული მოსწავლის მშობლის მიმართ, თუმცა კვლევები ადასტურებს, რომ სახელმწიფო ხედავს და სასკოლო პრაქტიკა ერთმანეთისგან განსხვავებულია. ნორვეგიაშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მშობლები კარგად არიან ინფორმირებულები, სკოლები მაინც ვერ ახერხებენ მათი სათანადო მონაწილეობის უზრუნველყოფას, და მშობლებს მიაჩნიათ, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ბერკეტები შვილის განათლებაზე ზემოქმედებისთვის.

მასწავლებლისა და მშობლის შეხედულება სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ერთმანეთისაგან განსხვავებულია. კერძოდ, მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ შეხვედრაზე მშობელი უნდა მოვიდეს საჭიროებისამებრ, დაეხმაროს ბავშვს დავალების შესრულებაში, ხოლო მშობლები მოელიან, რომ მასწავლებლები მისცემენ ბავშვებს კარგ განათლებას, ხელს შეუწყობენ მათ განვითარებას, და ამ პროცესში უზრუნველყოფენ ბავშვებს ყველა საჭირო დახმარებით. აღნიშნული განხორციელებადია იმ პირობებში, როცა მასწავლებლები სისტემატურად ატყობინებენ მშობლებს მათი შვილის სასწავლო წარმატებებისა თუ პრობლემების შესახებ (Westergard E. 2007.გვ.159).

მასწავლებლის მიერ მშობლის აღქმა

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის საფუძველს ქმნის მასწავლებლის მხრიდან მშობლის აღქმა – როგორია მშობელი და შესაბამისად, რას მოელოს მისგან, და როგორ ურთიერთობას სთავაზობს კომუნიკაციის შესაძლებლობის დროს (Westergard E. 2007, გვ.159).

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაციონალურ შერჩევაზე დამყარებული კვლევის თანახმად, სსსმ მოსწავლის, კერძოდ, აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე მოსწავლეების მშობლები უფრო ხშირად ესწრებიან მშობელთა კრებებს, იღებენ კონსულტაციებს და მონაწილეობენ საშინაო დავალების მომზადებაში. თუმცა, ისინი არ ექვემდებარებიან ზოგად ტენდენციას, რომლის მიხედვითაც, მშობლები, რომელთა მონაწილეობის ხარისხი სასკოლო ცხოვრებაში უფრო მაღალია, შესაბამისად, მეტად არიან კმაყოფილები სკოლით. სსსმ მოსწავლის მშობლები, მათგან განსხვავებით, აფიქსირებენ სკოლით უკმაყოფილებას კომუნიკაციასთან დაკავშირებით (Zablotsky B, Boswell K, Smith C. 2012).

მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ნდობის ჩამოყალიბება გადამწყვეტი ელემენტია ეფექტიანი თანამშრომლობისთვის. კვლევები ადასტურებს, რომ სწორედ ნდობის დონე იკლებს მოსწავლის ასაკის მატებასთან ერთად. ნდობის შენარჩუნებისთვის გადამწყვეტი ფაქტორია მშობელსა და მასწავლებელს შორის არსებული ურთიერთობის ხარისხი, ხოლო ნდობა, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მოსწავლის სასკოლო წარმატების ინდიკატორებზე. შესაბამისად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სკოლის ძალისხმევას ამ მიმართულებით (Adams K.S., Christenson S. L. 2000).

ოჯახის როლი გავშვის განათლებაში, სკოლისა და ოჯახის მიღბომების ერთიანობა

ნორვეგიელი ავტორი, ბირკემო (Birkemo, 2001, from Westergard E. (2010) აღნიშნავს, რომ მშობლების განათლება მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვების მიღწევებთან. ეს ნიშნავს, რომ შვილებს, რომელთაც ჰყავთ უმაღლესი განათლების მქონე მშობლები, აქვთ უფრო მაღალი მიღწევები და ასეთი მშობლები მეტად მონაწილეობენ შვილის სკოლასთან ურთიერთობაში. ამ ფაქტორის მნიშვნელობას კიდევ უფრო უსვამს ხაზს ბაკენი (Bakken, 2003, from Westergard E. (2010). იგი აღნიშნავს, რომ ოჯახური გარემო კიდევ უფრო დიდ დატვირთვას იძენს, ვიდრე ეს იყო 10-15 წლის წინათ, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიაში ყველა მოსწავლეს თანაბარი შესაძლებლობა აქვს მინიჭებული, მაინც იჩენს თავს სოციალური უთანასწორობა. როგორც ჩანს, სკოლაში შეცვლილი მუშაობის წესი, მეტი პროექტები და მონაწილეობა მოსწავლის ახალი ტიპის საქმიანობებში უფრო ხელეწიფებათ უმაღლესი განათლების მქონე მშობლებს (Westergard E. 2010). ასეთ ოჯახებში იციან, როგორ დაეხმარონ შვილს დავალების მომზადებაში და ამისათვის იყენებენ შესაფერის შესაძლებლობას. ეს შეხედულება ეხმიანება ეპშტეინის (Epstein, 2001) „სკოლის მსგავსი სახლების“ კონსტრუქტს, სადაც ოჯახები სკოლასავით მუშაობენ. სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობა შესაძლებელია, როდესაც მხარეები ერთმანეთს აცნობენ სააღმზრდელო მიდგომებს, იზიარებენ ერთმანეთის შეხედულებებს აღზრდის ფორმების შესახებ და, შესაბამისად, იყენებენ ერთნაირ მიდგომებს.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, ამერიკელი ავტორები (Henderson and Berla. 1994) საკითხის ჩალმავებული შესწავლისა და 66 კვლევის მიმოხილვის საფუძველზე ხაზს უსვამენ საგანმანათლებლო პროცესის ფაქტორების მნიშვნელობას და არა მშობლების სტატუსს. მოსწავლის წარმატებაში გადამწყვეტია ოჯახის უნარი

შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო, გადასცეს შვილებს მაღალი და რეალისტური მოლოდინები სასკოლო მიღწევებთან და სამომავლო კარიერასთან დაკავშირებით. პოზიტიური სასწავლო გარემო და მაღალი მოლოდინები უკვე დოგმატურ დატვირთვას იძენს თანამედროვე განათლების განმსაზღვრელ დოკუმენტებში.

თანასწორი კომუნიკაციის პირობების შექმნა

მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე ძლიერ წინაპირობად მიიჩნევა თანამშრომლობის ფორმირებაში (Christenson & Sheridan, 2001). ეს დამოკიდებულება მყლავნდება იმაში, თუ როგორ ექცევიან ისინი ერთმანეთს, როგორ საუბრობენ ან ფიქრობენ ერთმანეთის შესახებ.

ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ სკოლაში არსებული პრაქტიკის გააზრების მნიშვნელობას, რადგან რაც უნდა ხანმოკლე იყოს მშობლის და მასწავლებლის შეხვედრა სკოლაში, მასწავლებელს მაინც შეუძლია გადასცეს გზავნილი იმის თაობაზე, რომ მშობელი უძღურია, ან არ ფლობს ინფორმაციას, არ იცის და შესაბამისად, არ არის თანასწორი პარტნიორი საკუთარი შვილის განათლების პროცესში (Westergard E. and Galloway D. 2004, გვ.191)

მშობლის გაძლიერების პროცესი არ გულისხმობს ცვლილებას ურთიერთობაში ჩართულ მხარეებს შორის ძალაუფლების გადანაწილებაში. ამ დროს მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა და მშობელთა ყურადღება გამახვილდეს ორმხრივობაზე პროფესიონალსა და არაპროფესიონალს შორის ურთიერთობაში. მასწავლებელი არ გამოდის ექსპერტის როლში, რომელიც ერთადერთია, ვინც იცის, რა არის ბავშვისათვის საუკეთესო. ამ დროს მასწავლებელსაც და მშობელსაც თავისი

წვლილი შეაქვს მისი ცოდნიდან გამომდინარე, ცოდნასთან ერთად მშობლები გამოხატავენ საკუთარ ღირებულებებსაც. ამგვარი პოზიცია აუმჯობესებს ორმხრივი დიალოგის შესაძლებლობას (Westergard E. 2010.გვ.26.).

აღნიშნული მიმართულება ეყრდნობა ღირებულებას, რომ მნიშვნელოვანია თვითგამორკვევის პროცესის ხელშეწყობა და ბაზისური უფლებების გააზრება, რომ ეს უფლებები საყოველთაო საზოგადოების ყველა წევრისათვის, მიუხედავად წარმოშობისა, ყველა იმსახურებს პატივისცემით მოპყრობას და ყველას აქვს უნარი გააკეთოს თავისი არჩევანი (Westergard E. 2010.გვ.26.).

მშობლის გაძლიერება ეყრდნობა დემოკრატიის ბაზისურ პრინციპს. მშობლებთან თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად ძალაუფლება ისე უნდა იყოს გადანაწილებული, რომ მშობლები გრძნობდნენ მასწავლებელთან დიალოგის შესაძლებლობის არსებობას. მნიშვნელოვანია მშობელს ჰქონდეს განცდა, რომ მას აქვს მართვის ბერკეტები და არის მონაწილე მხარე კომუნიკაციის პროცესში. ამის უზრუნველსაყოფად საჭიროა მასწავლებელმა დიდი ძალისხმევა დახარჯოს ცნობიერ რეფლექსიაზე. ცნობიერი რეფლექსიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მასწავლებლის მიერ იმის გაცნობიერება, რომ ის აღჭურვილია სკოლის ინსტიტუციონალური ძალით (Westergard E. 2010.გვ.26.).

კომუნიკაცია რომ შედგეს, მონაწილე მხარეებს უნდა ჰქონდეს თანაბარი კომუნიკაციური ძალა. კომუნიკაციური ძალა არ განისაზღვრება რომელიმე მხარის მხრიდან, მაგალითად, სკოლის ფლობით, ან უპირატესი სოციალური პოზიციით, ის გულისხმობს იმ ადამიანების დაფასებას, რომლებიც მონაწილეობენ კომუნიკაციაში (Westergard E. 2010.გვ.26.), Habermas, 1999).

ტერმინის – „მშობლის ჩართულობა“ გამოყენების შემთხვევაში, უკვე კომუნიკაციური ბალანსის დარღვევას ეყრება საფუძველი, რადგან თუ სიტყვა „ჩართვის“ მნიშვნელობას გავიაზრებთ, ის გულისხმობს ერთი მხარის

მიერ მეტი ძალაუფლების ფლობას – ანუ ამ შემთხვევაში სკოლის წარმომადგენელს აქვს ძალა /ძალაუფლება და მისი პრეროგატივაა ვინმეს „ჩართვა“, შესაბამისად, შეუძლია მოახდინოს ზემოქმედება სხვაზე საკუთარი სურვილისა და შეხედულების შესაბამისად ისე, რომ ზემოქმედების დროს შესაზლოა საერთოდ არ გაითვალისწინოს იმის ინტერესები, ვისაც „რთავს“. აქ არც კი ისმის კითხვა, უნდა თუ არა მშობელს, იყოს ჩართული, ან რა ფორმით სურს, რომ იყოს ჩართული. აქ თითქოს ფლერს სკოლის ნება, ჩართოს მშობელი ანუ ამ შემთხვევაში ირღვევა ბაზისური უფლება თანასწორობის თაობაზე. სკოლის ცხოვრებაში მშობლის მონაწილეობისათვის სავალდებულოა სკოლის სურვილი, რომ ასეთი კომუნიკაცია შედგეს და ეს ალბათ სკოლის კოლექტივის ერთ-ერთი ძირითადი პასუხისმგებლობაა, თუმცა მშობლის გაძლიერებისათვის გამიზნული საქმიანობა ვერ იქნება ნაყოფიერი, თუ პროცესის სახელდებისას დაარღვევს თანასწორობის პრინციპს.

სახელმწიფოს მიერ კომუნიკაციის ხელშეწყობის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს თანასწორობის პრინციპი და ამას კარგად წარმოაჩენს სიტყვა „თანამშრომლობა“. თუმცა, საგანმანათლებლო სფეროში ასევე არსებობს ტერმინი პარტნიორობა (Desforges and Abouchaar, 2003; MER, 2006 from Westergard E. 2010). აქ უკვე ხდება პარტნიორის როლის მინიჭება მშობლისათვის განათლების და გადამწყვეტილების მიღების პროცესში. პარტნიორობა გულისხმობს თანასწორობას ინფორმაციის გამოყენებისას (Westergard E. 2010, გვ.21), განიხილება როგორც თანაბარი შესაძლებლობის მიცემა ინფორმაციის მოპოვების თუ გაცვლის დროს (Galloway, Armstrong and Tomlinsson, 1994, Todd, 2000) და გულისხმობს მხარეების აქტიურ მონაწილეობას.

სკოლის რეალობა

კომუნიკაციის პროცესში ფიქსირდება ერთი ძალიან პრაგმატული დაბრკოლება – საუბრის სირთულე, თუ ეს საუბარი შეეხება ბავშვის რაიმე პრობლემას სწავლასა თუ ქცევაში. მასწავლებლები ასეთი საუბრის წარმართვას ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სტრესს ფაქტორად მიიჩნევენ (Westergard E. and Galloway D. 2004, 192)

მშობლის მონვევა რაიმე პრობლემის განსახილველად სწორედ ისეთ ვითარებას ქმნის, როდესაც მშობელი თავდაცვის პოზიციაშია. ის ფიქრობს, რომ პარტნიორობა დაირღვა და ან შეიძლება საერთოდაც არ არსებობდა.

მშობლების გაძლიერების პერსპექტივა მაშინ არის ქმედითი, როდესაც მასწავლებელი აფასებს მშობლის მონაწილეობას და ამას გამოხატავს მშობელთან დიალოგისას (Westergard E. 2010, გვ.27). ეს პერსპექტივა არის ეკოლოგიური ხედვა (Bronfenbrenner, 1994), რომელიც განიხილავს კომუნიკაციის იმგვარი გააზრების შესაძლებლობას, რომ ეს არის ბალანსის დარღვევა ინდივიდის მიკრო სისტემაში არსებულ ინტერაქციებს შორის. ამ დროს საჭიროა ყურადღების ფოკუსირება სწორედ დარღვეულ ბალანსზე და არა თავად პრობლემურ ქცევაზე. მშობლებთან მუშაობის დროს მთელი ძალისხმევა უნდა დაიხარჯოს იმაზე, რომ შენარჩუნდეს კოოპერაცია ბავშვის ირგვლივ არსებულ ეკოლოგიურ სისტემაში.

მასწავლებლის კომპეტენცია და რეჟლექსია

მასწავლებლის მიერ საკუთარი კომპეტენციისა და ეფექტიანობის განცდა მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს იმაზე, თუ როგორ დაინახავს ის მშობელს. ეს განცდა შეიძლება მოიცავდეს საგნობრივი ექსპერტიზის გააზრებას, კლასის ლიდერად საკუთარი თავის მიჩნევას, და ასევე, მის პრაქტიკას მოსწავლეებისთვის ავტონომიურობის მინიჭებასთან დაკავშირებით (Westergard E. 2010, გვ.161).

მოსწავლის ცუდი საქციელი იწვევს მშობლების ჩივილების ზრდას მასწავლებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის შესახებ, რაც ერთგვარ დაძაბულობას ქმნის მასწავლებელსა და მშობელს შორის (Miller 2003, from Westergard E. 2010).

როლანდი და გალოუი (Roland and Galloway 2002) აღნიშნავენ მასწავლებლის, როგორც ლიდერის, როლს ეფექტიანი სასწავლო გარემოს შექმნაში. მასწავლებელს ძლიერი გავლენის მოხდენა შეუძლია კლასის სოციალურ გარემოზე, მის მიერ კლასის მართვის სტილი გავლენას ახდენს კლასის სტრუქტურაზე, კლასელებს შორის ბულინგის განხორციელების შესაძლებლობაზე.

კლასში მოსწავლეებისთვის ავტონომიურობის მინიჭება-არმინიჭების საკითხი არაერთგვაროვან შეხედულებებს ბადებს. ლორტი (Lortie, 1975, from Westergard E. 2010) აღნიშნავს, რომ მოსწავლის მიერ საკუთარი კომპეტენტურობის აღქმა დამოკიდებულია მასწავლებლის მხრიდან მისთვის მინიჭებული ავტონომიურობის ხარისხზე, თუმცა, მშობლები ერთნაირი ეჭვით უყურებენ მასწავლებლის მიერ ბავშვებისათვის ავტონომიურობის მინიჭებას თუ მის შეზღუდვას.

ჩივილების აღქმა

მასწავლებლის მხრიდან მშობლების ჩივილების აღქმა უნდა მოხდეს მთლიანი სასკოლო კულტურის გააზრების ფონზე.

რა უშლის ხელს, რომ მასწავლებლებმა ამოიცნონ ჩივილები?

როგორ აღიქვამენ მშობლების ჩივილებს მასწავლებლები?

- ა) ჩივილების აღქმა ხდება მასწავლებლის, როგორც ლიდერის პოზიციიდან, საკუთარი კომპეტენტიურობის ფარგლებში, რათა თავი გაართვას რთულ სიტუაციებს და ავტონომიურობა მიანიჭოს მოსწავლეებს;
- ბ) ჩივილები ეს არის მასწავლებელზე განხორციელებული ზენოლის ფორმა – ერთგვარი წნეხი.
- გ) მშობლის ჩივილები არის, ასევე, სკოლის, როგორც მთლიანი პროფესიული კულტურის ფაქტორი (Westergard, E. 2010, გვ 166).

ნორვეგიელი ავტორები ვესტერგარდი და გალოვეი 4 კომპონენტის ირგვლივ აჯამებენ მშობელთა ჩივილების თემებს:

1. სკოლის ფსიქო-სოციალური ასპექტები (Liden, 1997; Norland, 2000.);
2. მასწავლებლის მხრიდან არასაკმარისი მგრძობიარობა მშობლის მხრიდან გამოხატული ჩივილების მიმართ (Vester, 1995);
3. მასწავლებლის მხრიდან ბავშვის მიერ განცდილი პრობლემის გადაბარება, მაგალითად, ბულინგის შემთხვევაში (Norland, 2000; Vester, 1995);
4. საკლასო გარემოს ან სწავლების ასპექტები (Norland, 2000; Vester, 1995). (Westergard E., Galloway D. 2004, გვ.193).

მშობლის დაბარება

მშობლებთან მუშაობისას კრიტიკულ ელემენტს წარმოადგენს მასწავლებლებისა და სხვა სპეციალისტების დამოკიდებულება მშობლისა და ბავშვის მიმართ. მშობელი ღელავს და დაძაბულია, როცა ბავშვზე სასაუბროდ ინვევენ სკოლაში, ხშირად თავს გაკიცხულად გრძნობს და მოელის, რომ ბავშვის საქციელის გამო დაადანაშაულებენ (Thambirajah et al. 2008, გვ.85).

მშობლების დამოკიდებულება მასწავლებლისა და სხვა სპეციალისტების მიმართ, როგორც წესი, შეფერილია მათი წარსული გამოცდილებით სკოლასთან და მის ავტორიტეტულ ფიგურებთან ურთიერთობაში. ეს გამოცდილება შესაძლოა დაკავშირებული იყოს მშობლის, როგორც მოსწავლის გამოცდილებასთან სკოლაში. მშობლებს, რომელთაც ბავშვობაში თავად ჰქონდათ სირთულეები სკოლაში და მასწავლებელთან, განსაკუთრებით ეჭვნარევი დამოკიდებულება აქვთ და ერთგვარად, თავდაცვის პოზიციაში დგებიან. ამ დროს გადამწყვეტია, მშობელს მიეცეს შიშის გაქარწყლების და დაძაბულობის მოხსნის შესაძლებლობა, რითაც გზა ეხსნება თანამშრომლობითი ურთიერთობის შესაძლებლობას (Thambirajah et al. 2008, გვ.85).

ბავშვის პრობლემის დროს სკოლაში დაბარებისას მშობელს უკვე აქვს წინასწარი მოლოდინი, რომ საუბარი წარუმატებელი იქნება და ვერაფერს შეცვლის. იგივე მდგომარეობაშია მასწავლებელიც, ისიც განიცდის წარუმატებლობას და ნეგატიური ემოციებით არის დამძიმებული. აუცილებელია მოიხსნას ეს დაძაბულობა იმისათვის, რომ მხარეებს შორის შედგეს ბავშვის ინტერების დამცველი დიალოგი. მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხრივ, მშობელს გაუქარწყლდეს ეჭვი და, მეორე მხრივ, მასწავლებელმა იგრძნოს ძალა, რომ მას შეუძლია ამ პრობლემის დაძლევა. ნეგატიური მოლოდინის გაქარწყლება ერთგვარი თერაპიული ძალისხმევის ტოლფასია. ის გულისხმობს, რომ მშობელს სკოლის წარმომადგენელი

უნდა დაეხმაროს: 1. საკუთარი დამოკიდებულის საფუძვლის გააცნობიერებაში, რაც წარსულ გამოცდილებას უკავშირდება; 2. ამ გამოცდილების კონსტრუქციულ გადალახვაში; 3. ურთიერთდობის ჩამოყალიბებაში.

ამ დროს თავად მასწავლებელი არსებულ პრობლემას გარედან უნდა ხედავდეს და მნიშვნელოვანია, ჰქონდეს საკმარისი მხარდაჭერა სკოლის კოლექტივისგან, რათა პრობლემის მოგვარების დროს დაეყრდნოს კოლეგების აზრს და ხელშეწყობას.

ამრიგად, ეფექტიანი თანამშრომლობა ეს არის უწყვეტი ერთობლივი ძალისხმევის შედეგი, სადაც სკოლის კოლექტივისა და ლიდერთა როლი გადამწყვეტი ბერკეტია მასწავლებლის თავდაჯერებულობის ჩამოყალიბებაში.

სკოლაში მშობლის „დაბარებამდე“ კარგი სტრატეგიაა პრევენციული თანამშრომლობა. ასეთი გზით სკოლა თავს იზღვევს შიშნარევი დამოკიდებულების ჩამოყალიბებისაგან და გეგმავს, რომ მშობელთან და ბავშვთან ურთიერთობისას, სკოლაში მოსვლისთანავე, ძალისხმევა დახარჯოს თანამშრომლობის ჩამოყალიბებაზე.

ზემოთ აღნიშნული სირთულის გადალახვის შესაძლებლობას ადასტურებს მშობელთა თანამშრომლობის მიმართულების კორიფე ეპსტეინი (Epstein (1996)); თუ მასწავლებლები მონდომებულნი არიან უზრუნველყონ მშობლის მონაწილეობა, ეს თანამშრომლობის ციკლი იწყებს შედეგის გამოლებას, რადგან მშობელს უჩნდება მოტივაცია, მიეხმაროს ბავშვს სახლში და უფრო პოზიტიური გახდეს მასწავლებლის ინტერპერსონალური და სწავლების უნარების მიმართ. შესაბამისად, ეს ნიშნავს, რომ საფუძველი ეყრება ურთიერთობის ჰარმონიზაციას და პოზიტიური ფორმატის ორმხრივ ხელშეწყობას.

თანამშრომლობის შედეგები

ეპშტეინი (Epstein, 2001) მიუთითებს, რომ მშობლებს, რომლებიც ინფორმირებულნი არიან და მონაწილეობას იღებენ შვილის სასკოლო ცხოვრებაში, შეუძლიათ პოზიტიური გავლენა მოახდინონ მის სასკოლო მიღწევებზე და სკოლისადმი დამოკიდებულებაზე.

ეპშტეინი (Epstein, 1986) აღნიშნავს, რომ მშობელს უჩნდება მოტივაცია, სახლში დაეხმაროს ბავშვს, როდესაც მასწავლებლები მონდომებულნი არიან უზრუნველყონ მშობლის ჩართულობა. ამ დროს მშობლებს უფრო პოზიტიური დამოკიდებულება უჩნდებათ მასწავლებლის ინტერპერსონალური და სწავლების უნარების მიმართ.

მშობლების ინფორმირებულობა და ინტერესი შვილის სასკოლო საქმიანობისადმი მაგალითის მიცემის ფუნქციას ასრულებს და შესაძლოა, შედეგად მივიღოთ მეტი პოზიტიური ქცევა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება სწავლის ყველა დონეზე (Stelmack B. 2010).

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის მიმოხილვა

სხვადასხვა ქვეყნების მოდელები

ამ ანგარიშში წარმოდგენილია ავსტრალიის, ავსტრიის, ინგლისის, კანადის, ნორვეგიის, ფინეთისა და შოტლანდიის ნიმუშები. კვლევის მიზანს წარმოადგენს აღნიშნულ ქვეყნებში მშობელთა თანამშრომლობის ფორმების შესწავლა. თითოეული ნაწილში მოკლედ არის განხილული ამ ქვეყნების ფარგლებში განხორციელებული სხვადასხვა ინიციატივები, აღწერილია რას მოიცავს საკანონმდებლო ბაზა, თანამშრომლობის კონკრეტული ფორმები და სსსმ მოსწავლის მშობელთან თანამშრომლობის გაუმჯობესების მიზნით მთავრობის მიერ გატარებული სხვადასხვა ზომები.

ამ ქვეყნების პრაქტიკაში მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა იმ ხელისშემშლელი ფაქტორების შესუსტება, რაც მშობელთა ჩართულობის, სკოლის საბჭოების თუ სხვა ფორმალური სტრუქტურების ეფექტიანი კომუნიკაციისთვის ბარიერს წარმოადგენდა. თითოეული ქვეყანა ხაზს უსვამს სკოლებში, გადანყვეტილების მიღების პროცესში მშობელთა მონაწილეობის შესაძლებლობას, ინდივიდუალურ დონეზე ინფორმაციის გაზიარების გაუმჯობესებას და მიმდინარე პროცესის მონიტორინგისა და შეფასების აუცილებლობას.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ავსტრალიის გამოცდილება

ავსტრალიას შემუშავებული აქვს ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის დოკუმენტი (Family-school & Community partnerships Bureau (2012)), რომელიც განსაზღვრავს სკოლის თანამშრომლებს, ოჯახებსა და მოსწავლეებს შორის ეფექტიანი პარტნიორობის ძირითად ასპექტებს. ეს დოკუმენტი მოამზადა ავსტრალიის მშობელთა რამდენიმე ნაციონალურმა ორგანომ – ავსტრალიის სახელწიფო სკოლების ორგანიზაციამ (the Australian Council of State School Organisations (ACSSO)), ავსტრალიელ მშობელთა საბჭომ, რომელიც სამთავრობო სტრუქტურაში შედის (the Australian Parents Council (APC)), სახელმწიფო დარეგონალურმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სკოლის დირექტორთა ასოციაციამ.

ამ დოკუმენტის მიხედვით, სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას განსაზღვრავს აქტივობები, რომლებშიც ჩაბმულია სკოლის თანამშრომლები, მშობლები ან /და მოსწავლის ოჯახის რომელიმე სხვა წევრი. ეფექტიანი თანამშრომლობა ეყრდნობა ურთიერთნდობას, ურთიერთგაგებას და განანილებულ პასუხისმგებლობას, რაც ხელს უწყობს ბავშვების განათლებას სკოლებში. ოჯახები შვილების პირველი განმანათლებლები არიან, როგორც სკოლაში სწავლის, ისე შემდგომ პერიოდში. სკოლებს მნიშვნელოვანი ვალდებულება აკისრიათ დაეხმარონ მოსწავლეებს და ამავდროულად, ახაზი უნდა გაუსვან ოჯახის როლს და აღიარონ მათი მნიშვნელოვანი წვლილი მოსწავლეთა განათლებაში. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი ოჯახის და სკოლის პარტნიორული ურთიერთობა (Family-school & Community partnerships Bureau (2012) გვ.9). კვლევები ადასტურებს, რომ წარმატებულ სკოლებს მშობლების და თემის ჩართულობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ეს ჩართულობა მნიშვნელოვნად აისახება მოსწავლეთა აკადემიურ წარმატებაზე, დასწრებასა და ქცევაზე. და ეს ასეა, მიუხედავად ოჯახის სოციალური, კულტურული წარმომავლობისა თუ განათლების დონისა.

სწორედ ამიტომაც ოჯახის ჩართვა ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის ამოსავალი დებულება. სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის ავსტრალიური დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის თემის წარმომადგენელთა ეფექტიან პარტნიორობას. თემის შემადგენლობაში შედიან: მასწავლებლები, ოჯახები, მოსწავლეები და ადმინისტრაციის წარმომადგენლები. დოკუმენტში ხაზგასმულია შემდეგი:

- თითოეული პარტნიორი აღიქმება, როგორც თანაბარი წვლილის შემტანი საერთო საქმეში, მიუხედავად იმისა, თუ რას აკეთებენ;
- ყურადღებით განიხილება მოსწავლეთა საჭიროებები და პრიორიტეტები;
- ყურადღება ექცევა ოჯახის სკოლის მუშაობაში ჩართვის პროცესის სირთულეებს -- ზოგიერთი აბორიგენი ოჯახის შემთხვევაში, და ხდება აქტიური დახმარება და მუშაობა ამ ოჯახების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად;
- იქმნება უკეთესი პროგრამები, შესაძლებლობები მოსწავლეთა განათლებისთვის;
- ოჯახებს ეძლევათ ადეკვატური შესაძლებლობები, რათა მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ცხოვრებასა და გადწყვეტილებების მიღებაში;
- მნიშვნელოვანია მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული კმაყოფილების საკითხი;

სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის განვითარება ყოველთვის ადვილი არ არის. ამას დრო და ძალისხმევა სჭირდება. კონკრეტული სირთულეების გამო, თითოეულ ოჯახს სჭირდება დამატებითი დროის გამონახვა, მხარდაჭერა, რათა საბოლოოდ, აქტიურად ჩართულნი აღმოჩნდნენ შვილის სასკოლო ცხოვრებაში. ზემოთ ხსენებული ძალისხმევის შედეგი კი, უდაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

რისთვის და ვისთვის შეიქმნა ეს დოკუმენტი?

დოკუმენტი შექმნილია სკოლებისთვის, სკოლის ხელმძღვანელობისთვის (აქ შედის როგორც სკოლის ადმინისტრაცია, ასევე მშობელთა საბჭო), ოჯახებისთვის და სხვა დაინტერესებულ პირთათვის, რათა გაადვილდეს ურთიერთთანამშრომლობა. დოკუმენტი განსაზღვრავს შემდეგს:

- რა ფარგლებს მოიცავს თანამშრომლობა?
- ვის ეხება თანამშრომლობა?
- ეს ერთგვარი მემორანდუმია იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად ექნება თანამშრომლობის კონკრეტულ ფორმას ადგილი.

სკოლისა და ოჯახის ეფექტური თანამშრომლობის განმსაზღვრელი ძირითადი პრინციპები

ამ ქვეთავში ჩამოთვლილია უმთავრესი პრინციპები, რომელთა შესრულებაც უზრუნველყოფს სკოლისა და ოჯახების ეფექტიან თანამშრომლობას.

1. ყველა ოჯახს და სკოლას საუკეთესო უნდა ბავშვისთვის;
2. ყველა ბავშვს აქვს უფლება სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი;
3. ოჯახია თავდაპირველი და მუდმივი მონაწილე ბავშვის განათლების საკითხში;
4. წარმატებული სკოლა უზრუნველყოფს მზრუნველ და მხარდამჭერ სასწავლო გარემოს;
5. ოჯახები და სკოლები უზრუნველყოფენ ხარისხიან სწავლებას და ენდობიან მასწავლებელთა პროფესიონალიზმს;
6. ოჯახები და სკოლები აღიარებენ განსხვავებებს ოჯახებს შორის და ამას პარტნიორობისა და თემის გასაძლიერებლად იყენებენ;

7. ხელმძღვანელობა(ლიდერობა) აუცილებელია, რათა აენ-ყოს, შენარჩუნდეს და მუდმივად განახლდეს პარტნი-ორობა.
8. პარტნიორობა შეიძლება მოიაზრებდეს ნებისმიერ ორ-განიზაციას, რომელიც მხარს უჭერს სკოლას და ოჯახებს.

ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლები

ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის ჩარჩო ეყრდნობა 7 ძირითად მახასიათებელს, რაც ხელს უწყობს ეფექტიან თანამშრომლობას. ესენია:

ა) კომუნიკაცია

თუ კომუნიკაცია ეფექტიანია, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- კომუნიკაცია აქტიურია, ხშირია და კულტურულად შესატყვისი;
- სკოლები უზრუნველყოფენ, რომ ოჯახები თავს დაფასებულად და ღირებულად გრძნობდნენ;
- ორმხრივი პროცესია, რომელიც სკოლასა და ოჯახებს შორის ხორციელდება;
- ეს არა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლაა, არამედ იმის საშუალებაა, რომ ოჯახმა და სკოლამ ბევრი გაიგოს ერთმანეთის შესახებ;
- ხაზს უსვამს იმას, რომ ოჯახი მნიშვნელოვანი პარტნიორია და შეუძლია სერიოზული პრობლემების მოგვარება;
- აგებს კავშირებს ენობრივი და კულტურული ფაქ-ტორების გათვალისწინებით, რომლის დროსაც აქტიურად უკავშირდება ოჯახებს;

- ითვალისწინებს კულტურულ და ლინგვისტურ განსხვავებებს;
- ღიაა ოჯახების საჭიროებების და ატიტუდების მიმართ;
- ითვალისწინებს და ჯეროვნად აფასებს ოჯახის წვლილს;
- არის ფორმალურიც და არაფორმალურიც;
- ხორციელდება სხვადასხვა ადგილებში (სკოლაში, თემის შეკრების დანესებულებებში)
- იყენებს სხვადასხვა ხერხს (ზეპირს, წერილობითს, სატელეფონო საუბარს, ელექტრონული ფოსტას და სხვ.).

ბ) სკოლასა და ოჯახს შორის კავშირი ბავშვის სწავლასთან დაკავშირებით

ეს მახასიათებელი გულისხმობს რომ:

- სკოლასაც და ოჯახსაც უნდა ესმოდეს, თუ რა სახის განსხვავება სკოლის და ოჯახის გარემოს შორის და/ან რა არის მათთვის საერთო
- არსებობს კავშირი წარმატებულ თანამშრომლობასა და ბავშვის აკადემიურ მოსწრებას შორის, რაც გულისხმობს ოჯახის და სკოლის თანაბარ მოლოდინებს ბავშვის სკოლაში წარმატებულობასთან დაკავშირებით;
- ოჯახი და სკოლა მუშაობს ერთად, რათა ბავშვს ჩამოუყალიბონ დადებითი ატიტუდები სწავლის პროცესის მიმართ;
- მშობლები ყოველთვის ინფორმირებულნი არიან შვილების აკადემიური პროგრესის თაობაზე;
- ოჯახი და სკოლა აფასებს და იყენებს იმ ცოდნა-გამოცდილებას, რაც ბავშვს მოაქვს სკოლიდან სახლში და პირიქით;

- ოჯახი და სკოლა აღიარებს და იყენებს სწავლის შესაძლებლობებს ოჯახის პირობებში;
- მშობლები მუშაობენ მასწავლებლებთან ერთად საგანმანათლებლო გადაწყვეტილებების მისაღებად;
- სკოლა ერთგვარი აგენტი ხდება მშობლების განათლების და ახალი უნარების შექმნის საქმეში.

გ) თემის მხარდაჭერა და იდენტობის პატივისცემა

ამ მახასიათებლის ფარგლებში უნდა მოხდეს ისეთი აქტივობების განხორციელება, რაც აამაღლებს ცხოვრების ხარისხს თემში. ანუ თემის შიგნით გათვალისწინებულ უნდა იქნას კულტურული, ტრადიციული, ღირებულებითი თავისებურებები და ყურადღება მიექცეს ურთიერთობებს. უნდა ხდებოდეს ისეთი აქტივობების დანერგვა-განხორციელება, რაც მოსწავლის კულტურული იდენტობის გაძლიერებას უწყობს ხელს. სკოლების სამუშაო უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდების სოციალურ, ემოციურ, მორალურ და სულიერ განვითარებას. ამგვარ პირობებში გარანტირებულია მოსწავლის პიროვნული ზრდაც და კულტურული იდენტობის დაცულობის განცდაც.

დ) ოჯახის როლის აღიარება

ოჯახებს და სკოლებს შეუძლიათ მიაღწიონ ერთმანეთის მნიშვნელობის და როლის აღიარებას პარტნიორული მუშაობისას, შემდეგის გათვალისწინებით:

- ხაზგასმულია ოჯახის და მშობლის როლი ბავშვის განათლების მიღების პროცესში;
- ოჯახებისთვის შეთავაზებულია მხარდაჭერის სტრატეგიები, რათა გაიზარდოს ბავშვების მოტივაცია სწავლის პროცესში;
- ორგანიზებულია სამუშაო შეხვედრები, განხილვები იმ საკითხების გარშემო, რაც ეხება საკლასო და საშინაო

დავალეებს, ახალგაზრდებში თავდაჯერებულობის ამაღლებას, პროფესიის არჩევას და კარიერის დაგეგმვას;

- ოჯახებმა იციან სკოლის მიზნების, კურიკულუმის და სოციალური აქტივობების შესახებ.
- სკოლებს ესმით ოჯახის, მშობლის და თემის პრიორიტეტები;
- სკოლები ყურადღებას აქცევენ მშობელთა მონაცვლადობის ხარისხს ან/და მგრძობელობას გარკვეული საკითხების მიმართ;
- სკოლები რეალისტურები, მომთმენნი და გამბედავნი არიან;
- უზრუნველყოფილია ისეთი გარემო, სადაც სკოლა აჩვენებს ხელმძღვანელ, წარმმართველ როლს და ეს როლი თვალსაჩინო და აქტიურია.
- სკოლა ისეთი ადგილია, სადაც მშობლები ხედავენ საკუთარ კრეატიულ როლს, ახორციელებენ აქტივობებს და მოუწოდებენ სხვა მშობლებს გააქტიურდნენ;
- ურთიერთობის დროს ხდება ისეთი უნარების განვითარების ხელშეწყობა, როგორებიცაა კომუნიკაცია, კოლაბორაცია და კონფლიქტის მართვა.

ე) გადაწყვეტილებების კონსულტაციის საფუძველზე მიღება

სკოლის გადაწყვეტილებების მიღების დროს ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს პასუხისმგებლობის გადანაწილებას მშობლებს, თემის სხვა წევრებს, მასწავლებლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის. აღნიშნული გულისხმობს:

- იმის ზუსტი ცოდნას, რომ მშობლების ღირებულებები და ინტერესები გათვალისწინებულია;
- სკოლის მეტ ანგარიშვალდებულებას საკუთარი თემის მიმართ;

- ზუსტი ცოდნას იმისა, რომ ოჯახების შეხედულებები, ღირებულებები ყალიბდება და მოქმედებს სკოლის ფორმალური სტრუქტურის გარეთ;
- აბორიგენ მშობლებთან თემის დონეზე ურთიერთობის უზრუნველყოფას, რათა გარანტირებული იყოს მათი მონაწილეობა სკოლის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ვ) სკოლის გარეთ სტრუქტურებთან თანამშრომლობა

აქ იგულისხმება, რომ უნდა მოხდეს თემის რესურსების იდენტიფიცირება, ლოკალიზება და გაერთიანება. ფართო თემმა უნდა აამუშავოს ის სერვისები, რაც მხარს დაუჭერს და გააძლიერებს სკოლებს, მოსწავლეებს და მათ ოჯახებს. სკოლებს, მოსწავლეებს და მათ ოჯახებს ასევე შეუძლიათ მხარი დაუჭირონ თემს. სკოლები აქტიურად უნდა თანამშრომლობდნენ ისეთ პარტნიორებთან, როგორებიცაა:

- ადგილობრივი ბიზნესი(ები);
- სკოლის შემდგომი ზრუნვის მიმწოდებელი ორგანიზაციები (არაფორმალური განათლების მიმწოდებელი ორგანიზაციები);
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სხვა თემში არსებული ორგანიზაციები.

ზ) მონაწილეობა აქტიური ჩართულობით

ოჯახების დახარჯული დრო, ენერჯია და ექსპერტიზა შეიძლება მხარს უჭერდეს სწავლების პროცესს და სკოლის პროგრამას სხვადასხვა მხრიდან. აქ შეიძლება მოიაზრებოდნენ ოჯახის წევრებიც, რომლებიც:

- მუშაობენ მოსწავლესთან სასწავლო აქტივობების დროს საკლასო ოთახში;
- მონაწილეობენ სხვა ტიპის სასკოლო აქტივობაში, რომელსაც საკლასო ოთახის გარეთ აქვს ადგილი;

- მხარს უჭერენ და აფასებენ მასწავლებლებს.

მხარდამჭერი სტრუქტურები

სკოლისა და ოჯახის ეფექტიანი თანამშრომლობის განსახორციელებლად და შესანარჩუნებლად მნიშვნელოვანია არსებობდეს შემდეგი მხარდამჭერი სტრუქტურები:

- 1) სკოლა-ოჯახის მოქმედი საბჭო – გუნდი რომელიც გეგმავს, ახორციელებს და აფასებს თანამშრომლობას;
- 2) სკოლის წესდება და პროცედურების ჩამონათვალი, რომელიც გასაგებად განმარტავს და აერთიანებს ურთიერთთანამშრომლობის პრინციპებს;
- 3) მხარდამჭერი ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს სკოლებს გაცვალონ იდეები, განიხილონ ატუალური საკითხები და ისაუბრონ საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე;
- 4) თემის მიმართ ანგარიშვალდებულების სისტემა, რომლის ფარგლებშიც უნდა ხდებოდეს ოჯახი-სკოლის კომუნიკაციის ამსახველი წარმატება-წარუმატებლობის რეგულარული ანგარიშების(მოხსენებების) წარმოება.

სკოლის კომიტეტებს ევალებათ მუდმივი დაკვირვების წარმოება ზემოთხსენებულ სტრუქტურებზე. შესაბამისად, მუშავდება ახალი წესდება და საჭიროებისამებრ იცვლება პროცედურები. ამ ცვლილებებში შეიძლება შედიოდეს: ოჯახი-სკოლის დამაკავშირებელი მოქმედი მუშა გუნდის ან სკოლის ლიდერთა არჩევა, პარტნიორობის გეგმების და აქტივობების მოფიქრება. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი წარმატებული აქტივობა აუცილებლად მოიაზრებს მშობელთა და ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელ სხვა პირთა მათქმალურ ჩართულობას. მუშაობისთვის მოტივირებულმა ოჯახი-სკოლის დამაკავშირებელმა გუნდმა (სადაც შედიან მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ხელმძღვანელობა) უნდა განავითაროს და განავრცოს თანამშრომლობა.

სკოლა-ოჯახის მოქმედი საბჭო ასრულებს შემდეგ ვალდებულებებს:

- არსებული სიტუაციის და გამოცდილების აუდიტი, ინფორმაციის შეგროვება მასწავლებელთა, მშობელთა და სკოლის ხელმძღვანელობის გამოცდილებისა და სურვილების შესახებ;
- ადგენს, რამდენად ასრულებენ სკოლის ხელმძღვანელობა და მშობლები თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს და ინფორმაციას აწვდის სკოლის თემს;
- ავითარებს გეგმებს, სახავს მიზნებს, განსაზღვრავს ვადებს და წარმატების კრიტერიუმებს ოჯახისა და სკოლის ურთიერთობის ძირითადი მახასიათებლების ჩარჩოს ფარგლებში;
- აწყობს ტრენინგებს სკოლა-ოჯახის მოქმედი საბჭოს წევრებისთვის;
- ახორციელებს წინასწარ შეთანხმებულ აქტივობებს;
- აფასებს თანამშრომლობის ეფექტურობას;
- ეძებს ახალი თანამშრომლობის გზებს.

აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის ბოლოს განხილულია ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის პრაქტიკული მაგალითები (Australian Government, Department of Education, Employment and Workplace Relations (2008), გვ.9-30). მასში აღწერილი სტრატეგიები ერთგვარი პრაქტიკული სახელმძღვანელოა სკოლებისათვის. თუმცა იქვე მითითებულია, რომ სტრატეგიები შესაძლოა შეიცვალოს საჭიროების მიხედვით. მთავარია, ოჯახებისა და სკოლებისათვის უნარების ჩამოყალიბება, რათა მათ ეფექტიანი თანამშრომლობა შეძლონ.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ავსტრიული გამოცდილება

ოჯახი და სკოლა ორი უმნიშვნელოვანესი კონტექსტია, სადაც ბავშვებისა და მოზარდების სოციალიზაცია, განათლება და აღზრდა მიმდინარეობს. ოჯახსა და სკოლას შორის დამოკიდებულების ხარისხი, შესაბამისად, გავლენას ახდენს სოციალიზაციის, განათლებისა და აღზრდის პროცესების ხარისხზე. სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ავსტრიული მოდელის მიხედვით, მშობლებს შეუძლიათ სხვადასხვა გზით იქონიონ ზეგავლენა სკოლაზე და მონაწილეობა მიიღონ სასკოლო კლიმატის შექმნაში.

ავსტრიაში სკოლასა და ბავშვის აღზრდაზე უფლებამოსილ პირს შორის თანამშრომლობის ფორმები კანონმდებლობით არის განსაზღვრული:

ეს ოფიციალური დოკუმენტებია: სასკოლო გაკვეთილის კანონი (BGBl.Nr.472/1986), სკოლის ორგანიზაციის კანონი (BGBl.Nr.242/1962), სავალდებულო სასკოლო განათლების კანონი (BGBl.Nr.163/1955).

4 კლასის ჩათვლით, სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობაში მონაწილეობს ორი მხარე: მასწავლებელი და მშობელი, ხოლო მაღალ კლასებში უკვე მოსწავლეებიც ერთვებიან. სკოლასთან თანამშრომლობის ფარგლებში მშობელს შეუძლია გაერთიანდეს 3 ჯგუფში: 1. კლასის ფორუმი; 2. სკოლის ფორუმი; 3. სკოლის გაერთიანებული კომიტეტი (BGBl.Nr.472/1986). ეს გაერთიანებები მონაწილეობას იღებენ არსებითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ის, თუ რომელი გაერთიანება ფუნქციონირებს სკოლაში, დამოკიდებულია სკოლის ტიპზე და სწავლების საფეხურზე. კანონით არის განსაზღვრული სკოლის ფორუმში თუ სკოლის გაერთიანებულ კომიტეტში მშობელთა წარმომადგენლის არჩევის წესი, არჩევნების დრო, არჩევნების შედეგების გამოცხადების წესი, ასევე თანამშრომლობის თითოეული ფორმის უფლებამოსილებები, კომპეტენციები და ამოცანები (Wissenswertes für Elternvertreter und Elternvertreterinnen).

Bundesministerium für Bildung, Wissenschaft und Kultur.
გვ.22)

არსებობს ასევე მშობელთა კერძო გაერთიანებები სკოლის გარეთ, რომელთაც ყავთ თავიანთი წარმომადგენელი სკოლაში. ეს კერძო გაერთიანებები ზრუნავენ მშობელთა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ეფექტიანი საკომუნიკაციო ქსელის შექმნაზე. აქვთ ბიუჯეტი, აფინანსებენ და ინიცირებას უწევენ სხვადასხვა პროექტებს (მაგალითად, სასკოლო ბიბლიოთეკის აღჭურვა, სპორტის დღეები, სსსმ ბავშვების უზრუნველყოფა დამხმარე მასალებით და ა. შ.) კლასის ფორუმი ფუნქციონირებს 8 კლასის ჩათვლით. სკოლებში, სადაც კლასის ფორუმი, პარალელურად ფუნქციონირებს სკოლის ფორუმიც. 9 კლასიდან კი ამ ორ ფორმას სკოლის გაერთიანებული კომიტეტი ცვლის (ანალოგიურად არის სპეციალურ სკოლაში) (Wissenswertes für Elternvertreter und Elternvertreterinnen. Bundesministerium für Bildung, Wissenschaft und Kultur. გვ. 4-7).

კლასის ფორუმი

გადანყვეტილების მიმღები რგოლი – კლასის დამრიგებელი, ყველა მშობელი. მრჩეველთა რგოლი – სკოლის დირექტორი, სხვა მასწავლებლები, სკოლის ექიმი. გაერთიანებულია კლასის ყველა მშობელი. კლასის ფორუმის უფლება-მოვალეობანი კანონმდებლობით არის განსაზღვრული. ყოველწლიურად ხდება კლასის ფორუმიდან ერთი მშობლის არჩევა წარმომადგენლად სკოლის ფორუმში, ის არის პასუხისმგებელი სკოლასა და კლასს შორის კომუნიკაციაზე. კლასის დამრიგებელი ვალდებულია წელიწადში მინიმუმ ერთხელ მოიწვიოს/შეკრიბოს კლასის ფორუმი. შეკრება აუცილებელია მოხდეს სწავლის დაწყებიდან პირველი 8 კვირის განმავლობაში და ასევე აუცილებელია გაფორმდეს შეხვედრის ჩანაწერი ანუ ოქმი.

კლასის ფორუმის ამოცანები

კლასის ფორუმი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები ერთი კლასის ფარგლებში შემდეგ თემებთან დაკავშირებით:

- სასკოლო ღონისძიებები;
- სკოლის შიდაგანანესი;
- შეკრებების განრიგის დამტკიცება;
- სკოლის აღჭურვა საგაკვეთილო მასალებით;
- სასკოლო სახელმძღვანელოების ხელმეორედ გამოყენების წესების შემუშავება;
- აკადემიური მიღწევის შეფასების ალტერნატიული ფორმების დადგენა და ა. შ.

კლასის ფორუმი უფლებამოსილია შეიმუშავოს რჩევები ერთი კლასის ფარგლებში შემდეგ თემებთან დაკავშირებით:

- გაკვეთილისთვის მნიშვნელოვანი საკითხები;
- აღზრდის მნიშვნელოვანი საკითხები;
- მშობლის მასწავლებლებთან ინდივიდუალური შეხვედრის განრიგის დადგენა (საჯარო სკოლებში სავალდებულოა მშობლის მასწავლებელთან ინდივიდუალურად შეხვედრა წელიწადში ორჯერ);
- სკოლის ბიუჯეტის განკარგვა;

სკოლის ფორუმი

გადაწყვეტილების მიმღები რგოლი – სკოლის დირექტორი, კლასისდამრიგებლები და კლასების წარმომადგენელი მშობლები. მრჩეველთა რგოლი – სკოლის ექიმი, სხვა მასწავლებლები, მშობელთა კერძო გაერთიანების თავმჯდომარე და სხვ.

სკოლის ფორუმში გაერთიანებულია თითო წარმომადგენელი სკოლის ყველა კლასიდან. სკოლის ფორუმში უფლებამოსილია მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები (მაგალითად, სასწავლო გეგმის ცვლილების შესახებ სკოლის ავტონომიის ფარგლებში) და წარმოადგინოს კლასის მშობლების ინტერესები სკოლის ხელმძღვანელობის წინაშე. სკოლის ხელმძღვანელობა ვალდებულია წელიწადში მინიმუმ ერთხელ მოიწვიოს სკოლის ფორუმი (ეს უნდა მოხდეს სწავლის დაწყებიდან პირველი 9 კვირის განმავლობაში). შეკრებას თავმჯდომარეობს სკოლის ხელმძღვანელი.

სკოლის გაერთიანებული კომიტეტი

გადაწყვეტილების მიმღები რგოლი – სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა სამი წარმომადგენელი, მშობელთა სამი წარმომადგენელი, მოსწავლეთა სამი წარმომადგენელი. მრჩეველთა საბჭო – სკოლის ექიმი, მასწავლებლები, მშობელთა კერძო გაერთიანების თავმჯდომარე და ა. შ. ფუნქციონირებს 9 კლასის ზევით. სკოლის ხელმძღვანელობა ვალდებულია წელიწადში მინიმუმ ორჯერ მოიწვიოს სკოლის გაერთიანებული კომიტეტის შეკრება.

** კლასის ფორუმის, სკოლის ფორუმის და სკოლის გაერთიანებული კომიტეტის შემადგენლობის არჩევის წესის, შეკრების განრიგის და ოქმის/ჩანაწერების წარმოების წესები კანონმდებლობით არის განსაზღვრული*

კლასის ფორუმის, სკოლის ფორუმის და სკოლის გაერთიანებული კომიტეტის ამოცანების განაწილება

ამოცანები	კლასის ფორუმი/სკოლის ფორუმი	სკოლის გაერთიანებული კომიტეტი
სასკოლო ღონისძიებები (გადაწყვეტილება)	✓	✓
მშობლებთან შეხვედრების ჩატარება (გ)		✓
შინაგადაწესი (გ)	✓	✓
სკოლის ჯანმრთელობაზე ზრუნვა (გ)	✓	✓
სკოლის დამოუკიდებელი სასწავლო გეგმის განსაზღვრა (გ)	✓	✓
მოსწავლეების მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებაში (გ)		✓
სკოლისთვის ავტონომიური დროის განრიგი (გ)	✓	✓
საგაკვეთილო მასალებით უზრუნველყოფა (გ)	✓	
სასკოლო სახელმძღვანელოების ხელახალი გამოყენება (გ)	✓	✓
სასკოლო მიღწევების შეფასების ალტერნატიული ფორმები (გ)	✓	
სხვა სკოლებთან თუ სკოლის გარეთ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა (გ)	✓	✓
გაკვეთილთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები (კონსულტაცია)	✓	✓
აღზრდის მნიშვნელოვანი საკითხები (კ)	✓	✓
სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვა (კ)	✓	✓
მშობლებთან შეხვედრების განრიგი და ჩატარება (კ)	✓	
საბიუჯეტო სახსრების განკარგვა (კ)	✓	✓
სამშენებლო აქტივობები (კ)	✓	✓

მშობელთა კერძო გაერთიანებები

მშობლები ნებაყოფლობით ერთიანდებიან და იხდიან საწევროს. რაც უფრო მრავალრიცხოვანია ეს გაერთიანება, მით უფრო ძლიერია ის ფინანსურად და მით უფრო დიდია მისი წილი სკოლის განვითარების საქმეში. ის უფლებამოსილია მოითხოვოს სკოლიდან ინფორმაცია და საკუთარი სურვილები და შეთავაზებები გააცნოს სკოლას. უფლებამოსილია ჰყავდეს თავისი სამი წარმომადგენელი სკოლის გაერთიანებულ კომიტეტში. ეს არის ავტონომიური ორგანო, რომელზეც სკოლის დირექციას გავლენის მოხდენის უფლება არ აქვს (Elternverein des BG&BRG Wien 3).

მშობელსა და სკოლას შორის თანამშრომლობის სხვა ფორმები:

- მშობელთა დასწრება გაკვეთილზე;
- შეხვედრები მშობლებსა და მოსწავლეებს შორის პროფესიებთან დაკავშირებით;
- კლასგარეშე სამუშაო წრეები (მშობელთა ინიცირებით), მაგალითად, კითხვის უნარის გასავითარებლად;
- კაფეტერიები, სადაც მშობლები სთავაზობენ ბავშვებს ლანჩს;
- სკოლაში მშობელთა ოთახის მოწყობა;

უფლებამოსილება სკოლასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში

1. პირველი ადამიანი, ვისთან ერთადაც ხდება პრობლემის განხილვა, არის კლასის დამრიგებელი ან საგნის მასწავლებელი, იმ შემთხვევაში, თუ ვერ გადაიჭრა პრობლემა, შემდეგი საკონტაქტო პირი არის:

2. სკოლის დირექტორი. თუ მის დონეზეც ვერ გადაიჭრა პრობლემა, მაშინ
3. მშობელი მიმართავს პირველი ინსტანციის სკოლის გარეთა უწყებას, რომელიც განსხვავებულია სკოლის ტიპის მიხედვით.
4. ბოლო ინსტანცია კი არის განათლების, მეცნიერების და კულტურის სამინისტრო (Wissenswertes für Elternvertreter und Elternvertreterinnen. Bundesministerium für Bildung, Wissenschaft und Kultur. გვ.29).

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ინგლისური გამოცდილება

ინგლისში ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა საკანონმდებლო და პოლიტიკური დოკუმენტის საფუძველზე, სადაც წარმოდგენილია ზოგადი სამთავრობო სტრატეგია „თეთრი ფურცელი“: ჰარმონიულობა სკოლებში (1997)7, 'თეთრი ფურცელი': მიღწევები სკოლებში (2001) 8,5 წლიანი სტრატეგია ბავშვებისათვის და მოსწავლეებისათვის 2004, განათლების აქტი (მაგ. 1980, 1980, 1986, 1988, 1992, 1993, 2002), 10, სკოლის სტანდარტები და სახელშეკრულებო აქტი 1998, ნაწილი 110 და 111, სკოლის მმართველობა (კონსტიტუცია (ინგლისი) წესდებები 2003, აქტი განათლებისა და ინსპექციის შესახებ 2006, წესდება სკოლის მმართველობის შესახებ (მშობელთა საბჭო) (ინგლისი) 2007.

სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის სტრატეგია მოიცავს 3 ელემენტს

1. მშობელთათვის ინფორმაციის მიწოდება;
2. მშობელთათვის ხმის უფლება;
3. სკოლებში მშობელთა თანამშრომლობის წახალისება.

ინგლისის სკოლის მმართველები

სკოლის მმართველი ორგანო უნდა ჩამოყალიბდეს 2003 წლის სკოლის მმართველობის (კონსტიტუცია) (ინგლისი) შესახებ წესდების საფუძველზე. სკოლის მმართველები წარმოადგენენ მოხალისეთა ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფებს ინგლისში, და მათი რაოდენობა დაახლოებით 300 000 ადამიანს შეადგენს.

სკოლის მმართველების არჩევა ხდება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფიდან, ისინი შეიძლება იყვნენ მშობლები, სკოლის თანამშრომლები, ადგილობრივი ხელისუფლების, ეკლესიის, საქველმოქმედო ორგანიზაციის და სხვა ჯგუფის წარმომადგენლები, რომელთა ასაკი 18-ს აღემატება.

მმართველთა ფუნქციას წარმოადგენს სკოლებში ბავშვთა ცოდნის გაღრმავებისთვის და მათი სწორი აზროვნების ჩამოყალიბებისათვის საჭირო მეთოდების მუშაობის უზრუნველყოფა. მმართველ ორგანოს გააჩნია ზოგადი პასუხისმგებლობა სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, რაც ემსახურება განათლების მაღალი სტანდარტებისკენ სწრაფვის ხელშეწყობას. მმართველი ორგანოს ვალდებულებაა განკარგოს სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებული ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსები, მეთვალყურეობა გაუწიოს მიზნების შესრულებას და უზრუნველყოს სკოლის ხელმძღვანელის და პერსონალის მხარდაჭერა. მმართველმა ორგანოებმა უფროს მასწავლებლებთან ერთად:

- ყოველწლიურად უნდა გამოაქვეყნონ ანგარიში, სადაც აღწერილი იქნება მმართველი ორგანოს მიერ განხორციელებული საქმიანობების შინაარსი;
- ყოველწლიურად უნდა ჩაატარონ მშობელთა კრება, სადაც განიხილავენ წლიურ ანგარიშს მმართველების, წამყვანი მასწავლებლების მიერ შესრულებული საქმეების შესახებ სკოლაში.

ხელშეკრულება

ოჯახსა და სკოლას შორის იდება ხელშეკრულება, სადაც განერილია სკოლის მიზნები და ღირებულებები, ზოგადი ვალდებულებები მისი მოსწავლეების და მათი მშობლების მიმართ და სკოლის მოლოდინები მოსწავლეებთან მიმართებით.

სკოლის სტანდარტებისა და 1998 წლის სახელშეკრულებო აქტის 110-ე და 111-ე მუხლების თანახმად, მმართველ ორგანოებს მოეთხოვება ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის და ასოცირებულ მშობელთა დეკლარაციის გამოქვეყნება.

მმართველი ორგანო ვალდებულია ყველა რეგისტრირებული მოსწავლის მშობელს ხელი მოაწერინოს ხელშეკრულებაზე, რითიც მშობლები ადასტურებენ, რომ მათთვის ხელშეკრულე-

ბის შინაარსი გასაგები და მისაღებია.

სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა მშობელს, დედას და მამას, თანაბრად ეძლევათ შესაძლებლობა გამოხატონ საკუთარი შეხედულება ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რეგულარულად გადახედონ ხელშეკრულების შინაარსს მათი შვილის სკოლაში ყოფნის დროს.

იმ შემთხვევაში, თუ მშობლები არიან გაყრილები და ცხოვრობენ ცალ-ცალკე, მნიშვნელოვანია, რომ მშობელთა დეკლარაციის ასლს ორივე მშობელმა მოაწეროს ხელი.

სკოლებს შეუძლიათ ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერინონ მოსწავლეებს, რომლებიც საკმარისად არიან გათვითცნობიერებულები ხელშეკრულების არსში, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულება სწორედ მათ ეხება.

ოჯახისა და სკოლის ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- სკოლისათვის დამახასიათებელი კულტურა;
- რეგულარული დასწრების და პუნქტუალობის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა;
- ჯანსაღი დისციპლინის და ქცევის მნიშვნელობა და პასუხისმგებლობა;
- სკოლის, მშობლების, მოსწავლეების მოლოდინები საშინაო დავალებასთან დაკავშირებით;
- ინფორმაცია, რომელსაც სკოლა და მშობლები ერთმანეთს გაუზიარებენ.

ხელშეკრულების პირობები კრძალავს ისეთ უკანონო და მიუღებელ ქმედებას, როგორცაა მშობლებისგან ფინანსური წვლილის მოთხოვნა ან სკოლის ფორმის ტარებაზე უარის თქმის უფლების აკრძალვა, მაშინ, როცა მშობელი ან მოსწავლე ფორმის ტარებას რელიგიური მიზეზით ვერ ახერხებს.

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევები არ განიხილება სასამართლოს მეშვეობით. დაუშვებელია ბავშვის სკოლიდან გარიცხვა ან დასჯა იმ მიზეზით, რომ მშობელმა

ვერ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ან არ/ვერ შეასრულა ხელშეკრულების მოთხოვნები. არ არსებობს არანაირი სანქცია მშობლებზე კონტრაქტის ხელის არმონერის ან მისი პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციები (PTAs)

ასოციაციების მიზანია ურთიერთობის გაღრმავება მშობლებსა და სკოლას შორის.

ასოციაციები, თანამშრომლობის ჩამოყალიბების გზით, ხელს უწყობს სკოლებს მშობელთა პრობლემების უკეთ დახვებაში, მათ მოგვარებაში. ასევე ეხმარება მშობლებს სკოლის უკეთ შესწავლაში და შვილების განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში. არ არის აუცილებელი, რომ ასოციაციები ყველა მშობლის აზრს გამოხატავდეს, მაგრამ შეიძლება იქცეს საუკეთესო ადგილად კომუნიკაციისათვის და მშობელსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გარანტიად.

მშობლისა და მასწავლებლის ცხოვრების სტილი განსხვავდება ერთმანეთისაგან, რაც იმას ნიშნავს რომ ბევრს გაუჭირდება შეხვედრებზე დასწრება რეგულარულად. ეს არ გულისხმობს მათი მხრიდან დაინტერესების არარსებობას, ამიტომაც ასოციაციები მათთვის გამოსცემენ საინფორმაციო ფურცლებს.

მასწავლებლებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მშობლებს იმის თაობაზე, თუ რა გზით შეუძლიათ დაეხმარონ სკოლას და ვის დაუკავშირდნენ საჭიროების შემთხვევაში. ეს ინფორმაცია შეიძლება იქცეს ასოციაციის საინფორმაციო ფურცლის ნაწილად.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის კანადური გამოცდილება

სსსმ მოსწავლეზე ფოკუსირებით, გზამკვლევი მშობლისათვის

იცნობდეთ მასწავლებლებს

ოჯახისა და სკოლის ეფექტური სასწავლო გუნდის ჩამოყალიბებაში აუცილებლად დაგეხმარებათ ჯანსაღი და პროზიტიური უერთიერთობის ჩამოყალიბება თქვენი შვილის მასწავლებლებთან და სკოლის სხვა პერსონალთან. ამისთვის საჭიროა მათი გაცნობა სასწავლო წლის დასაწყისშივე და კომუნიკაცია მთელი წლის განმავლობაში.

გამონახეთ დრო, რომ მასწავლებელს გაეცნოთ და გაესაუბროთ გაკვეთილის დაწყებამდე ან მისი დასრულების შემდეგ. ამის გაკეთება შესაძლებელია საფოსტო მისამართის გამოყენებით ან სატელეფონო ზარით. თუ გსურთ მასწავლებელთან გასაუბრება, დაუკავშირდით სკოლას ტელეფონით და გამონახეთ სასურველი დრო შეხვედრისათვის.

გამონახეთ ღიაობა მშობელთა და მასწავლებელთა კონფერენციებისადმი და გამოიყენეთ ისინი, როგორც ინფორმაციის გაცვლის და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობა. მასწავლებლებისა და სკოლის სხვა პერსონალის მიმართ ბავშვების პატივისცემა იზრდება, როცა ისინი ამჩნევენ მათი ძალისხმევის დაფასებას/მხარდაჭერას მშობლების მხრიდან.

როგორც მშობელს, თქვენ გაკისრიათ მნიშვნელოვანი როლი სკოლაში თქვენი შვილის წარმატების უზრუნველსაყოფად. ყველა ბავშვს სჭირდება მშობლის თანადგომა, თუმცა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებს მშობლის განსაკუთრებული თანადგომა (დიდი დოზით ჩართულობა) ესაჭიროებათ სწავლის პროცესის ყველა ეტაპზე (სკოლის ადრეული წლები, უმაღლესი სკოლა).

სკოლის საბჭოები და კომიტეტები

მშობლის მონაწილეობა სკოლის საბჭოებსა და კომიტეტებში იძლევა საგანმანათლებლო საკითხების შესახებ ცოდნის მიღების, სხვა დანარჩენ მშობლებთან და სკოლის პერსონალთან ურთიერთობის დამყარების და ერთად მუშაობის შესაძლებლობას. სკოლის საბჭო აწვდის სკოლის დირექტორს ინფორმაციას სასწავლო საკითხებთან, პროგრამის პრიორიტეტებთან, ბიუჯეტთან, განსაკუთრებულ საჭიროებებთან, სკოლის გარემოსა და ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ბავშვები სპეციალური საჭიროებებით

სკოლის დებულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის საბჭო ვალდებულია დაადგინოს საჭიროებს თუ არა ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამით სარგებლობას. სპეციალური საჭიროებების (მსუბუქი, საშუალო და მძიმე ფორმები) მქონე ბავშვები და ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან, განათლების მისაღებად საჭიროებენ განსხვავებულ, მათი საჭიროებებისათვის მორგებული მიდგომას.

სკოლის საბჭოებმა უნდა წარმოადგინონ პროგრამა ყველა ასაკის და განსხვავებული საჭიროებების მოსწავლეთათვის.

თუ თქვენს შვილს ათვისების/სწავლის პრობლემა აქვს, პირველ რიგში უნდა გაესაუბროთ კლასის მასწავლებელს პრობლემის მიზეზის დასადგენად და შეჯერდეთ იმ ცლილებებზე, რომელიც პრობლემის გადაჭრაში დაგეხმარებათ. მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ არაერთი არაფორმალური მეთოდი, რათა დაადგინონ სასწავლო საჭიროებები, მათ შორის:

- საუბრები ბავშვთან;
- ბავშვზე დაკვირვება გაკვეთილის მსვლელობისას;
- ბავშვის მიერ შესრულებული საკლასო დავალების ანალიზი;

- არაპროგრამული მასალის წაკითხვა;
- სკრინინგ ტესტების ჩატარება;

ბევრ რაიონში არსებობს სასკოლო გუნდები, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპეციალური განათლების მასწავლებლები, კონსულტანტები, ადმინისტრატორები, რიგითი მასწავლებლები, რომლებიც იცნობენ სასწავლო პრობლემებს და სტრატეგიებს. მასწავლებლებს შეუძლიათ გუნდის რჩევით შეიმუშაონ ინდივიდუალური სტრატეგია მოსწავლეებისათვის სწავლის/ათვისების პრობლემების მოგვარების მიზნით,

თუ სასკოლო სტრატეგია არ არის ეფექტური, მასწავლებელი მშობელთან შეთანხმებით (ინფორმირებული თანხმობა) ადგენს „სპეციალურ მიმართვას“, რომელიც აუცილებელია გაკეთდეს ნებისმიერი სპეციალური კვლევის (როგორცაა, ფსიქოსაგანმანათლებლო, მეტყველების, ინტელექტის ტესტი) დაწყებამდე.

ინფორმირებული ნებართვა ნიშნავს იმას, რომ მშობლებმა კარგად გაიაზრეს ის ქმედება, რაზეც თანხმობა განაცხადეს. მშობლებს ასევე აქვთ უფლება უარი განაცხადონ შეთავაზებულ სპეციალურ გამოკვლევაზე.

სპეციალურ გამოკვლევას საფუძვლად უდევს 3 ძირითადი მიზანი:

- ბავშვის განსხვავებული მიდგომებით სწავლების საჭიროების დადგენა;
- ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების დადგენა
- ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შესაფერისი პროგრამის შექმნა.

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ადრეული გამოვლენა და ჩარევა პრობლემის მოსაგვარებლად ყველაზე ოპტიმალური მიდგომაა, თუმცა პროცესი შეიძლება ხანგრძლივი აღმოჩნდეს.

კვლევის პროცესში მშობლების ჩართვის არაერთი გზა არსებობს.

მშობელს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც კვლევის პროცესისათვის იქნება გამოსადეგი. ეს ინფორმაცია შეიძლება ეხებოდეს სამედიცინო ანგარიშებს, ბოლო ხანებში ქცევის ცვლილებებს, დაკვირვებას შვილის ათვისების უნარებზე, მაგალითად, როგორ იქცევა და როგორ სწავლობს სხვა გარემოში.

არსებობს კვლევები, სადაც მშობლებს სხვადასხვა ტიპის კითხვარის შევსება უნევთ. ამ გზით მიღებული ინფორმაცია უზრუნველყოფს ბავშვის შესახებ მონაცემებში მშობელთა პერსპექტივების ასახვას. კვლევის შედეგებისა და დამატებითი ინფორმაციის შეჯერების შემდეგ ხდება მშობელთან შეხვედრის ორგანიზება, სადაც უნდა განიხილონ შედეგები, რეკომენდაციები და დააფიქსირონ აზრი მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

სასწავლო გუნდის შექმნა

მშობელი კლასის მასწავლებელთან და გუნდის სხვა წევრებთან ერთად შვილის სასწავლო გუნდის მნიშვნელოვანი მონაწილეა. ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად გუნდის წევრებს შორის ურთიერთობა უნდა იყოს ჯანსაღი, რომლის ჩამოყალიბებაც მოითხოვს მუშაობის პროცესში მშობლებისა და სკოლის თანამშრომლების მიერ დროის და ძალისხმევის ინვესტირებას. მშობელს გუნდში მისი როლის შესრულებით ეძლევა მეტი თანამონაწილეობის და შვილის დახმარების შესაძლებლობა.

მშობლის, როგორც სასწავლო გუნდის ინფორმირებული და აქტიური წევრის, ვალდებულებაა:

- მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც გავლენას იქონიებს შვილის განათლებაზე;
- გასცეს წერილობითი თანხმობა ნებისმიერი სპეციფიური კვლევის ჩასატარებლად;
- იყოს სრულად ინფორმირებული სკოლისა და რაიონის პროგრამების შესახებ;

- გასცეს ინფორმაცია, რაც დადებითად იმოქმედებს შვილის სწავლის პროცესზე და მის ქცევებზე სკოლაში;
- მიიღოს ინფორმაცია შვილის სწავლების და განვითარების შესახებ მასწავლებლების, დირექტორების და სხვა თანამშრომლებისაგან;
- ხელი მიუწვდებოდეს შვილის ისტორიაში არსებულ ინფორმაციაზე და სპეციალური გამოკვლევის შედეგებსა და ანგარიშებზე;
- გაიაროს კონსულტაცია შვილის სპეციალურ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვამდე;
- რეგულარულად, მთელი წლის მანძილზე, გაეცნოს ანგარიშებს შვილის წინსვლის შესახებ;
- გასცეს წერილობითი თანხმობა ნებისმიერი დამატებითი მომსახურების შესახებ, რაც შეიძლება დასჭირდეს ბავშვს;
- გასცეს რეკომენდაციები და წერილობითი თანხმობა შვილის ინდივიდუალური პროგრამის შედგენის დროს;
- გააპროტესტოს გადაწყვეტილება, რომელიც, მისი აზრით, ვერ დააკმაყოფილებს შვილის სასწავლო საჭიროებებს და იმუშაოს გუნდთან ერთად, რომ იპოვონ უკეთესი გამოსავალი პრობლემის გადასაჭრელად.

ინფორმაციის გაზიარება

გუნდური მუშაობის შემადგენელი ნაწილია მასწავლებლების ინფორმირება მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის სასწავლო შესაძლებლობებზე. ინფორმაციის გაზიარებამ შეიძლება დადებითი როლი შეასრულოს ბავშვის სასწავლო პროცესში იმდენად, რამდენადაც ეს მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ცოდნით მიუდგეს სენსიტიურ საკითხებს.

ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს;

- შესაფერისი სამედიცინო შინაარსის ინფორმაცია;
- სწავლებისა და ქცევის ტექნიკა, რომელსაც წარმატებით იყენებს მშობელი სახლში;
- საოჯახო ცვლილებები, როგორცაა გარდაცვალება, გაყრა, უმუშევრობა, შინაური ცხოველის დაკარგვა/სიკვდილი, ყოველივე ის, რამაც შეიძლება ემოციური რეაქციები გამოიწვიოს;
- ბავშვის გამოცდილება სხვა სკოლაში სწავლისას;
- მიზნები, რის მიღწევასაც ცდილობენ სახლში.

მასწავლებლების ფუნქცია გუნდში:

- მშობლების, და როცა საქმე მოითხოვს, მოსწავლეების და სხვა პროფესიონალების ჩართვა მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, განხორციელებაში, მონიტორინგსა და შეფასებაში;
- მოსწავლების პროგრესის წერილობითი აღწერა და მშობლებისა და საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეების ინფორმირება მთელი სასწავლო წლის მანძილზე;
- ინდივიდუალური პროგრამის განახლება საჭიროებისამებრ;
- მასწავლებელთა თანაშემწეების დაკვალიანება პროგრამის განხორციელებისთან დაკავშირებული ფუნქციებისა და ვალდებულებების თაობაზე.

იცნობდეთ სკოლის დირექტორს

სპეციალური განათლების არსებული სტანდარტების ფარგლებში, დირექტორი პასუხისმგებელია სკოლაში სპეციალური განათლების პროგრამის განხორციელებაზე. მშობელი უნდა

იცნობდეს სკოლის დირექტორს. დირექტორი არის საინფორმაციო წყარო და ბავშვის სასწავლო გუნდის მნიშვნელოვანი წევრი. სკოლის დირექტორის ვალდებულებებია:

- თითოეული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლისათვის ინდივიდუალური გეგმის შექმნა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება;
- ინდივიდუალური გეგმის კოორდინაციაზე, შექმნაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთა შერჩევა,
- სკოლის ბაზაზე დაფუძნებული გუნდის არსებობის უზრუნველყოფა, რომელიც გასცემს კონსულტაციებს, დაგეგმავს და გადაჭრის სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

გუნდის გაზრდა

სპეციალური საჭიროების მქონე ზოგიერთი მოსწავლე სასურველი შედეგის მისაღებად საჭიროებს გუნდში სხვა წევრების არსებობას. ასეთ შემთხვევებში მასწავლებლები და მშობლები თანამშრომლობენ სხვებთანაც, როგორებიც არიან მასწავლებლის თანაშემწეები, კონსულტანტები, მოხალისეები ან სათემო მოსამსახურეები.

მასწავლებლის თანაშემწეები

მასწავლებლის თანაშემწე კლასში უზრუნველყოფს დამატებით მომსახურებას, ის ინიშნება პროგრამის ან კლასის დასახმარებლად და მოსწავლეების სასწავლო გამოცდილების გააზრების მიზნით.

მასწავლებლის თანაშემწე დირექტივებს იღებს მასწავლებლებისა და დირექტორებისაგან. მასწავლებლები კი არიან პასუხისმგებელი ბავშვის პირადი პროგრამის დადგენაზე,

განხორციელებასა და გამოკვლევაზე. არსებობს რიგი ვალდებულებებისა, რაც შეიძლება დაეკისროს მასწავლებლის თანაშემწეს:

- ინდივიდუალური დახმარება მასწავლებლის მითითებისამებრ და ინდივიდუალურ პროგრამაში მოცემული ამოცანებისა და მიზნების შესაბამისად;
- მოსწავლეთა პატარა ჯგუფებთან მუშაობა მათ მიერ მასწავლებლისაგან მიღებული კონცეფციისა თუ უნარ-ჩვევების განსამტკიცებლად;
- პერსონალური დახმარების განწევა, რაც მოიცავს: საპირფარეშოში შეყოლას, პირადი ჰიგიენის დაცვას, ჩაცმას, ან დამხმარე მონყობილობების ფუნქციის შემონახვას.
- მასწავლებლის ინფორმირება მოსწავლის აკადემიური, სასწავლო დონის, ქცევის და საჭიროებების შესახებ.
- კლასის გარეთ (სათამაშო მოედანი, სამუშაო ადგილები) მოსწავლეების მეთვალყურეობა;
- ქცევითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს იმ ქცევების გაუმჯობესებას, რისი მოლოდინიც აქვს მასწავლებელს.

მენტორები

განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ზოგიერთ მოსწავლეს შეუძლია ისარგებლოს მენტორების პერსონალური დახმარებით. მენტორი არის მოზარდი ან მაღალი კლასის მოსწავლე, რომელიც მზად არის რეგულარულად იმუშაოს ბავშვთან დროის გარკვეულ პერიოდში, როგორც წესი, კვირაში 1-3 საათი. მენტორები, რომლებიც მუშაობენ ბავშვებთან სასკოლო საათებში, ცდილობენ დახმარება გაუწიონ მას საკლასო გარემოს შესწავლაში. მენტორები მუშაობენ მასწავლებელთა დირექტივების მიხედვით. ისინი

პირადად მონაწილეობენ ბავშვის აკადემიურ და სოციალურ განვითარებაში და უზიარებენ ბავშვს ახალ გამოცდილებებს. მენტორები, როგორც წესი, მოხალისეები არიან. მათ ირჩევენ, ასწავლიან და ეხმარებიან სათემო სააგენტოები, ისინი შეიძლება იყვნენ სასწავლო გუნდის წევრები.

სათემო მომსახურება

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვები და მათი ოჯახის წევრები სარგებლობენ არაერთი სათემო მომსახურებით. საჭიროების მიხედვით, ეს შეიძლება იყოს ფსიქოლოგის, მკურნალი ექიმის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ქცევის სპეციალისტის და სხვა პროფესიონალის დახმარება. სასწავლო გუნდის ეს წევრები ემსახურებიან ჯანმრთელობის და სოციალურ-ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მომსახურება

სკოლის იურისდიქცია უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საჭირო სამსახურით (მათ შორის, ჯანდაცვის სერვისით) სარგებლობას ინდივიდუალური პროგრამის მიზნების უზრუნველსაყოფად. თითოეული სკოლის კანონმდებლობას რეგიონის სხვა სამსახურებთან შეთანხმებით დადგენილი აქვს ადგილობრივი პროცედურები მომსახურების გაცემასთან დაკავშირებით. მშობელმა სკოლის დირექტორისგან უნდა მიიღოს ინფორმაცია დამატებითი დახმარების შესახებ ბავშვის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

სკოლის თემის ნაწილი

არსებობს მრავალი გზა ბავშვის სკოლის სათემო საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, დაწყებული სკოლის საბჭოების მომსახურებით და დამთავრებული სკოლაში

მოხალისედ მუშაობით. მშობელმა თავისი უნარ-ჩვევების, ინტერესების, ოჯახური საჭიროების და მრავალი სხვა ვალდებულების მიხედვით უნდა გადანყვიტოს მისი მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი.

მნიშვნელოვანია, მშობელმა შეძლებისდაგვარად შეიტანოს წვლილი სკოლის, როგორც თემის მუშაობაში. მასწავლებლები საჭიროებენ მშობლების შეხედულებებს, კომენტარებს, პასუხს და შემოთავაზებებს სხვადასხვა გზითა თუ ფორმით. მშობელს შეუძლია:

- მიაწოდოს კომენტარები წერილობითი სახით და შედეგები, რომელიც შეიძლება მიაკრას სკოლის ბიულეტენს
- მიაწოდოს კომენტარები პროექტთან დაკავშირებით. მონაწილეობა მიიღოს მშობელთა და მასწავლებელთა კონფერენციებში, სკოლის საბჭოს შეხვედრებში.

მოხალისე

სკოლაში მოხალისედ მუშაობა ზოგიერთი მშობლისათვის შეიძლება იყოს საუკეთესო გზა, რომ ბავშვებს აჩვენონ, თუ როგორ აფასებენ განათლებას და როგორ ეხმარებიან მასწავლებლებსა და სკოლის სხვა პერსონალს სამუშაო პროცესში. ეს თავისთავად ზრდის ყველა ბავშვის სასწავლო მოტივაციას. მოხალისე მშობლები არიან სკოლისა და საზოგადოებრივი განთლების ძლიერი მხარდამჭერები და ღირსეულ მაგალითს აძლევენ ფართო საზოგადოებას .

მოხალისეებს შეუძლიათ:

- აზრის გაზიარება კონკრეტული კარიერის, უნარ-ჩვევების, ინტერესების შესახებ;
- ინდივიდუალურად მუშაობა ბავშვთან, რომელსაც სწავლის (მაგალითად კითხვის) პრობლემა აქვს;
- მენტორის ფუნქციის შესრულება კონკრეტულ ბავშვთან მიმართებაში;

- ადმინისტრაციული საქმეების სახლიდან მოგვარება (მაგალითად, მასალების მომზადება, სატელეფონო ზარი სხვა მშობლებთან რომელიმე დაგეგმილი ღონისძიების და მგზავრობის შესახებ);
- დახმარება სკოლის ბიბლიოთეკაში;
- მასწავლებლის მითითებით კლასში დახმარება.

ადვოკატირება

მშობელი ყველაზე უკეთ იცნობს შვილის პიროვნულ თვისებებს, ძლიერ მხარეებს, პრობლემებსა და წარმატებებს და შეუცვლელ როლს თამაშობს სასკოლო პროცესში. ადვოკატირების/დაცვის ფუნქცია მშობლის ფუნქციის ბუნებრივი ნაწილია. ისინი განაფულები და საუკეთესო ადვოკატები არიან პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და შენარჩუნებაში გადანყვეტილების მიღების დროს. მათ აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და რეალისტური შეხედულება იმის შესახებ, თუ რა სურთ შვილებისათვის და აქვთ უნარი ეს სხვებსაც გაუზიარონ. მშობელი ეხმარება ბავშვს თვითადვოკატირების უნარ-ჩვევების შემუშავებაში. სსსმ მოზარდები, რომლებიც წარმატებულები არიან სკოლაში და ზოგადად ცხოვრებაში, ხშირად ამ დამსახურებას მიაწერენ მშობლების მუდმივ ჩართულობას მათ სასწავლო პროცესში.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ნორვეგიული გამოცდილება

ნორვეგიაში 1968 წელს მიღებულ კანონში განათლების შესახებ ჩნდება ჩანაწერი:

„ოჯახთან შეთანხმებით და თანამშრომლობით“, რაც ცალსახად გამოკვეთს ბავშვის წარმატებით აღზრდაში მხარეებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების აუცილებლობას. პასუხისმგებლობის ორმხრივი განაწილების თაობაზე დაზუსტება ჩნდება ნაციონალურ კურიკულუმშიც (1997), რომელიც სკოლას ავალდებულებს უზრუნველყოს შესატყვისი პირობების შექმნა თანამშრომლობისათვის. სკოლა და ოჯახი ორმხრივად უნდა ეძიებდნენ მოსწავლის პროგრესისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობას. თუმცა, კომუნიკაციის ფორმის შეთავაზებისას, სკოლა ვალდებულია შეარჩიოს ფორმა, რომელიც თავსებადი იქნება მშობლის დასაქმებისა და სოციალური ცხოვრების წესთან.

განანათლების კანონი აწესებს თანამშრომლობის ფორმალურ ჩარჩოს, გულისხმობს მშობელთა საბჭოს წარმომადგენლის მონაწილეობას ერთგვარ „სამეურვეო“ – კოოპერაციის საბჭოში. ეს საბჭო წარმომადგენს სკოლის დირექტორის საკონსულტაციო ჯგუფს და მისი პასუხისმგებლობაა გაახმოვანოს თავისი პოზიცია სკოლასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. კანონში ასევე განსაზღვრულია მშობელთა საბჭოს როლი, რაც გულისხმობს, ნვლილი შეტანას ჯანსაღი სასკოლო კლიმატის ფორმირებაში და თითოეულ ოჯახსა და სკოლას შორის კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბების ხელშეწყობას. მშობელთა კომიტეტი თითოეული კლასიდან აერთიანებს ორ მშობელს (ერთ დედას და ერთ მამას), ემსახურება თითოეული მოსწავლის კეთილდღეობის და ზრდის ხელშეწყობას და ამ პროცესში ადგილობრივი თემის მონაწილეობის უზრუნველყოფას. მშობელთა კომიტეტის აღმასრულებელი საბჭო პასუხისმგებელია აირჩიოს ორი მშობელი, რომელიც შეასრულებს წარმომადგენლობით ფუნქციას კოოპერაციის საბჭოში.

მშობლის ინდივიდუალურად ინფორმირება არის კლასის მასწავლებლის/დამრიგებლის პასუხისმგებლობა, ხოლო თითოეული კლასის მშობლების შეხედულებების წარმომადგენლობა სკოლის კომიტეტში უზრუნველყოფილია მშობელთა კომიტეტში ორი მშობლის ხმით.

თითოეული მშობლისათვის წლის განმავლობაში განსაზღვრულია სულ მცირე ორი პირადი შეხვედრა, რაც 12 წლის ასაკს გადაცილებული მოსწავლეების შემთხვევაში გულისხმობს მის მონაწილეობასაც ამ შეხვედრებში.

სკოლას და ოჯახს შორის ინფორმაციის სისტემატური გაცვლისთვის გამოიყენება „გზავნილების წიგნი“, რომელშიც საშინაო დავალებასთან ერთად მითითებულია ავადმყოფობასთან და სასკოლო ცხოვრებაზე მის გავლენასთან დაკავშირებული საკითხები. ინფორმაცია განსაკუთრებულად რთული ქცევის თაობაზე ოჯახს სკოლის მიერ ეგზავნება ცალკე წერილის სახით (Solstad K.J., 2000).

ნორვეგიის გამოცდილება მოწმობს, რომ ოჯახის და სკოლის თანამშრომლობა განათლების სფეროს ისეთი საქმიანობაა, რომელიც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, თანამედროვე ნორვეგიული სკოლა ამ მხრივ ვერ წვდება დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ოჯახებს და პედაგოგიური საკითხების განხილვის დროს პედაგოგები კვლავ აკნინებენ ან საერთოდ უარს ამბობენ მშობლების მონაწილეობაზე (Merok P. J., 2012)

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ფინური გამოცდილება

ფინეთში ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის საკანონმდებლო ჩარჩოს ქმნის ზოგადი (basic) განათლების აქტი და ზოგადი განათლების შესახებ დეკლარაცია.

ზოგადი განათლების შესახებ აქტის (628/1998) მე-3 მუხლის თანახმად, „სკოლა ვალდებულია ითანამშრომლოს ოჯახთან: სწავლება და აღზრდა უნდა ხდებოდეს ოჯახთან და მომვლელებთან თანამშრომლობის გზით, რადგან აუცილებელია თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს საკმარისი მხარდაჭერა, რჩევა და ცოდნა მისი განვითარების დონის და საჭიროებების შესაბამისად. სწავლების პროცესი აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლის სქესს, მის პიროვნულ საჭიროებებს და მისი განვითარების დონეს”.

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მთავარი იდეა: „სკოლასა და ოჯახში არსებული გარემო ბავშვისათუ ახალგაზრდის აღზრდის, განვითარებისა და სწავლის საქმეში დამოუკიდებელ და თანაბრად დამხმარე როლს ასრულებს. ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობას შეგვიძლია ვუწოდოთ დამატებითი პარტნიორობა აღზრდაში”.

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მთავარი ამოცანა: ბავშვებისა და ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილება, ზრუნვა, სამართლიანობის და პასუხისმგებლობის უზრუნველოფა.

ფინეთის განათლების სისტემის თანამშრომლობის ხელშეკრულების მთავარი პრინციპები

ფინეთის ეროვნული განათლების საბჭოს მიხედვით, ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მიზანია უზრუნველყოს ხელსაყრელი გარემო თავაზიანი დიალოგებისთვის მასწავლებლებს, სკოლის სხვა თანამშრომლებს, მშობლებსა და მოსწავლეებს შორის, რაც ბავშვებისთვის ხარისხზე ორიენტირებული

საგანმანათლებლო და სასწავლო გარემოს შექმნის მტკიცე გარანტია.

ხარისხზე ორიენტირებული თანამშრომლობა ოჯახსა და სკოლას შორის იძლევა შესაძლებლობას შეიქმნას სოციალური ქსელი ამ პროცესში მონაწილე მოზრდილებისთვის. ეს ასევე უზრუნველყოფს მათ უფლებას, თანაბარი პასუხისმგებლობით შეეჭიდონ ბავშვებისთვის ჯანსაღი და სტაბილური საცხოვრებელი გარემოს შექმნას. სკოლებმა უნდა აიღონ ოჯახთან თანამშრომლობის დამყარების პასუხისმგებლობა, თუმცა, თავის მხრივ, ოჯახს/მშობელს უნდა ჰქონდეს ხშირი კონტაქტი სკოლასთან და უნდა მიიღოს მონაწილეობა სკოლასთან ინტენსიურ დიალოგში. თანამშრომლობის ხელშეკრულების შექმნა ეფუძნება ერთობლივ პრინციპებს, რომელსაც იცავს და აფასებს ყველა.

ფინეთში ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა ეფუძნება შემდეგ ოთხ პრინციპს:

მოსმენა: მოსმენა ხდება მაშინ, როცა არის გულწრფელი დაინტერესება სხვისი იდეის, აზრის და საკითხის მიმართ. ეს მოითხოვს უსაფრთხო და გულგრილი გარემოს არსებობას, რაც განსხვავებული შეხედულებების და აზრების მიღების და ურთიერთგაგების პროცესს შეუწყობს ხელს. მოსმენა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის საწყის და გარდამავალ პერიოდებში. სკოლებისთვის მთავარ სირთულეს წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდება/გაზიარება და ამასთანავე მშობლების იდეების, სურვილების, ბავშვებთან დაკავშირებული პრობლემების მოსმენა. მოსმენის გარდა მნიშვნელოვანია განხილვები დისკუსიების ფორმატში.

პატივისცემა: პატივისცემით გაჯერებული და თანაზიარი დამოკიდებულება ქმნის დადებით და ღია გარემოს. სწორედ პატივისცემა იძლევა საშუალებას ყველამ გამოხატოს საკუთარი შეხედულება პრობლემური საკითხის ირგვლივ. პატივისცემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ სიტუაციებში, სადაც ვხვდებით აშკარა აზრთა სხვადასხვაობას ფასეულობებზე, კულტურულ საკითხებზე, სკოლისა და

ოჯახის გამოცდილებებზე. წარსულში არსებული გამოცდილება, რომელიც სკოლას უკავშირდება შეიძლება გახდეს წარმატებული თანამშრომლობის ხელისშემწყობი ან, პირიქით, ხელისშემშლელი ფაქტორი.

ნდობა: ნდობა ეფუძნება სამართლიანობის განცდის არსებობას. ნდობა წარმატებული თანამშრომლობის შედეგია და დროს მოითხოვს. მშობლების ნდობა სკოლის მიმართ განპირობებულია დანვრილებითი ინფორმაციის მიღებით შვილების განათლების შესახებ. მასწავლებლების თავაზიანი დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ აუმჯობესებს მშობლების ნდობის მაჩვენებელს სკოლაში არსებულ სამართლიან და თანასწორ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ურთიერთნდობა მშობლებსა და მასწავლებლებს შორის ხელს უწყობს თანამშრომლობის წარმატებულად განვითარებას და საუკეთესო გზების პოვნას საუკეთესი სასწავლო გარემოს შექმნისთვის

ინტერაქტივი: ნიშნავს თანასწორ დიალოგს, რომლსაც მივყავართ ურთიერთგაგებად. წარმატებული დიალოგისთვის უმთავრესია, რომ ის მიმდინარეობდეს ყველასათვის გასაგებ ენაზე და ყველას თანამონაწილეობით.

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის ჩართვა სასწავლო პროგრამაში

ფინეთის განათლების სისტემაში ასევე აღნიშნულია, რომ ზოგადი თანამშრომლობის სტრატეგიის გარდა უნდა არსებობდეს სტრატეგია, რომელიც მოიცავს თანამშრომლობის ძირითად, კონკრეტულ შინაარსს და თემებს პროცესის ყველა დონეებზე. მსგავსი სტრატეგიის არსებობა მონაწილე მხარეებს უადვილებს თანამშრომლობის პრინციპების და ამოცანების გაგებას და თანამშრომლობას უფრო სიცოცხლისუნარიანს ხდის. ასევე ხელს უწყობს თანამშრომლობის ირგვლივ არსებული გამოცდილების დანერგვას, აადვილებს შეფასების პრო-

ცესს. თითოეულ მასწავლებელს აქვს შესაძლებლობა ზედმეტი ძალისხმევით გარეშე, სტრატეგიის გამოყენებით შეიმუშაოს თანამშრომლობის სტრატეგია თავისი კლასისთვის. სტრატეგიის განვითარების ეტაპზე აუცილებელია ინდივიდუალური/კერძო შემთხვევების განხილვა სხვადასხვა კლასების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ, მაგალითად, 7 და 13 წლის მოსწავლის საჭიროება ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

წარმატებული თანამშრომლობისთვის ღია და თბილი გარემოს არსებობა სკოლაში უმთავრესია. სწორედ ასეთი გარემოს არსებობით ყალიბდება მშობელთა და მეურვეთა წარმოდგენა სკოლაზე. ამიტომაც აუცილებელია ფორმალური პროცედურების, წესების, მოქმედი მეთოდების, ღირებულებების, პრინციპებისა და კრიტერიუმების გაანალიზება და საბოლოო განსაზღვრა/ჩამოყალიბება. განსაკუთრებით კი საჭიროა გამოვლინდეს და ფორმალური სახე მიეცეს ფასეულობებს და მეთოდებს, რომელიც სკოლისთვის ტრადიციულია, მაგრამ არ არის გასაჯაროებული. საბოლოო მიზანს წარმოადგენს ღია და ინტერაქტიული სამუშაო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის ჩამოყალიბებას როგორც ოჯახსა და სკოლას შორის, ასევე საზოგადოებაში.

საქმიანობები

სკოლასა და მშობლებს შორის თანამშრომლობისთვის საჭირო მიზნებისა და ამოცანების ჩამოყალიბება აუცილებელი პირობაა. მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის პრაქტიკულ ეტაპზე გადასვლა. ფინეთის სასწავლო პროგრამაში განსაზღვრულია თანამშრომლობის 5 მექანიზმი: ორმხრივი დიალოგი, ინფორმაციის გაზიარება, შეფასება და დისკუსიები და მშობელთა ასოციაციები.

ორმხრივი დიალოგი: ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა გულისხმობს დიალოგს და ერთობლივ ქმედებებს. წარმატებული მშობელი უნდა ფლობდეს სკოლის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა კუთხით.

წარმატებული დიალოგის შემთხვევაში მშობლები იღებენ საკმარის ინფორმაციას სკოლაში არსებული პირობების შესახებ. ინფორმაციის მიღება ეხმარება მშობელს სკოლის უკეთ შესწავლაში და ხელს უწყობს სკოლის და სასწავლო სისტემის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულების შეცვლას დადებითისკენ, რაც განპირობებულია განათლების სფეროში მათი პირადი გამოცდილებით. მეორეს მხრივ კი, მნიშვნელოვანია მასწავლებელმა იცოდეს, თუ როგორ ამონმებენ/აკონტროლებენ მშობლები შვილებს და მათი სწავლის პროცესს. მასწავლებელმა ასევე უნდა შეისწავლოს მშობელთა მოლოდინები, სურვილები და შიშები ოჯახებთან ურთერთობის გაუმჯობესების და მათი უკეთ დაკვალიანების მიზნით.

აუცილებელია, რომ მასწავლებელი საქმის კურსში იყოს ოჯახში არსებული ყველა იმ განსაკუთრებული ცვლილების ან მოვლენის (გაყრა, ავადმყოფობა, გარდაცვალება და ა.შ) შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის სწავლის პროცესზე და დასწრებაზე. ასეთი შემთხვევებში მასწავლებელს უნდა ახსოვდეს კონფიდენციალურობის ხელშეკრულების არსებობა, რომლის წესებისგან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ მოსწავლის ან მისი მეურვის თანხმობით, ან იმ გამონაკლის შემთხვევაში, რომელიც კანონით არის დაშვებული.

ინფორმაციის გაზიარება: სასწავლო პროგრამის შინაარსის, წლიური სამოქმედო გეგმის, სკოლის მთავარი პრინციპების და სკოლაში არსებული დამხმარე მექანიზმის შესახებ ინფორმაცია ყოველთვის უნდა მიენოდოს მშობელს. მშობლისთვის ასევე უნდა იყო ცნობილი ყველა საგანი, რომელიც სკოლაში ისწავლება და ყველა კვლევის კრიტერიუმები. კვლევის კრიტერიუმების გაცნობის და შესწავლის შემთხვევაში მშობლებს შეექმნებათ უფრო რეალური შეხედულება შვილის სასწავლო შესაძლებლობების/უნარ- ჩვევების შესახებ.

ინფორმაციის გაზიარების ეფექტური და კარგად ჩამოყალიბებული მექანიზმები ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მნიშვნელოვანი ფაქტორებია. თუმცა ეს ვერ ცვლის მშობელთა პირისპირ შეხვედრებს. ბუკლეტის მეშვეობით (rucksack book-

let4) და ელექტრონული ფოსტით მიმონერა ინფორმაციის გაზიარების მისაღები და ნეიტრალური ფორმებია. თუმცა მტკივნეული საკითხების განხილვა ხდება პირისპირ შეხვედრების დროს ან სატელეფონო საუბრებით.

მშობლებთან შეხვედრა

კომუნიკაციის დამყარება ოჯახსა და სკოლას შორის შესაძლებელია სხვადასხვაგვარად და მისი განხორციელების გზები უნდა განიხილონ მშობლებმა. ნარმატიული დიალოგი ზრდის მშობლის ნდობას სკოლისადმი და ორივე მონაწილე მხარეს აწვდის საჭირო ინფორმაციას მოსწავლეების შესახებ. სკოლამ თავის მხრივ უნდა უზრუნველყოს მშობელთა შეხედულებების ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება: როგორ და როდის შეუძლიათ მშობლებს დაუკავშირდნენ მასწავლებლებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს, როგორ/რა ხერხით უნდა წაახალისონ მასწავლებლებმა მშობლების ჩართულობა. ამის გათვალისწინება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ მშობლები ერთად არ ცხოვრობენ (გაყრილები არიან) ან თუკი მშობლები განსხვავებული კულტურის წარმომადგენლები არიან და სხვადასხვა ენაზე საუბრობენ.

მშობელთა სალამოები/კრებები

მშობელთა სალამოები შეკრების ჯერ კიდევ ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მშობელთა სალამოების წარმატებულად ორგანიზებისათვის საჭიროა სწორი დაგეგმარება, მონაწილეების დროული ინფორმირება და მოზრდილებთან მუშაობისთვის საჭირო გამოცდილება. შეხვედრები უნდა მოიცავდეს სხვადასხვა თემას და უნდა წარიმართოს დიალოგის ფორმით. შეხვედრა უნდა იყოს კონსტრუქციული და ემსახურებოდეს ინფორმაციის და იდეების უერთიერთგაზიარებას. არ უნდა ჰქონდეს ლექციის სახე. ასევე გასათვალისწინებელია შეხვედრების ადგილი და მონაწილეთა კომფორტული მოთავსება

ადგილებზე. შეხვედრების ფასილიტატორების როტაცია და მშობელთა დანიშვნა ფასილიტატორად იძლევა განსხვავებული შეხედულებების განხილვის შესაძლებლობას და ამრავალფეროვნებს შეხვედრის შინაარსს. შესაძლებელია ასევე არატრადიციული შეხვედრების ორგანიზება, როგორცაა მაგალითად ოჯახური საღამოები. არაფორმალური ღონისძიებები სკოლაში (ექსკურსია, გამოფენა, ზეიმები, ღია კარის დღე) მშობელსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაციის კარგი საშუალებებია.

მშობელთა გავლენა და მათი აქტიური მონაწილეობა

არსებითად მნიშვნელოვანია მშობელთა მონაწილეობა სასკოლო აქტივობების განვითარება-დაგეგმარების პროცესში, ვინაიდან სკოლის საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს მოსწავლის განათლების და განვითარების საფუძველს. სკოლა ვალდებულია მშობლებს გააცნოს არსებული ადვოკატირების სხვადასხვა მექანიზმი, რათა გავლენა იქონიონ გადწყვეტილების მიღების პროცესზე. ეს მექანიზმებია: სასკოლო საბჭო, სკოლის კომიტეტი, მშობელთა ასოციაციები და მშობელთა საბჭო. ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა წარმოადგენს პედაგოგიურ თანამშრომლობას, სადაც მშობლები მთავარ როლს ასრულებენ სასწავლო გეგმის ჩამოყალიბებაში, განხორციელებაში და განვითარებაში. თანამშრომლობის მიზანია მშობელთა განსხვავებული უნარ-ჩვევების და ცოდნის გამოყენება სკოლის გარემოს გაუმჯობესებისთვის.

სკოლამაც უნდა შეიტანოს თავისი წვლილი მშობელთა თანამშრომლობის ჩამოყალიბების საქმეში. მშობლები ქმნიან ქსელს, რომელიც შეიძლება მარტივად ჩამოყალიბდეს გავლენის მქონე გაერთიანებად. ეს ქსელები იმუშავებენ საკლასო ან სასკოლო დონეებზე. საკლასო დონეზე მშობელთა ჩართულობა გულისხმობს ვალდებულებების გადანაწილებას, რაც ურთიერთდამოკიდებულებას ქმნის. ქსელური მუშაობა სკოლასა და ოჯახს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესების კარგი საშუალებაა, რადგან ინფორმაციის გაზიარება ხდება არა მარტო სკოლასა და ოჯახს შორის, არამედ სხვადასხვა ოჯახებს შორის.

მშობელთა ასოციაციები და სხვა ჯგუფები

მშობელთა ასოციაციების ფუნქციას და მიზანს სკოლის დონეზე წარმოადგენს ისეთი ფორუმის ჩამოყალიბება, სადაც მშობლებს ექნებათ ინფორმაციის გაზიარების, ერთმანეთის იდეების და შეხედულებების გაცნობის და სხვადასხვა სახით ადვოკატირების შესაძლებლობა. მშობელთა ასოციაციებს შეუძლიათ ჩაატარონ შეხვედრები, ღონისძიებები და სხვა სახის აქტივობები, ასევე საქველმოქმედო აქციები, გაყიდვები საქველმოქმედო მიზნით, წარმოდგენები. ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან შემოსული თანხა ხმარდება სკოლას. ფინეთში ასევე არსებობს რეგიონალური ან მუნიციპალური მშობელთა ასოციაციები.

სკოლის როლი მშობელთა ასოციაციებთან მიმართებაში უმნიშვნელოვანესია კონკრეტულ სიტუაციებში, რომელთა მოგვარება უფრო რთული იყო, სანამ მსგავსი გაერთიანებები არ არსებობდა. ამით სკოლას აქვს შესაძლებლობა მშობლები ერთმანეთს გააცნოს და გამოყოს ადგილი ან შენობა მათ შორის დიალოგისთვის. სკოლისა და ასოციაციის წარმომადგენლები სისტემატურად უნდა მართავდნენ შეხვედრებს ინფორმაციისა და მიზნების გაზიარების მიზნით, ეს აწესრიგებს სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობას, ზრდის ანგარიშვალდებულების ხარისხს და უზრუნველყოფს მონაწილე მხარეთა მიზნების ერთიანობას. სკოლა ვალდებულია მუდმივად გაუსვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ასოციაციაში განევრიანება შეუძლია ყველა მშობელს და ასევე ვალდებულია შეახსენოს, რომ ასოციაციები წარმოადგენს თანამშრომლობის ერთ-ერთ ეფექტურ მექანიზმს.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის შოტლანდიური გამოცდილება

შოტლანდიის კანონმდებლობა

შოტლანდიის პარლამენტმა 2006 წელს მშობლის მოსაზიდად და მხარდასაჭერად, გამოსცა კანონი სახელწოდებით შოტლანდიის სკოლების (მშობელთა ჩართულობა) აქტი (შემდგომში აქტი 2006). ეს აქტი ითვალისწინებს ჩართულობის სამ დონეს:

- სწავლა შინ;
- სახლი/სკოლა პარტნიორობა;
- მშობელთა წარმომადგენლობა.

ეს აქტი ეფუძნება შოტლანდიაში უკვე არსებულ სხვა კანონებს: განათლების აქტი 1980; სტანდარტები შოტლანდიის სკოლებში და სხვ. (შოტლანდია) აქტი 2000; განათლება (დამატებითი მხარდაჭერა სწავლისათვის) (შოტლანდია) აქტი 2004; ბავშვები (შოტლანდია) აქტი 1995. აქტის ძირითადი მიზნებია:

- დაეხმაროს მშობლებს მეტად ჩაერთონ შვილის განათლებასა და სწავლაში (სწავლა შინ);
- მიიღოს მშობლები, როგორც სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილენი (სახლი/სკოლა პარტნიორობა);
- გაუადვილოს მშობლებს გამოთქვან თავიანთი შეხედულებები და სურვილები (მშობელთა წარმომადგენლობა).

მშობელთა ფორუმი

2006 წლის აქტის მიხედვით, ყველა მშობელი თუ მზრუნველი, ვისაც ბავშვი ადგილობრივი ხელისუფლების სკოლაში დაჰყავს, ავტომატურად ითვლება მშობელთა ფორუმის წევრად.

ფორუმის წევრებს:

- აქვთ საშუალება, მიიღონ ინფორმაცია და რჩევები ბავშვის სწავლასთან დაკავშირებით;
- აქვთ სკოლის საქმიანობაში მეტი ჩართულობის შესაძლებლობა;
- შესაძლებლობა აქვთ მშობელთა საბჭოს მეშვეობით წარადგინონ თავიანთი შეხედულებები;
- აქვთ მოლოდინი იმისა, რომ სკოლა ხელს შეუწყობს მშობელთა საბჭოს ჩამოყალიბებასა და მის მუშაობას;
- აქვთ საშუალება, მიიღონ ინფორმაცია სასკოლო ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ;
- აქვთ საშუალება, შეარჩიონ მშობელთა საბჭო, რომელიც სკოლაში იმუშავებს ყველა მშობლის სახელით.

მშობელთა საბჭო

მშობელთა საბჭოს როლია:

- მოსწავლეებთან მუშაობაში სკოლის მხარდაჭერა;
- ყველა მშობლის შეხედულებათა წარმოჩენა;
- სკოლას, მშობლებს, მოსწავლეებს, სკოლამდელ ჯგუფებსა და ფართო საზოგადოებას შორის კავშირების წახალისება;
- მშობელთა ფორუმთან ანგარიშგება.

სკოლა და ადგილობრივი ხელმძღვანელობა ყურს უნდა უგდებდეს მშობელთა საბჭოს და შესაბამისად რეაგირებდეს. მშობელთა საბჭო განსხვავდებოდეს იქნება სკოლების მიხედვით, რადგან თითოეულ სკოლაში მშობელები მიიღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სკოლასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სკოლებსა და მშობლებს შორის კომუნიკაცია

სკოლებსა და მშობელთა საბჭოებს შორის კომუნიკაციის ფორმები შესაძლოა იყოს:

- ცნობის ფურცელი მშობელთათვის;
- თვალში საცემი პოსტერები, ღონისძიებების შესახებ ძირითადი ინფორმაციით, თვალსაჩინო ადგილებში, სკოლის მიღმა – ფოსტა, ექიმის მოსაცდელეები და სუპერმარკეტები
- სკოლის ვებ-გვერდზე მშობელთა საბჭოს ველში სიახლეებისა და ინფორმაციის განთავსება;
- მშობელი დღეს მობილურ ტელეფონებსა და ელექტრონულ ფოსტას ანიჭებს უპირატესობას;
- ინტერნეტში მშობელთა საბჭოს სადისკუსიო დაფის მონაწილეობა მშობელთა ინფორმირებულობისათვის და მათგან კომენტარების მისაღებად;
- მშობელთა საბჭოს მიერ მშობლებისთვის მზადდება წლიური ანგარიში. ის შესაძლოა შეიცავდეს ფოტოებს ან ვიდეორგოლებს საბჭოს მიერ დაფინანსებული ღონისძიებების შესახებ.

2006 წლის აქტის მიღების შემდეგ შოტლანდიის სკოლების საბჭოების უმრავლესობამ შეიმუშავა მშობელთა ჩართულობის სტრატეგიები.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის კვლევა საქართველოში

კვლევის მიზნები

წარმოდგენილი კვლევა მიზნად ისახავს სკოლისა და მშობლის ურთიერთთანამშრომლობის ორმხრივად სასურველი ეფექტიანი მოდელის შემუშავებას სსსმ მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად დავისახეთ შემდეგი ამოცანები:

- ქართულ რეალობაში სკოლას და მშობელს შორის არსებული ფორმალიზებული თუ არაფორმალური ურთიერთობის ხერხების/გზების გარკვევა;
- იმ საჭიროებების გამოვლენა, რაც ამ ორ რგოლს შორის ინფორმაციის ოპტიმალური გაცვლისთვის არის საჭირო;
- მშობლების სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის სიხშირის, ფორმების შესწავლა და გაცვლილი ინფორმაციის ტიპის დადგენა;
- სხვა ქვეყნების გამოცდილების შესწავლა, ამ სფეროში წარმატებული პრაქტიკის იდენტიფიკაცია;

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში განხორციელდა ქართული სკოლების რეალობის, არსებული პრაქტიკის შესწავლა. კვლევაში მონაწილეობისათვის სკოლების შერჩევა განხორციელდა განათლების სამინისტროს მულტისციპლინური გუნდის წევრების მიერ. შერჩეულ იქნა 6 სკოლა: ქ. თბილისის №191, №131, №39, №130 სკოლა, ქ. ზუგდიდის №5 და ქ. თელავის

№7 სკოლები. სკოლების შერჩევის კრიტერიუმს წარმოადგენდა სსსმ მოსწავლეთა მომსახურების, კერძოდ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) წარმართვის გამოცდილება.

კვლევის მონაწილეები

ქართული სკოლის რეალობის შესწავლის ფარგლებში ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობდა რესპონდენტთა **3** ჯგუფი:

- *სკოლის ადმინისტრაცია* – სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ინკლუზიის კოორდინატორი და მანდატური, სულ **25** მონაწილე;
- *მასწავლებლები* – კლასის დამრიგებელი, საგნის მასწავლებლები, სულ **115** მონაწილე;
- *მშობლები*, მათ შორის სსსმ მოსწავლეების მშობლებიც, სულ **138** მონაწილე.

მასწავლებლებისა და მშობლების შერჩევის პროცესში მონაწილეობდა სკოლის ადმინისტრაცია. მშობელთა და მასწავლებელთა ძირითადი ნაწილი წარმოადგენდა სამიზნე კლასს, რომელშიც კვლევის შედეგების საფუძველზე შემუშავებული საპილოტე მოდელი უნდა დანერგილიყო. სამიზნე კლასის შერჩევის კრიტერიუმშიც გულისხმობდა სსსმ მოსწავლის ჩართულობას.

კვლევის პროცედურა

რესპონდენტთა ჯგუფის სპეციფიურობის გათვალისწინებით შეიქმნა კითხვარები, რომლებიც მოიცავდა როგორც დახურულ, ასევე ღია შეკითხვებს. კითხვარის ადმინისტრირება ხდებოდა ჯგუფში. მონაწილეები კითხვარის პასუხების ფურცელს ავსებდნენ სტანდარტული ზეპირი ინსტრუქციის შემდეგ, რომელშიც მინოდებული იყო მოკლე ინფორმაცია კვლევის მიზნისა და კითხვარის შესახებ. კითხვარის შესახებ ინსტრუქცია, ასევე, მოცემული იყო კითხვარის დასაწყისშიც.

კითხვარის შევსების შემდეგ რესპონდენტები მონაწილეობდნენ ფოკუს ჯგუფებში. კითხვარის შევსება და დისკუსიაში მონაწილეობა დაახლოებით 2 საათი გრძელდებოდა.

კვლევისათვის ეთიკური საფუძვლის შესაქმნელად და მასწავლებლების და მშობლების ინტერესების გათვალისწინებისათვის, მკვლევართა ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა ინფორმირებული თანხმობის ფორმა. კვლევაში მონაწილე მასწავლებლები და მშობლები ინფორმირებული თანხმობის ფორმის გაცნობის საფუძველზე ადასტურებდნენ თანხმობას თანამშრომლობაზე.

როგორც კითხვარის, ასევე ფოკუს ჯგუფის ადმინისტრირება რესპონდენტთა ჯგუფის სპეციფიურობის გათვალისწინებით შექმნილ ჯგუფებში მიმდინარეობდა. თვისობრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებამ საშუალება მოგვცა გამოგვერიცხა და დაგვეზუსტებინა წინააღმდეგობრივი პასუხები. კითხვარის დახმარებით მიღებული ინფორმაციის შევსების საშუალება მოგვცა ფოკუს ჯგუფებში მუშაობამ.


კვლევის შედეგების აღწერა

მშობელთა შეხედულებების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

- გამოკითხულ მშობელთა 91% სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების ძირითად ხერხად ასახელებს მასწავლებელთან პირად კონტაქტს;
- მშობელთა 75% სკოლასთან ურთიერთობის ძირითად ფორმად მშობელთა კრებას ასახელებს;
- მშობელთა 57%-ს მიაჩნია, რომ სკოლაში არსებობს მშობელთა შეხვედრებისთვის განკუთვნილი ადგილი, თუმცა ასეთი ადგილი რეალურად არ არსებობს. განსვლა კითხვარის და ფოკუს ჯგუფის შედეგებს შორის – უმეტესობა არ უშვებს მშობელთა შეხვედრებისთვის სპეციალური ადგილის არსებობის შესაძლებლობას, ასეთ ადგილად საკლასო ოთახი მიაჩნია;

- სკოლასთან მშობლების ურთიერთობის ძირითად მიზეზებს შორის გამოიკვეთა: ბავშვის შესახებ ამბის გაგება, აკადემიური წარმატება, აკადემიური პრობლემა და ყოფაქცევა (იხ.დიაგრამა №1);
- მშობელსა და სკოლას შორის თანამშრომლობის წარმატებული შემთხვევების აღწერისას გამოიკვეთა: ექსკურსიის ორგანიზება, სადღესასწაულო ზეიმებში მონაწილეობა, სპექტაკლებზე ერთობლივი დასწრების, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენის ორგანიზება, სკოლის ფიზიკური გარემოს გაუმჯობესებაზე ზრუნვა (დასუფთავება, დამატებითი გათბობაზე ზრუნვა), მშობელთა მორიგეობა სკოლაში მოსწავლეთა დასწრების და ყოფაქცევის გაუმჯობესების მიზნით;
- ერთადერთი შემთხვევა, როდესაც მშობლები გადანყვეტილების მიღების პროცესში არიან ჩართულნი, სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაა;


დიაგრამა 1. მშობლების სკოლასთან თანამშრომლობის ძირითადი მიზეზები



სკოლის მიმართ მშობლების ძირითად ჩივილებს შორის აღსანიშნავია

- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის და ურთიერთობის სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- სსსმ მოსწავლეებთან მომუშავე სპეციალისტების ნაკლებობა სკოლაში და სკოლის მიერ ამ პრობლემის მოგვარების უუნარობა;
- საგანმანათლებლო შეხვედრების, ტრენინგების ნაკლებობა;
- მასწავლებლების მხრიდან ინიციატივების ნაკლებობა სსსმ მოსწავლეების საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობებში ჩართვის შესახებ;
- სკოლის ადმინისტრაციასთან კომუნიკაციის დეფიციტი, შეხვედრების ინიციატორები ძირითადად თავად მშობლები და მასწავლებლები არიან (იხ. დიაგრამა №2);
- საგნის მასწავლებლებთან შეხვედრის სირთულე;
- მშობელთა კრების დროის შეთანხმება არ ხდება მშობელთან;
- კონფიდენციალობის დაცვის საფრთხეები – არასაჯარო ინფორმაციის გავრცელება პირად საუბრებში;

დიაგრამა 2. თანამშრომლობის ინიცირება (შეხვედრის ინიციატორები)



სკოლასთან ურთიერთობის გაუმჯობესების ხედვის თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

სასკოლო ცხოვრებაში მეტი მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს გამოკითხულ მშობელთა 71%;

მშობელთა უმრავლესობა აღნიშნავს მასწავლებლებთან პირადი შეხვედრების სისტემატიზების საჭიროებას;

მშობლებს სურთ, რომ უკეთ იცნობდნენ საგნობრივ მასწავლებლებს;

სკოლის ადმინისტრაციისა და მასწავლებლების კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი:

სკოლა მშობლების შესახებ ინფორმაციას ინახავს:

- ოფიციალური დოკუმენტების სახით (ანკეტა პირად საქმეში);
- ინდივიდუალური სახით (დამრიგებლის ჟურნალი ან ჩანაწერები);
- ზოგიერთ სკოლაში არსებობს ელექტრონული ბაზა.

მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობას სკოლა უზრუნველყოფს. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ინფორმაციის გავრცელების წყარო თვით მოსწავლეები ან მათი მშობლებია.

მასწავლებლები გამოყოფენ მშობლების მხრიდან სკოლის მისამართით გამოთქმულ ძირითად ჩივილებს:

- შვილის დაბალ აკადემიურ მოსწრებას;
- მოსწავლეთა შორის დაპირისპირებას, კონფლიქტს, აგრესიას, ძალადობას;
- სკოლის მატერიალურ მოწყობას;
- სკოლის პასუხისმგებლობას და დისციპლინას;

- კლასში მოსწავლეთა დიდ რაოდენობას;
- სსსმ მოსწავლეთა სტატუსს (სტიგმის ჩამოშორება).

ძირითადი სირთულეები, რასაც სკოლა მშობლებთან ურთიერთობის დროს აწყდება, არის:

- მშობლის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი;
- მშობლის წინასწარი განწყობები;
- მასწავლებლის და ზოგიერთი საგნის მიმართ მშობლისა და ბავშვის წინასწარი განწყობები;
- მოსწავლეებს შორის დაძაბული მდგომარეობის გამო მშობლების არაადეკვატური ჩარევა;
- მშობლის სუბიექტური შეხედულებები შვილის ნიჭიერების შესახებ;
- მშობლის არაინფორმირებულობა;
- მაღალი კლასის მოსწავლეთა მშობლების ინდიფერენტულობა – შვილის სასწავლო ცხოვრებაში მონაწილეობის ინტერესის ნაკლებობა.

მასწავლებლების მხრიდან ურთიერთობის სირთულეების დაძლევა უშუალოდ მშობელთა, ადმინისტრაციის ან სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის ჩართვით ხორციელდება. თუმცა, მასწავლებელთა უმეტესობა აღნიშნავს სპეციალური მასწავლებლისა და ფსიქოლოგის რესურსის ნაკლებობას სკოლაში.

სკოლის მასწავლებლები და ადმინისტრაცია მშობლის სკოლით კმაყოფილების განმსაზღვრელ შემდეგ ფაქტორებს უსვამს ხაზს:

- სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება, რაც


გულისხმობს მაღალი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლების მოზიდვას, სკოლის მენეჯმენტის გაუმჯობესებას;

- მოსწავლეების ჩართვას სკოლის გარეთ აქტივობებში, კონკურსებში, ოლიმპიადებში.

მასწავლებლების სურვილები მშობლებთან სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით:

- მასწავლებლებს სურთ, რომ მშობლები დაეხმარონ მოსწავლეებს სასწავლო ამოცანების დაძლევაში;
- მასწავლებლებს სურთ, რომ მშობლები იცნობდნენ სასწავლო პროგრამას და სწავლების მეთოდებს;
- კომუნიკაციისათვის პირადი კონტაქტი ურთიერთობის პრიორიტეტული ფორმაა ყველა მხარისათვის (იხ. დიაგრამა №3).

დიაგრამა 3. ინფორმაციის გადაცემის ხერხები



შედეგების განხილვა

კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ ის ძირითადი რესურსები, რაც ოჯახისა და სკოლის წარმატებული ურთიერთობის მოდელის ჩამოყალიბებისთვის საყრდენად შეიძლება გამოგვადგეს:

- მშობელთა უმრავლესობის სურვილი იყოს მეტად ჩართული სასკოლო ცხოვრებაში;
- მასწავლებელთა უმრავლესობის სურვილი მშობლები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი და შესაბამისად, მეტად ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში;
- სკოლასა და მშობელს შორის წარმატებული ურთიერთობის უკვე არსებული გამოცდილების არსებობის მნიშვნელობა;
- ადმინისტრაციისა და მასწავლებლების მხრიდან გაცნობიერება იმისა, რომ მათი როლი გადამწყვეტია მშობელთა სკოლით კმაყოფილების ფორმირებაში.

აქვე აღსანიშნავია იმ ძირითადი პრობლემების იდენტიფიკაციაც, რაც შემაფერხებელ ფაქტორებად გვევლინება მშობლისა და სკოლის თანამშრომლობის ორმხრივად ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის:

- გადანყვეტილების მიღების პროცესში მშობელთა არასაკმარისი ჩართულობა;
- მშობლების ადმინისტრაციასა და საგნის მასწავლებლებთან კომუნიკაციის დეფიციტი;
- ინფორმაციის გაცვლის ფორმალიზების, სისტემატიზაციის პრობლემა;
- მშობელთა ინიციატივების გამომჟღავნების, სკოლის მხრიდან მხარდაჭერის პრობლემა;

- სკოლის მხრიდან მშობლის ჩართულობის ამაღლებაზე მიმართული ინიციატივების დეფიციტი.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მშობლები (ზოგ შემთხვევაში უმრავლესობა) არ იცნობენ კლასში შემავალ ყველა მასწავლებელს ან მწირი ურთიერთობა აქვთ მათთან. ასევე კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ მშობლები არ იცნობენ საგნების მიხედვით სასწავლო პროგრამას, რომლითაც მათი შვილი სწავლობს და ზოგიერთ შემთხვევაში მშობლებს არარეალური მოლოდინები აქვს სასწავლო წლიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხშირია მშობლების მხრიდან ნიშნის დაწერის გაპროტესტება და კონფლიქტი მასწავლებლებთან.

დასკვნა

უცხოეთის ქვეყნების გამოცდილების ანალიზის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კვლევაში განხილული ქვეყნები ძალისხმევას მიმართავენ სათანადო პირობები შექმნაზე მშობელთა ჩართულობის უზრუნველყოფისთვის. მშობლის მონაწილეობის გააზრება იწყება სკოლის საბჭოებისთვის და სხვა ფორმალური სტრუქტურებისთვის წარმომადგენლობითი ხმის მინიჭებით. კომუნიკაციის გაუმჯობესებისთვის ყურადღება მახვილდება ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა:

- გადანყვეტილების იღების პროცესში მშობელთა მონაწილეობის შესაძლებლობა;
- ინფორმაციის გაზიარების ფორმალიზება;
- მშობლის მიმდინარე სასკოლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების წარმოების შესაძლებლობით აღჭურვა;

ქართული სკოლების რეალობის წარმოდგენილი კვლევა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ:

- არ ხდება სკოლისა და ოჯახის თანამშრომლობის დაგეგმარება;
- არ ხორციელდება საჭიროებების ანალიზი, არ არსებობს საერთო პოლიტიკა;
- ადმინისტრაცია არ იცნობს შიდა სამზარეულოს;
- მშობლებს უჭირს ხმის მიწვდენა გადაწყვეტილების მიღების დროს;
- მშობელთა არაინფორმირებულობა ხშირად კონფლიქტის მიზეზი ხდება;
- თანამშრომლობის პროცესი თანმიმდევრული არ არის, რადგან მხარეებს არ აქვთ გაცნობიერებული როლები;
- სკოლა ხელმძღვანელობს საკუთარი ინტერესებით და მშობელი ვალდებულია შეენწყოს სკოლის მოთხოვნებს;

რეკომენდაციები

წარმოდგენილი რეკომენდაციები ხელს შეუწყობს სკოლას მშობლებთან თანამშრომლობის კომპონენტების ირგვლივ კვლევაში დაფიქსირებული ბარიერების გადალახვაში და მთლიან-სასკოლო ინკლუზიური კულტურის ჩამოყალიბებაში:

- ყველა მოსწავლის მშობელი სკოლაში მოვა მასწავლებლებთან პირად შეხვედრაზე და ინდივიდუალური გეგმის შედგენაზე მოსული მშობელიც იქნება ამ საერთო პრაქტიკის ნაწილი.
- ინდივიდუალურ შეხვედრებზე მშობლები გაიცნობენ მასწავლებლებს და საგნების შესაბამისად გაერკვევიან რა კონკრეტული და მიმდინარე მოლოდინი არის შვილის აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირე-

ბით (დაიძლევა დაძაბულობა მასწავლებლის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით).

- სკოლის მიღმა ღონისძიებები მისაწვდომი იქნება სსსმ მოსწავლისათვის, რადგან ყველა მშობელი წინასწარ იქნება ინფორმირებული ასეთი სასკოლო და საკლასო გეგმების შესახებ (თუ ასეთი ღონისძიებები წარმატებაა ზოგადი ნაკადისათვის, სსსმ მოსწავლეების მშობლები ამ მიმართულებით თავს გარიყულად გრძნობენ).
- კლასის საერთო კლიმატის შექმნის მიმართულებით გააზრებული შეხვედრებით შესაძლებელი იქნება რთული ქცევის პრევენცია ან ეფექტიანი სტრატეგიების შემუშავება: კონფიდენციალობის დაცვა, შეუთანხმებელი ინტერვენციების არიდება, როგორც მშობლის ასევე მასწავლებლის მხრიდან (არ ხდება ინციდენტების ირგვლივ ჭორაობა და სკოლას და მშობლებს აქვთ ერთობლივი ხედვა და დაზუსტებული ინფორმაცია).
- სკოლის ადმინისტრაცია ინფორმირებულია კრებების თაობაზე და მშობელს მოიაზრებს აქტიურ და თანმიმდევრულ პარტნიორად, რაც ასახულია გეგმარების და ბიუჯეტირების ასპექტებში.

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელის პილოტირების შედეგები

მოდელის სამუშაო ვერსიის კომპონენტების პილოტირება ორ ეტაპად წარიმართა. პირველი ეტაპი გულისხმობდა 6 სხვადასხვა სკოლაში შერჩეული კლასის პედაგოგების და სკოლის ადმინისტრაციის და მშობლების ერთობლივი ტრენინგს, ხოლო მეორე ეტაპი, ძირითადად,

საინიციატივო ჯგუფთან სამუშაო შეხვედრების ფორმატში მიმდინარეობდა.

პილოტირებაში მონაწილეობის მისაღებად სკოლის ადმინისტრაციამ შიდა კონსულტაციის საფუძველზე, შეარჩია კლასი, რომელშიც სპეციალური სასწავლო საჭიროების თემა იდგა დღის წესრიგში. თუმცა, კლასები ასაკობრივად და თვისობრივად სრულიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. შერჩეული კლასები მიეკუთვნებოდნენ დაწყებით და საშუალო საფეხურს, უმრავლეს შემთხვევაში კლასში იყო ერთი იდენტიფიცირებული სსსმ მოსწავლე, თუმცა ერთ კლასში ასეთი 6 მოსწავლე იყო რეგისტრირებული და ერთში კი, ასეთ მოსწავლეს სსსმ მოსწავლის სტატუსი ოფიციალურად არ ჰქონდა მინიჭებული.

ტრენინგში შერჩეული სკოლების 6 კლასიდან 122 ადამიანი მონაწილეობდა, 65 მასწავლებელი და 57 მშობელი. ტრენინგზე დამსწრეთა რაოდენობა სკოლების მიხედვით ასეა გადანაწილებული: ქ. თბილისი №191 საჯარო სკოლა – 13 მასწავლებელი; 8 მშობელი;

№131 საჯარო სკოლა – 11 მასწავლებელი, 11 მშობელი; №39 საჯარო სკოლა – 13 მასწავლებელი, 7 მშობელი; №130 საჯარო სკოლა – 6 მასწავლებელი, 11 მშობელი;

ქ. ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა – 14 მასწავლებელი, 10 მშობელი; ქ. თელავის №7 საჯარო სკოლა – 8 მასწავლებელი, 10 მშობელი.

პილოტირების ამოცანა იყო ოჯახის და სკოლის წარმომადგენლებს შორის ჩამოყალიბებულიყო დიალოგი, რომელიც ეძღვნებოდა თანამშრომლობის გაუმჯობესებასა და კეთილგანწყობილი ურთიერთობის ფორმირებისათვის პირობების შექმნას.

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა სკოლა-სახლი თანამშრომლობის სტრატეგიას, კომუნიკაციის ფორმალურ და არა-ფორმალურ ასპექტებს, ღია კომუნიკაციის ფორმებსა და ინფორმაციის გადაცემის შესაძლო ბარიერებს.

ტრენინგის მსვლელობისას მოდელის კომპონენტების

შეთავაზება გულისხმობდა მხარეების მხრიდან ამ კომპონენტების სიცოცხლისუნარიანობის გააზრებას, მაგალითად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პასუხიმგებლობის პუნქტების განერა.

ტრენერების მიერ მონაწილეებისთვის მიწოდებული და ერთობლივად განხილული თემების შეჯამების შემდეგ თითოეულ სკოლაში ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები (მასწავლებლები და მშობლები, 4-5 წევრი), ამ ჯგუფებთან რეგულარული შეხვედრების დროს (მონიტორინგის ეტაპი) მიმდინარეობდა მუშაობა სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის მოდელის კომპონენტების დანერგვაზე.

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მოდელის მონიტორინგის დროს პრაქტიკაში დაინერგა (*ნიმუშები იხილეთ ქართულ მოდელში*):

- მშობელთა საერთო კრებაზე მოსაწვევი ბარათის სამუშაო ვერსია;
- მშობელთა საერთო კრების შემაჯამებელი ბარათი;
- „ოჯახი – სკოლის თანამშრომლობის შეთანხმება“ / ხელშეკრულება;
- მშობელთა კრება და მშობლების ინფორმირება საგნების მიხედვით.

მონიტორინგი გულისხმობდა სკოლების შესაბამისი ფორმებით და ინსტრუქტაჟით უზრუნველყოფას და მასწავლებლებთან და მშობლებთან ერთად შეთავაზებული მოდელის კომპონენტების დეტალურ განხილვას, მათი გამოყენების დაგეგმარებას, დანერგვას და პრაქტიკისათვის შესატყვისობის გააზრებას.

- ✓ **მშობელთა საერთო კრებაზე მოსაწვევი ბარათი** ასახავს კრების დეტალებს: რომელ სკოლაში, რომელ კლასში ტარდება მშობელთა კრება. ასევე რომელ დღეს, საათზე და რა თემები იქნება განხილული აღნიშნულ შეხვედრაზე.

მოსანვევი ბარათი დაეხმარებათ მშობლებს წინასწარ დაგეგმონ და მოემზადონ შეხვედრისთვის, და ასევე, საჭიროებიდან გამომდინარე, სამსახურში წარადგინონ ბარათი, რომელიც ადასტურებს მათ მინვევას სკოლაში მშობელთა საერთო კრებაზე

- ✓ **მშობელთა საერთო კრების შემაჯამებელი ბარათი** ასახავს რომელ სკოლაში, რომელ კლასში და რა დროს ჩატარდა მშობელთა კრება. მითითებულია მშობელთა კრების ორგანიზატორი (სავარაუდოდ დამრიგებელი) და მშობელთა კრებაზე არჩეული მშობლების წარმომადგენელი.

ბარათში აღნუსხულია კრებაზე განხილული თემების ჩამონათვალი, თითოეულ თემასთან დაკავშირებით მშობლების და მასწავლებლების მიერ გაჟღერებული მნიშვნელოვანი ინიციატივები/იდეები და საბოლოო შეთანხმება. კრების დასრულების შემდეგ ბარათში აისახება თითოეული თემის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერენ კრების ორგანიზატორი და მშობლების წარმომადგენელი.

მშობელთა კრების შემაჯამებელი ბარათი სკოლის ადმინისტრაციას და კლასის დამრიგებელს დაეხმარება გააანალიზოს მშობლების ხედვა აქტუალურ თემებთან დაკავშირებით და ასევე დინამიკაში დაინახოს პრობლემების, თუ აქტუალური თემების მოგვარების მიმდინარეობა.

- ✓ **„ოჯახი – სკოლის თანამშრომლობის შეთანხმება“** ასახავს სკოლის და ოჯახის მოვალეობებს და ვალდებულებებს.

შეთანხმება ემსახურება მხარეებს შორის დაკისრებული ვალდებულების ფორმალურ გააზრებას და ურთიერთვალდებულების პასუხიმგებლობის გაცნობიერებას..

- ✓ „მშობელთა კრება და მშობლების ინფორმირება საგნების მიხედვით“ სკოლების საპილოტე კლასების დამრიგებლებს და მასწავლებლებს შევთავაზეთ სასწავლო წლის დასაწყისში (სექტემბერი) და ბოლოს (მაისი-ივნისი) მშობელთა კრების თემა – „კლასის მასწავლებლები საგნების მიხედვით, მომავალი სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით მისალწვევი/მიღწეული მიზნების პრეზენტაციის მოწყობა“.

პრეზენტაცია მიზნად ისახავს საგნების მიხედვით ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების გაცნობას მშობლებსთვის და ასევე შეფასების რუბრიკის შექმნის მეთოდოლოგიის გაცნობას. აღნიშნული მშობელთა კრება ემსახურება სკოლის/კლასის მასწავლებლების დაახლოებას და მშობლებთან/ოჯახთან აკადემიური თემატიკის ირგვლივ დიალოგის წარმოებას.

საინიციატივო ჯგუფთან ერთად განხილული და დამუშავებული იყო საერთო მშობელთა კრების შესაძლო წლიური თემატური ჩარჩო ოთხი შეხვედრისათვის, რაც წარმოდგენილია ცხრილში № 1.

ცხრილი 1.

საერთო მშობელთა კრება	თემატური მიზნები
№1	კლასის ყველა მასწავლებლის გაცნობა მშობლებისათვის; მიმდინარე სასწავლო წლის საგნების მიხედვით მისალწვევი მიზნების (ეროვნული სასწავლო გეგმა) და მოსწავლეების შეფასების რუბრიკის გაცნობა

№2	მასწავლებლის და მშობლების ინდივიდუალური შეხვედრების ორგანიზება – შეხვედრის თემების განსაზღვრა და განრიგის/დროის შემუშავება; მასწავლებლის და მშობლების ერთობლივი სტრატეგიების შემუშავება მოსწავლის აკადემიური და სოციალური მოსწრების მონიტორინგისათვის.
№3	მთლიანი საკლასო საქმიანობის განრიგის ერთობლივი შედგენა და სავარაუდო განრიგის შეთანხმება. ამ საქმიანობაში შესული კომპონენტების ლოგისტიკის საკითხების გააზრება და დაგეგმვა, როლების განაწილება (მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები), დროის გამოყოფა, სახსრების და რესურსების მობილიზება.
№4	საერთო სასკოლო სურათის ჩვენება მიღწევების გაზიარება და გეგმების წარდგენა, სკოლის მასშტაბების გააზრება საფეხურის შესაბამისი და საერთო სასკოლო ხედვაში მონაწილეობის შესაძლებლობის დემონსტრირება.

პილოტირების პროცესში საინიციატივო ჯგუფის მხრიდან, ძირითადად, პოზიტიური კომენტარები დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებს დამატებით ძალისხმევა დასჭირდათ მშობლების მოსაწვევად, შეხვედრისათვის მოსამზადებლად და პრეზენტაციის გასაძლოლად, ეს საინტერესოც იყო და შედეგად, ისინი გრძნობდნენ, რომ ასეთი ქმედებით ამაღლდა მასწავლებლის ავტორიტეტი. მობილიზაციის ხარჯზე, ყოველგვარი ხელისშემშლელი და ვინყებების გარეშე, მათ შეძლეს ინფორმაციის მიზანმიმართული გადაცემა. შესაბამისად, მშობლებმაც ჩათვალეს, რომ „მასწავლებლებმა მთელი თავიანთი მონდომება ჩართეს, ამომწურავად ახსნეს, კარგი იყო, კომფორტული იყო“.

რა თქმა უნდა მასწავლებლებს იმედგაცრუების საბაბიც ჰქონდათ, თუ ერთ კლასში მაქსიმალური დასწრება იყო, მეორეში ცოტა მშობელი გამოცხადდა. თუმცა, სხვა კლასში მოვიდა ისეთი მშობელიც, ვინც იშვიათად დადის და მამაც კი. სხვა შემთხვევაში მშობლებმა ამ შეხვედრაზე გაიცნეს ზოგიერთი მასწავლებელი.

თუ ერთ მასწავლებელს ჰქონდა განცდა, რომ ყველაფერი თვალსაჩინო და ყველასთვის გასაგები იყო, სხვა მასწავლებელი ფიქრობდა, რომ მშობლებში სასწავლო გეგმის მიმართ ინტერესის ნაკლებობა და „ზოგიერთი მშობლისათვის სტანდარტის ენა გაუგებარია და სჯობს მარტივი ენით საუბარი“.

სიახლეებთან დაკავშირებით მასწავლებლები ნერვიულობდნენ, თუმცა: „ბავშვებზე არ ვსაუბრობდი, სახელმძღვანელოს წარდგენა მარტივი იყო“; „გავაცანი სასწავლო პროცესი შეფასების კრიტერიუმები“. შედეგად მათ, მშობლების მხრიდან გაოცება და დადებითი განწყობა მოიპოვეს: „მასწავლებლებმა დრო დაუთმეს, რომ ეს ჩვენთვის მოეტანათ, საინტერესო იყო მეთოდის გაგება, თუ, როგორ ფასდება მოსწავლე“. მშობლებისათვისაც უჩვეულო იყო ასეთი ფორმით ურთიერთობა, „სხვა კრებას არ გავდა, ინდივიდუალურად რომ ეკითხები, არც იმას ჰგავდა“.

პროცესი არ იყო ერთგვაროვანი, ზოგან იყო კითხვები, ზოგან მშობლებს კითხვები არ ჰქონდათ, „შეიძლება პირველი იყო და იმიტომ“.

„თავისუფალი ვიყავი და მშობლები კმაყოფილები იყვნენ...“
– აღნიშნა ერთმა მასწავლებელმა.

პილოტირების დროს დაფიქსირდა ის, რაც ასეთ პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევითი ფორმატისათვის მნიშვნელოვანია. კერძოდ, სისტემის სხვა რგოლებმაც გამოთქვეს დაინტერესება და იმავე პროცესში მონაწილეობის სურვილი:

„როცა სამასწავლებლოში ვმუშაობდი, ვწერდი მოსაწვევებს და ვაფორმებდი ფორმატებს, სხვა კლასის მასწავლებლებმაც გამოიჩინეს ინტერესი, მთხოვეს მშობელთა კრებაზე დასწრება“

და მოსაწვევი ბარათების მიცემა, რათა მათაც გამოეყენებინათ თავიანთ კლასებში“. კრებას ესწრებოდნენ დაწყებითი პედაგოგიკის კურსის პრაქტიკანტები, რომლებმაც აღნიშნეს : „ასეთი კრება არ მოგვისმენიაო...“

სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობის ქართული მოდელი

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის ხედვა

ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის ერთიანი ხედვის ჩამოყალიბება შესაძლებელია რამდენიმე ფაქტორის მონაწილეობით. ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბების ძირითადი დასაყრდენია მხარეების მიერ ერთმანეთის ღირებულების აღიარება და პოზიტიური თანამშრომლობისთვის საჭირო ხერხებისა და საშუალებების თანმიმდევრული გამოყენება.

ინკლუზიური სასკოლო გარემოს ფორმირებისას მნიშვნელოვანია მოსწავლეებისა და მშობლებისთვის სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის თანასწორი პირობების შექმნა და ამავედროულად, თითოეულის ინდივიდუალობის გათვალისწინება და რაციონალურ ჩარჩოებში დიფერენციალური მიდგომის დანერგვა.

ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობის მოდელის მოკლე აღწერა

ოჯახისა და სკოლის ურთიერთობა ეფუძნება თანამშრომლობას, პროცესი მიმდინარეობს დიალოგზე დაყრდნობით და ემსახურება მხარეებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის მოდელი მოიცავს ოჯახსა და სკოლას შორის კომუნიკაციის 6 ბაზისურ კომპონენტს და ხორციელდება სკოლის 3 დონეზე.

ოჯახის და სკოლის თანამშრომლობის მოდელის მიზანი

ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის მოდელის მიზანია საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული საინფორმაციო და მეთოდური სივრცის შექმნა და ურთიერთგანმავითარებელი სასკოლო თემის ფორმირება.

ოჯახსა და სკოლას შორის თანამშრომლობის პროცესში სკოლას გააზრებული აქვს პასუხისმგებლობა, რომ მიუხედავად მშობლის მცდელობისა ჩაერთოს სასკოლო ცხოვრებაში, სკოლამ სათანადო გააზრებული სტრატეგიის და ტაქტიკის გამოყენებით უნდა შეასრულოს პროაქტიული კომუნიკატორის ფუნქცია. აღნიშნული ფუნქცია გულისხმობს:

- ოჯახის მიმართ კეთილმოსურნე პარტნიორობის სურვილს;
- დახმარებას აქტიური მშობლის როლის განსაზღვრასა და შესრულებაში;
- ინდივიდუალური მიდგომის და პიროვნებაზე მიმართული მეთოდების დანერგვას;
- მოსწავლის განათლების ხელშეწყობისას მაღალი მოლოდინების გამომჟღავნებას;
- კომუნიკაციის შერჩეული ხერხებისადმი გააზრებული დამოკიდებულებით მშობელთა ნდობის მოპოვებას.

ოჯახის და სკოლის თანამშრომლობის მოდელის კომპონენტები

I: *კომუნიკაციის უწყვეტობის პირობა* – სკოლაში შექმნილია სათანადო პირობები ოჯახსა და სკოლას შორის რეგულარული, ორმხრივი და შინაარსიანი კომუნიკაციისთვის.

II: *მშობლის გაძლიერება* – მშობლის უნარების განვითარების ხელშეწყობა და ნახალისება, რათა მან, თავის მხრივ, ხელი შეუწყოს ბავშვის განვითარებას;

III: *მოსწავლის სწავლა* – მშობელი მისი კომპეტენციის და შესაძლებლობის ფარგლებში საჭირო და საკმარის დახმარებას უწევს მოსწავლეს სწავლის პროცესში.

IV: *მოხალისეობა* – მშობელთა მობრძანება სკოლაში,

მათი მხარდაჭერის და დახმარების მცდელობა დაფასებულია.

V: **გადანყვეტილების მიღება და ადვოკატირება** – მშობლები სრულფასოვანი პარტნიორები არიან იმ გადანყვეტილებების მიღებისას, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვებსა და ოჯახებზე.

VI: **თემთან თანამშრომლობა** – საზოგადოებრივი თემის რესურსები გამოიყენება, სკოლის, ოჯახის და მოსწავლის სწავლის გაძლიერებისთვის

წარმოდგენილი მოდელის ხედვის შესაბამისად, სკოლა აცნობიერებს საკუთარ პასუხისმგებლობას მოსწავლის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნაში და ოჯახთან (მშობლებთან) 3 დონეზე სისტემატურად ახორციელებს კომუნიკაციას.

ოჯახთან თანამშრომლობის კომპონენტები ხორციელდება 3 დონეზე:

- სკოლის;
- კლასის;
- ინდივიდუალური.

„მშობელი“ გულისხმობს ყველა მშობელს, დაოჯახებულს და დაუოჯახებულს, ვისაც ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობა აქვს აღებული. ყველა მშობელს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვის განათლების შესახებ გადანყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, ყოველდღიური საკითხების მოგვარებისას მთავარ საკონტაქტო პირებად ითვლებიან მშობლები, რომელთაც სკოლასთან რეგულარული ურთიერთობა აქვთ (19).

სკოლის დონე

რესურსები

- ✓ ინფრასტრუქტურა – განათლების ინფრასტრუქტურის და გარემოს განვითარებისა და დაგეგმარების პროცესში თანამშრომლობის (ფიზიკური გარემო, ელექტრონული პორტალები, შეღწევადობა და ხელმისაწვდომობა) საჭიროება აუცილებლად არის გათვალისწინებული.
- ✓ სკოლის თანამშრომლებს (მასწავლებლები, ადმინისტრატორები, დაცვის სამსახური) აქვთ შესაფერისი ცოდნა და უნარები, უზრუნველყოფილი არიან თანმიმდევრული და ეფექტიანი ტრენინგებით და მხარდაჭერით თანამშრომლობის პროცესში.
 - შიდა ორგანიზაციული განვითარების ამოცანა; მასწავლებლის მომზადება მშობელთან შეხვედრის დროს კომუნიკაციის ეფექტიანი ტექნიკის გამო-საყენებლად. მშობელმა უნდა დაინახოს, რომ:
 - მასწავლებელმა იცის, რის შესახებ უნდა, რომ ესაუბროს
 - მასწავლებელმა იცის როგორ უნდა ესაუბროს
 - მასწავლებელი ქმნის მონაწილე მხარეებისათვის საერთო ინტერესების სივრცეს.
- ✓ სკოლაში არსებული კულტურა და გარემო იძლევა მშობელთან ღია და თავისუფალი საუბრების გამართვის შესაძლებლობას
- ✓ თანამშრომლობის პრინციპები ჩამოყალიბებულია სკოლაში არსებული რეალობის გათვალისწინებით.

დაგეგმვა, კვლევა და დოკუმენტაცია

- ✓ სკოლებს გააჩნიათ თანამშრომლობის **სტრატეგია**, რომლის გადახედვა და განახლება ხდება წელიწადში ერთხელ.
- ✓ სკოლის სასწავლო პროგრამა და სხვა შესაბამისი დოკუმენტები მკაფიოდ გამოხატავს და **აღწერს** წარმატებული თანამშრომლობის მისაღწევად საჭირო **პრაქტიკულ გზებს**.
- ✓ ოჯახისა და სკოლის თანამშრომლობა გათვალისწინებულია სკოლის თანამშრომლების **სამუშაო აღწერილობაში და დაგეგმვის** დროს გამოიყოფა საკმარისი რესურსი თანამშრომლობის განვითარებისათვის. დაგეგმვისას გათვალისწინებულია საერთო სასკოლო შეხვედრები წელიწადში ორჯერ (სულ მცირე), მშობლების მონვევა და ინფორმირება სწავლის შედეგების და გეგმების, ბიუჯეტის და სხვ. შესახებ. შეხვედრები მიმდინარეობს სწავლების საფეხურის მიხედვით.
- ✓ სკოლის გადანყვეტილებებში მშობლის მონაწილეობის შესაძლებლობის დეტალური განერა; ოჯახის და სკოლის ურთიერთობაში გამოკვეთილია თანამონაწილეობის ორი ასპექტი. ერთი შეეხება, **მხარეთა პასუხისმგებლობას ურთიერთინფორმირების** თაობაზე, მეორე კი, **გამოსავლის ძიების და გადანყვეტილების მიღების** პროცესში ოჯახის (მათ შორის ბავშვის) მონაწილეობას.
- ✓ ადმინისტრაცია ყოველწლიურად **იკვლევს** მოსწავლეებისა და მათი მშობლების დამოკიდებულებებს (სასურველია სასწავლო წლის ბოლოს), რათა დაგეგმოს ცვლილებები.

ინფორმირების ხერხები

- ✓ სკოლის ადმინისტრაცია ყოველწლიურად ხდება (სასწავლო წლის დასაწყისში) **საერთო სასკოლო შეხვედრაზე** მასწავლებლებს, მშობლებს და მოსწავლეებს და აცნობს, თუ რა იგეგმება **ახალი სასწავლო** წლის პერიოდში, მაგ. ახალი მეთოდების დანერგვა (იგულისხმება სსსმ მოსწავლეც), ინვენტარის შეძენა (იგულისხმება სსსმ მოსწავლეც), სკოლის კვების ობიექტის ფუნქციონირება (ყველასათვის ხელმისაწვდომი), სკოლაში ჰიგიენის დაცვა (ყველასათვის ხელმისაწვდომი), სკოლის ბიუჯეტი და სხვა აქტუალური საკითხები.
- ✓ სასწავლო წლის დასასრულს **საერთო სასკოლო შემჯამებელ შეხვედრაზე** სკოლის ადმინისტრაცია აჯამებს განვლილ სასწავლო წელს და ანგარიშს აბარებს მშობლებს, მასწავლებლებს და მოსწავლეებს.
- ✓ ხდება სკოლის ვებ-გვერდის განახლება **საერთო სასკოლო შეხვედრების** ვიდეო ჩანაწერით და ტრანსკრიპტით (მშობლებისათვის სკოლის ტექნიკური და ტექნოლოგიური დახმარება). შესაძლებელია ამ აქტივობასთან დაკავშირებით სკოლაში გამოიციეს ბუკლეტები, გაზეთები, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსდეს ინფორმაცია (ადმინისტრაციის პრეზენტაცია).
- ✓ სიახლეებთან დაკავშირებით მშობლების ინფორმირება (მაგალითად მშობლის **საინფორმაციო დაფა და კუთხე**, სადაც არის მორიგე გამოცდილი მშობელი და მოსულ მშობელს მიმართულებას აძლევს).
- ✓ **საგნობრივი კათედრები** ამზადებენ მშობლების საინფორმაციო შეხვედრებს და წერილობით და ვიდეო მასალებს.

სასკოლო თემის ფორმირება

- ✓ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შედის მშობელი. ის ასრულებს მშობლების წარმომადგენლის ფუნქციას და მისი არჩევა ხდება სკოლის მშობლების მონაწილეობით.
- ✓ სკოლაში რეგისტრირებულ თითოეული მოსწავლის მშობელს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს სამეურვეო საბჭოს არჩევნებში და შეარჩიოს მშობელთა საბჭოს წევრები, რომელიც სკოლაში იმუშავებს ყველა მშობლის სახელით.
- ✓ **ურთიერთგანვითარების** სტიმულირება ხდება მშობელთა, თუ შერეული მშობელთა და მასწავლებელთა ფორუმისა და ასოციაციების მეშვეობით.

ადმინისტრაციის მხარდაჭერა

- ✓ სკოლა ხელს უწყობს მშობელსა და მოსწავლეს შორის დიალოგის წამოწყებას; სკოლის დირექტორი მოუწოდებს მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლის თანამშრომლებს გააქტიურებისაკენ, ხელს უწყობს მათ თანამონაწილეობას თანამშრომლობის განვითარების საქმეში, და ამ თანამშრომლობის დამკვიდრებას სკოლის ცხოვრებაში.
- ✓ სკოლა ზედამხედველობას უწევს მშობელთან კომუნიკაციის პროცესში პროფესიული ეთიკის მაღალი სტანდარტის დაცვას და კონფიდენციალობის შენარჩუნებას სკოლის ყველა დონეზე და ყველა ადმინისტრაციული რგოლის მიერ.

კლასის დონე

კლასის საერთო მშობელთა კრება

- ✓ კლასის დამრიგებლები და სხვადასხვა საგნის მასწავლებლები (იგულისხმება სპეციალური მასწავლებელიც, რომელიც ეხმარება სსსმ მოსწავლეს და სხვა საგნის პედაგოგებსაც) ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში **კლასის საერთო მშობელთა კრებაზე** ხვდებიან მშობლებს და აცნობენ საგნების მიხედვით სასწავლო წლის მისაღწევ მიზნებს (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). დეტალურად უხსნიან მშობლებს ახალ მეთოდებს (თუ ასეთი ინერგება), ასევე აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეების შეფასების სტრატეგიების და რუბრიკების შესახებ. განიხილავენ საშინაო დავალების შესრულების პროცესს და მშობლებთან ერთად თანხმდებიან ურთიერთკომუნიკაციის პრინციპებსა და ფორმებზე.
- ✓ მშობელთა კრების **თემების განსაზღვრა** ხდება **მშობლების მონაწილეობით** და შეხვედრას აქვს დიალოგის ფორმა. კრებაზე პროცესს აქვს ინტერაქციული ფორმა, მხარეთა შორის **დიალოგი** მიმდინარეობს და **პასუხისმგებლობა** განაწილებულია. პროცესი შედეგზე ორიენტირებული, თანმიმდევრული და დროში გადანაწილებულია;
- ✓ **კრების მოწვევა**, მასწავლებელთან ერთად, შეუძლია მშობელსაც;
- ✓ **კრების წაყვანის** გადანაწილება და მშობელთა დანიშვნა ფასილიტატორად ან თანაფასილიტატორად, მნიშვნელოვანია განსხვავებული შეხედულებების პირობებში, კომუნიკაციის გამოცდილების მისაღებად;
- ✓ კლასის მშობელთა კრებაზე ხდება მთლიანი საკლასო **საქმიანობის** და კლასის **ლოგისტიკის საკითხების** გააზრება, შეთანხმება და დაგეგმვა, როლების განაწი-

ლება (მშობლები, მასწავლებლები და მოსწავლეები), დროის გამოყოფა, სახსრების და რესურსების მობილიზება. ღონისძიების ფორმატის განსაზღვრისას ხდება ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ პასუხისმგებლობის გადანაწილება.

- ✓ კლასის დამრიგებლები და სხვადასხვა საგნის მასწავლებლები (იგულისხმება სპეციალური მასწავლებელიც, რომელიც ეხმარება სსსმ მოსწავლეს და სხვა საგნის პედაგოგებსაც) სასწავლო წლის ბოლოს, საერთო **მშობელთა კრებაზე აჯამებენ** გასულ სასწავლო წელს (არ იგულისხმება მოსწავლეების ინდივიდუალური შედეგები, აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებათ მხოლოდ ინდივიდუალურ შეხვედრებზე). მაგ. კლასის საერთო მაჩვენებელი სხვადასხვა საგნებში (სტატისტიკური მონაცემები), განხორციელებული პროექტები, კვლევები, გასვლითი გაკვეთილები თუ სხვა.

საკომუნიკაციო ფორმები

- ✓ დამრიგებელი მშობლებს აცნობს საერთო კლასის კრებისა და ინდივიდუალური შეხვედრის მოწვევის ფორმებსა (რომელიც მასწავლებლებსა და მშობლებს შორის შეთანხმების საფუძველზე მიიღება) და პროცედურებს.
- ✓ შეხვედრაზე განხილული საკითხები იკრიბება შეხვედრის ოქმში და გამოიყენება ადმინისტრაციის ინფორმირებისათვის კლასის აქტუალური საკითხების თაობაზე.

ინდივიდუალური დონა

მოსწავლის ინტერესების დაცვა

- ✓ მოსწავლის ინტერესების **დამცველად** გვევლინება **მშობელი** და შესაძლებლობის შესაბამისად, თავად მოსწავლე. მოსწავლის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სკოლაც გამოდის მოსწავლის წარმომადგენლის როლში, თუმცა მისი ქმედებები, წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე, შეთანხმებულია მშობელთან. სკოლის ფარგლებში ინტერესების დაცვა მოიცავს სასწავლო საქმიანობას და ასევე სოციალურ კავშირებს.
- ✓ კონფლიქტური სიტუაციების დროს სკოლა ასრულებს ოჯახსა და მოსწავლეს შორის **მედიატორის** ფუნქციას.
- ✓ მოსწავლის სპეციალური სასწავლო საჭიროების განსაზღვრა ხდება მშობელთან შეთანხმებით, **მშობლის ინფორმირებული თანხმობის** საფუძველზე.

დოკუმენტაცია და ინფორმაციის მიწოდება

- ✓ სკოლასა და მშობელს შორის შეთანხმების დოკუმენტის/ხელშეკრულების გაფორმება. **ხელშეკრულებას ხელს აწერს სკოლის ადმინისტრაცია და მშობელი;**
- ✓ თანამშრომლობის შესახებ **ხელშეკრულება** მკაფიოდ ჩამოყალიბებული დოკუმენტია. სკოლის პერსონალს კარგად ესმის თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მნიშვნელობა და მშობლებიც ზედმინევენით არიან **ინფორმირებულები** ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესახებ;
- ✓ თანამშრომლობის შესახებ **ხელშეკრულების/შეთანხ-**

მების დოკუმენტის კონსტრუირება, შეფასება და **დახვეწა** ხდება მშობლებთან თანამშრომლობის გზით;

- ✓ თანამშრომლობის კულტურა ოჯახსა და სკოლას შორის უწყვეტი პროცესია, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების ინდივიდუალურ თავისებურებებს, მათ ასაკს და განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარდამავალ პერიოდებს.

ინფორმაციის გაცვლა

- ✓ მშობლები **იღებენ ინფორმაციას** თავიანთი შვილების განათლების, სწავლებისა და პროგრესის შესახებ;
- ✓ მშობელი მასწავლებელს **უზიარებს ყველა იმ ინფორმაციას**, რომელიც გავლენას ახდენს მისი შვილის სასწავლო პროცესზე (როგორცაა პრობლემები ოჯახში, შეზღუდული შესაძლებლობები სწავლის მხრივ, ავადმყოფობა და სხვა მოსაზრებები ბავსვის განათლების და სწავლის შესახებ).
- ✓ **მოსწავლეებს უსმენენ** და მათივე თანამონაწილეობით განიხილავენ პირად საკითხებს.
- ✓ სკოლა იღებს **მშობლებისგან ნებართვას** მისი შვილის მონაწილეობით ამა თუ იმ ღონისძიების ჩატარების თაობაზე (როგორცაა ექსკურსიები ან სხვა სახის გასვლები).

ინდივიდუალური შეხვედრები

- ✓ ინდივიდუალური **შეხვედრების პირობების** უზრუნველყოფა ყველა მოსწავლის მშობლისათვის ნელინადში მინიმუმ ორჯერ, რაც დაფიქსირებულია შეთანხმების დოკუმენტში/ხელშეკრულებაში. ინდივიდუალური შეხ-

ვედრების განრიგი (წლის დასაწყისში მშობლის და ბავშვების ინდივიდუალური შეხვედრები და ბოლოს, როგორც საჭიროების, ისე ჩივილის შესაბამისად)

- ✓ სკოლა უზრუნველყოფს ინდივიდუალური **შეხვედრების დაგეგმვისთვის** მოსახერხებელ დროს, ადგილს და მონვევას (წინასწარ).
- ✓ **შეხვედრებზე განიხილება** მოსწავლის სწავლასთან და სოციალურ-ემოციურ სფეროსთან დაკავშირებული მოლოდინები და ამოცანები, მიღწევები, სირთულეები და მუშაობის მეთოდები, ფორმები და სხვა სკოლისათვის მნიშვნელოვანი პირადი საკითხები.
- ✓ **შეხვედრა კონფიდენციალურია** (სკოლის შიდა განაწესის მიხედვით – კონფიდენციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით).
- ✓ მშობელს აქტიური როლი აქვს შეხვედრის დროს.

ოჯახის ინფორმირება

- ✓ **ოჯახის ინფორმირება** ნიშნების და სასკოლო წარმატების შესახებ ხდება სისტემატური წერილობითი ფორმატით. ასევე, მნიშვნელოვანია, სისტემატური ინფორმირებისათვის მხარეთათვის მოსახერხებელი სხვა შესაბამისი **ფორმებისა და ხერხების** მოძიება (მაგ. საგნობრივი ჩანაწერები, ნიშნების ამონაწერი, წერილი, პროგრესის რუქები, საგნობრივი საშუალო ქულები, თვისობრივი შეფასება, წარმოდგენილი მასალის პლუსებით შეფასება, მზაობის პროცენტი და სხვა).
- ✓ სკოლა მშობელთან ათანხმებს მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით წერილობითი თუ ზეპირი **ინფორმირების საშუალებებს** (მაგ. ტელეფონებს, ელ. ფოსტას, და სხვა).

- ✓ თუ ადგილი აქვს **პრობლემას** ათვისებასთან/სწავლასთან დაკავშირებით, ამ პრობლემის შესახებ ინფორმირება და მოგვარების გზების ძიება ხდება მაქსიმალურად **ადრეულ ეტაპზე მშობლებთან** თანამშრომლობის გზით.
- ✓ ისგ-ს ჯგუფი ანგარიშვალდებულია მშობლის წინაშე, იგი პასუხისმგებელია სსსმ მოსწავლის წარმატებაზე.
- ✓ მშობელს შეუძლია გამოთქვას შემოთავაზებები სასკოლო პროცესის **მონიტორინგის და შეფასების** თაობაზე. შესაბამისად, სკოლასთან შეთანხმებით მიიღოს ამ პროცესში მონაწილეობა.

კონსულტაცია

- ✓ მოსწავლის საჭიროების შესაბამისად, მშობელს შესაძლებლობა აქვს დამატებითი კონსულტაცია გაიაროს სკოლის თანამშრომლებთან, რესურს ცენტრთან, მულტიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლებთან, მანდატურების სამსახურთან და სხვა სერვისებთან. აღნიშნულთან დაკავშირების მას სკოლის ადმინისტრაცია აძლევს მიმართულებას;
- ✓ ისგ-ს შემუშავებამდე მშობელი კონსულტაციას გაივლის თითოეული საგნის მასწავლებელთან, რომლებიც ასწავლიან სსსმ მოსწავლეს და ხვდება ისგ-ს გუნდის სპეციალისტებს: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი და სხვ.;
- ✓ მშობელი მჭიდროდ თანამშრომლობს ისგ-ს გუნდთან და რეგულარულად აწარმოებს კომუნიკაციას ისგ-ს ჯგუფის სპეციალისტებთან (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური მასწავლებელი და სხვ.).

კოორდინირებული მუშაობა

- ✓ საშინაო დავალების შესრულების პროცესში დახმარების დროს მშობელი იყენებს იმავე სტრატეგიებს, რასაც საგნის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში მშობლის მონაწილეობა გულისხმობს;
- ✓ მშობელი მონაწილეობს სსსმ მოსწავლის სასწავლო სტრატეგიების შერჩევაში, სასწავლო პროგრამის მორგებასა და დაგეგმვაში. ისგ-ს შესრულების და ეფექტიანობის მონიტორინგის პასუხისმგებლობა გადანაწილებულია.

მოხალისეობა

- ✓ სკოლა მშობლებს სთავაზობს მოხალისეობის შესაძლო ფორმებს, როგორც სკოლის, ასევე კლასის და ინდივიდის დონეზე და აცნობს მასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას (მაგ. საკლასო ოთახის მონესრიგება, 1 კვირა მშობლის დღე სკოლაში, 1 გაკვეთილი დღის განმავლობაში ტარდება მშობლების მიერ და სხვ.);
- ✓ მოხალისეობა მშობლის მხრიდან ნებაყოფლობითი საქმიანობაა.

ინიციატივის და საჩივრების გამოხატვა

- ✓ სკოლას შემუშავებული აქვს ინიციატივის და საჩივრების გამოხატვის მარტივი პროცედურა და ფორმები;
- ✓ მშობლები იცნობენ ინიციატივის და საჩივრების გამოხატვის ფორმებს და პროცედურებს;
- ✓ ინიციატივის და საჩივრების გამოხატვის ფორმები და პროცედურები მშობლისათვის ხელმისაწვდომია და მათი გამოყენება არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას.

ოჯახის და სკოლის თანამშრომლობის მოდელის დანერგვის მხარდამჭერი ფორმაები

- 1.** საერთო კრებაზე მოსაწვევე ბარათი;
- 2.** ინდივიდუალური შეხვედრის მოსაწვევე ბარათი (მას-წავლებელი-მშობელს და მშობელი-მასწავლებელს), თუ განსაკუთრებული შემთხვევა არ არის.
- 3.** ადმინისტრაციის მონიტორინგი (ფორმა, რომელიც აღ-წერს მშობლებთან თანამშრომლობის სტატისტიკას);

ეროვნული სასწავლო გეგმის რედაქტირების ვარიანტები

წარმოდგენილი მოდელი ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერების ანალიზს და შესაძლო რედაქტირების ვერსიებს.

ეროვნული სასწავლო გეგმა, მუხლი 5. სკოლის საერთო კულტურა

- სკოლამ ხელი უნდა შეუწყოს შემოქმედებითი და თანამ-შრომლობითი გარემოს შექმნას სკოლის საზოგადოების წევრებისთვის (განიმარტოს და მოხდეს მშობლის მოხ-სენიება, როგორც სასკოლო თემის მნიშვნელოვანი რგოლის).
- ახლი მუხლი: მნიშვნელოვანია, გაჩნდეს მშობლის უფ-ლებამოსილების ჩანაწერი.

მუხლი 7. საგნობრივი კათედრები საჯარო სკოლაში

მნიშვნელოვანია, გაჩნდეს ჩანაწერი მშობლების ინფორ-მირებასთან დაკავშირებით. პრეზენტაციისა და სასწავლო შეხ-ვედრების წარმართვა.

მუხლი 6. დამრიგებელი

- ვ) საჭიროების შემთხვევაში (უნდა მიუთითოთ მინიმალური შეხვედრა), შეხვედეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს მას მოსწავლესთან და სკოლაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია;
- თ) V-XII კლასებისთვის წელიწადში მინიმუმ ერთხელ (სასწავლო წლის ბოლოს?) გააკეთოს სადამრიგებლო კლასის თითოეული მოსწავლის აკადემიური მიღწევის, გაკვეთილებზე დასწრებისა და ქცევის ანალიზი მასწავლებლებისგან მონოდებული ინფორმაციის საფუძველზე და დაწეროს თითოეული მოსწავლის მოკლე დახასიათება.

მნიშვნელოვანია გაჩნდეს ჩანაწერი: „მოაწყოს მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრა და გააცნოს დასკვნა“.

მარეგულირებელი დოკუმენტები

ქართული ცენტრალიზებული სასკოლო სისტემის პირობებში ასეთი ბერკეტია მარეგულირებელი დოკუმენტის შემუშავება, კანონის თუ სტრატეგიის სახით.

ზოგადი განათლების კანონი

ოჯახის და სკოლას თანამშრომლობის პროგრამის ჩართვა სასწავლო პროგრამაში ეთიკური კოდექსი

სამოქმედო გეგმა

ორგანიზაციული წესდება

სამუშაოს აღწერა

ფორმალური რეგულაციები

მშობელთა უფლებები და მოვალეობები

ოჯახისა და სკოლის ხელშეკრულებები

ოჯახი-სკალის თანამშრომლობის შეთანხმება

სკოლა

- 1. კომუნიკაციის პირობები** – სკოლა მშობელს/მეურვეს უზრუნველყოფს მოსახერხებელი კომუნიკაციის პირობებით (კეთილგონიერების ფარგლებში), სთავაზობს და უთანხმებს ინფორმაციის გაცვლის ფორმატს (პირადი შეხვედრები, საერთო სკოლო, საკლასო შეხვედრები, კლასგარეშე ღონისძიებების), დროს და ხერხებს (სატელეფონო, წერილობით და სხვა).
- 2. ინფორმაციის მიწოდება** – სკოლა სისტემატიურად უზრუნველყოფს მშობლის/მეურვის ინფორმირებას (წერილობით და ზეპირსიტყვიერად) სასკოლო/საკლასო საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის თავისებურებების შესახებ. ინდივიდუალური მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევისა და სოციალური ურთიერთობის თაობაზე.
- 3. ინფორმაციის მიღება** – სკოლა სისტემატიურად იღებს ინფორმაციას მოსწავლის ოჯახიდან, მისი სოციალური, ჯანმრთელობის, ქცევით-ემოციური თავისებურებების (საჭიროების შესაბამისად), ინტერესებისა და მიდრეკილებების თაობაზე.
- 4. დაგეგმვა/ანალიზი** – სკოლა უზრუნველყოფს, რომ მშობელთა თანამშრომლობის ფორმები შესაფერისია ოჯახისთვის, მოპოვებული ინფორმაცია სათანადოაა გააზრებული, რაც ასახულია სკოლის სამოქმედო გეგმასა და საქმიანობაში.
- 5. ინფორმაციის დაცვა** – სკოლა უზრუნველყოფს, რომ ბავშვის და ოჯახისა შესახებ ინფორმაცია დაცულია და გამოიყენება მხოლოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

მშობელი/მეურვე

- 1. ინფორმაციის მიწოდება** – მშობელი/მეურვე სისტემატიურად უზრუნველყოფს სკოლის ინფორმირებას მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ყოფაქცევის, სოციალური ურთიერთობისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის (საჭიროების შესაბამისად) თაობაზე.
- 2. ინფორმაციის მიღება** – მშობელი/მეურვე სისტემატიურად იღებს ინფორმაციას სკოლის შესაბამისი წარმომადგენლისაგან მოსწავლის აკადემიური მოსწრების, ქცევით-ემოციური თავისებურებების, სოციალური ურთიერთობის, ჯანმრთელობის (საჭიროებისამებრ), ინტერესების და მიდრეკილებების თაობაზე.
- 3. დაგეგმვა/ანალიზი** – მშობელი/მეურვე ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გააზრებასა და შემდგომი საქმიანობის დაგეგმვაში.
- 4. ინფორმაციის დაცვა** – მშობელი/მეურვე უზრუნველყოფს, რომ ინფორმაცია საკუთარი თუ სხვა მოსწავლის და ოჯახი თაობაზე დაცულია და გამოიყენება ბავშვის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.

კლასის დამრიგებელი _____ ;

მშობელი/მეურვე _____ ;

სკოლის დირექტორი _____ ;

თარიღი _____ ;

მშობელთა საერთო კრებაზე მშობლის მოსაწვევი ბარათი

ძვირფასო მშობელო, გთხოვთ მობრძანდეთ მშობელთა კრებაზე, რომელიც გაიმართება:

თარიღი _____; დრო _____;

შეხვედრის ადგილი:

სკოლა _____; ოთახი _____;

მშობელთა კრების ორგანიზატორი/ინიციატორია


_____ კლასის დამრიგებელი _____;

მშობელთა კრებაზე განვიხილავთ საკითხებს:

1. _____
_____;
2. _____
_____;
3. _____
_____;

ბარათის გამგზავნი: _____;

ბარათის გაგზავნის თარიღი: _____;



მშობლის უკუკავშირის ბარათი

მშობლის სახელი/გვარი _____

გავეცანი მიღებულ მოსაწვევს

მოსაწვევი მივიღე _____ (თარიღი)

შევძლებ მოსვლას

ვერ შევძლებ მოსვლას

მშობელთა საერთო კრების შემაჯამებელი ბარათი

სკოლა -----; კლასი -----; თარიღი -----;
კლასის დამრიგებელი -----;
მშობელთა წარმომადგენელი -----;
მშობელთა კრებას დაესწრო ----- მშობელი;

მშობელთა კრებაზე განხილული საკითხების ჩამონათვალი:

1. -----;
2. -----;
3. -----;
4. -----;

შეხვედრის პროცესში დისკუსიის მნიშვნელოვანი ამონარიდები და შეთანხმება თითოეულ საკითხზე:

1. -----;
2. -----;
3. -----;
4. -----;

კლასის დამრიგებელი -----;
მშობელთა კრების წარმომადგენელი -----;

ინდივიდუალური შეხვედრის მოსაწვევი ბარათი

ძვირფასო მშობელო/მასწავლებელო, მსურს თქვენთან ინდივიდუალური შეხვედრა, შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. _____
_____;
2. _____
_____;
3. _____
_____;

გთხოვთ, აირჩიოთ თქვენთვის სასურველი ერთ-ერთი დღე და საათი შემდეგი კვირის სამუშაო დღეებიდან:

- ორშაბათი _____ საათიდან _____ საათამდე
- სამშაბათი _____ საათიდან _____ საათამდე
- ოთხშაბათი _____ საათიდან _____ საათამდე
- ხუთშაბათი _____ საათიდან _____ საათამდე
- პარასკევი _____ საათიდან _____ საათამდე

ბარათის გამგზავნი:

სასწავლო საგანი _____;

მოსწავლის მშობელი _____;

სახელი გვარი _____;

ბარათის გაგზავნის თარიღი: _____;

გამოყენებული ლიტერატურა

განათლების სამინისტრო 18.12.2012 „მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის თემაზე შეხვედრები დაიწყო“ <http://www.mes.gov.ge/content.php?id=4358&lang=geo>

გოგიჩაძე ნ. (2012), სასკოლო ინკლუზიის გამოცდილება თბილისის და ზუგდიდის სკოლების მაგალითზე – „რაც წვრილმანი გვგონია“, ხარებავა მ. (რედ.) „განათლება და დასაქმება-გზა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციისაკენ“.

დავით ზათიაშვილის პრეზენტაცია „მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“ 07.05.2013

Adams K.S., Christenson S. L. (2000), Trust and the Family–School Relationship Examination of Parent–Teacher Differences in Elementary and Secondary Grades, *Journal of School Psychology*, 38(5), 2000, 477–497.

Alberta, Alberta Learning.(2003), Learning and Teaching Resources Branch. The learning team: a handbook for parents of children with special needs.

Desforges, C., & Abouchaar, A., 2003, “The Impact of Parental Involvement, Parental Support and Family Education on Pupil Achievements and Adjustment: A Literature Review”

HM Government – Department for Education and Skills, 2004, Five Year Strategy for Children and Learner: Putting people at the heart of public services

HM UK Government, Legislation, Education and Inspections Act 2006, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/40/contents>

HM UK Government, Legislation, The School Governance (Parent Council) (England) Regulations 2007, <http://www.legislation.gov.uk/ukxi/2007/1330/contents/made>

Australian Government, Department of Education, Employment and Workplace Relations (2008), Family school partnership Framework. A Guide for Schools and Families, retrieved from http://www.familyschool.org.au/files/3013/8451/8364/Family-school_partnerships_framework.pdf

Bronfenbrenner U.,(1994). Ecological Model of human development. In International Encyclopedia of Education, Vol.3, 2nd Ed. Oxford, From <http://www.psy.cmu.edu/~siegler/35bronfenbrenner94.pdf> on 04.02.2014.

Carter E.W, Lane K.L, Cooney M, Weir K, Moss C.K, Machalicek W (2012), Parent assessments of self-determination importance and performance for students with autism or intellectual disability. *American Journal on Intellectual and Developmental Disabilities*. 2012, 117(4), 316-30.

Christenson, S.L. & Sheridan, S.M. (2001). School and families: Creating essential connections for learning. New York: Psychology in the Schools, 40(4),444-445, 2003, The Guilford Press. 246 pp.

Department for Education, 2013, "Home/School Agreements", <http://www.education.gov.uk/aboutdfe/statutory/g0014718/home-school-agreements>

Department for Education, 2013, "Parental Involvement", <http://www.education.gov.uk/schools/pupilsupport/parents/a0014567/parental-involvement>

Department for Education, 2013, <http://www.education.gov.uk/>

Desforges C. and Abouchar A., (2003); The Impact of Parental Involvement, Parental Support and Family Education on Pupil Achievement and Adjustment retrieved from http://bgfl.org/bgfl/custom/files_uploaded/uploaded_resources/18617/desforges.pdf on 04.02.2014.

Epstein, J. L. (1986). Parent involvement: Implications for limited-English-proficient students.

Epstein, J. L. (2001). School, family, and community partnerships: Preparing educators and improving schools. Boulder, CO: Westview.

Epstein, J.L. (1996). Perspectives and previews on research and policy for school, family, and community partnerships. In A. Booth and J.F. Dunn (Eds.), Family-school links: How do they affect educational outcomes? (Chapter 14). Mahwah, NJ: Lawrence Erlbaum.

Family-school & Community partnerships Bureau (2012) from http://www.aracy.org.au/publications-resources/command/download_file/id/7/filename/Parental_engagement_in_learning_and_schooling_Lessons_

Galloway, D. Armstrong, D. Tomlinson, S. (1994). The assessment of special educational needs: Whose problem? From Handicapped children;

Government of Scotland, 2006, "Scottish Schools (Parental Involvement) Act 2006, <http://www.scotland.gov.uk/Resource/Doc/148166/0039411.pdf>

Henderson, A., & Berla, N. (1994). A new generation of evidence: The family is critical to student achievement. Columbia, MD: National Committee for Citizens in Education.

HM Government – Department for Education and Skills, 2001, White paper: Schools Achieving Success, http://www.merton.gov.uk/democratic_services/w-agendas/w-reports/_000-999/913.pdf, October 9th 2001

HM UK Government, Legislation, Education (Additional Support for Learning) (Scotland) Act 2004, <http://www.legislation.gov.uk/asp/2004/4/contents>

HM UK Government, Legislation, Education (Scotland) Act 1980, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1980/44>

HM UK Government, Legislation, Education Act, <http://www.legislation.gov.uk>

HM UK Government, Legislation, School Governance (Constitution) (England) Regulations 2003, http://www.legislation.gov.uk/uksi/2003/348/pdfs/uksi_20030348_en.pdf

HM UK Government, Legislation, School Standards and Framework Act 1998, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/31/section/110>

HM UK Government, Legislation, School Standards and Framework Act 1998, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1998/31/section/111>

HM UK Government, Legislation, Scottish Schools (Parental Involvement) Act 2006, <http://www.legislation.gov.uk/asp/2006/8/contents>

HM UK Government, Legislation, Standards in Scotland's Schools etc. (Scotland) Act 2000, <http://www.legislation.gov.uk/asp/2000/6/contents>

Hoover-Dempsey K. V., Walker J.M. T., Sandler H. M., Whetsel D., Green C. L., Wilkins A. S., Closson K. (2005), Why Do Parents Become Involved? Research Findings and Implications, *The Elementary School Journal*, 106(2), 105-130, by The University of Chicago.

HRM UK Government, Legislation, Children (Scotland) Act 1995, <http://www.legislation.gov.uk/ukpga/1995/36/contents>

http://bgfl.org/bgfl/custom/files_uploaded/uploaded_resources/18617/Desforges.pdf

<http://www.adi.org/journal/ss01/chapters/Chapter16-Hara&Burke.pdf>

http://www.ed-alliance.org/document/document_34.pdf

<http://www.educationengland.org.uk/documents/wp1997/excellence-in-schools.html>, July 1997

<http://www.familyschool.org.au/pdf/framework.pdf>

<http://www.surveymonkey.com/s/2012ParentSatisfactionSurvey>

<http://www.surveymonkey.com/s/LT36PGF>

<http://www.surveymonkey.com/s/parent-engagement-template>

In C. Simich-Dudgeon (Ed.), *Issue of parent involvement and literacy* (187-203). Washington, DC: Trinity College.

Information below is collected from the Department for Education's website's "Leadership and Governance" section. <http://www.education.gov.uk/schools/leadership/governance>

Information collected from the United Kingdom's Parent Teacher Association's website:

Merok P., J.,(2012), Parental Involvement in Norwegian Schools, *Journal of School Public Relations*, v33(1).29-47.

<http://www.pta.org.uk/>

Michigan Department of Education, National Network of Partnership Schools, PTA. (2012), retrived from <http://www.michiganallianceforfamilies.org/wp-content/uploads/2012/08/parent-involvement-6types.pdf> on 30.01.2014.

Parent and Teacher Magazine, 2013,
<http://www.parentandteacher.co.uk/>

Presented to Parliament by the Secretary of State for Education and Employment by Command of Her Majesty, 1997, "White paper: Excellence in schools",

Ramey, C. T., Ramey, S.L. (2004), Early Learning and School Readiness: Can Early Intervention Make a Difference? *Merrill-Palmer Quarterly*, 50(4), 471-491.

Roland, E.; Galloway, D., 2002, Classroom influences on bullying, *Educational Research*; 44(3), 299-312(14).

Solstad K.J. (2000), Parents In Education-The Norwegian Case, conference paper retrived from <http://www.schoolboard-scotland.com/conference/Norway.htm> on 23.01.2014.

Sophondarith T. (?)Parental Involvement in Primary Education in Cambodia: A Case: Study in a Private School. retrived from <http://www.ukessays.com/essays/education/parental-involvement-in-primary-education-in-cambodia-education-essay.php#ixzz2rnJU1MKf> on 29.01.2014

Stelmack B. (2010), Parental Involvement: A Research Brief for Practitioners retrieved from http://inclusiveeducationpdresources.ca/documents/parental_involvement.pdf on 06.03.2013.

Thambirajah M.S., Grandison J. K., De-Hay L., (2008) *Understanding Scholl refusal*, London and USA Philadelphia: Jessica Kingsley.

the Finnish Board of Education and Finland's Parents Union (2007) "Laatua kodin ja koulun yhteistyöhön [Quality into home-school cooperation]".

Westergard E. (2007), Do teachers Recognize Complaints from parents, and If Not, Why Not? *Evaluation and Research in Education*; 20(3).

Westergard E. (2010), *Parental Disillusionment with Schools*, Norway, University of Stavanger.

Westergard, E. and Galloway D. (2004). Parental disillusionment with school: prevalence and relationship with demographic variables, and phase, size and location of school. *Scandinavian Journal of Educational Research*; 48(2), 189-204

Wissenswertes für Elternvertreter und Elternvertreterin.
Herausgeber: Bundesministerium für Bildung, Wissenschaft und Kultur Österreichs. http://www.bmukk.gv.at/medienpool/13860/wissenswertes_ev06.pdf

Zablotsky B, Boswell K, Smith C. (2012) An evaluation of school involvement and satisfaction of parents of children with autism spectrum disorders. *American Journal on Intellectual and Developmental Disabilities*; 117(4), 316-30.

www.hib-wien.at

<http://www.elternverein-hibwien.info/>

